

სამეცნიერო გამოცემის მოცემული და ცენტრალური განხილვა - რევულუციონური კულტურული მეცნიერებები

# სამეცნიერო

№ 5 (42) 1.05.2015 - 1.06.2015

ფასი 2 ლარი

ყოველთვიური გამოცემა

## თავისებულების და ეროვნული სერვისით აღვიდი ქვეყნის ეკონომიკა

ვ. 4

ვ. 2

კადრებად  
გადამდინი  
ომის ეროვნული  
მუზეუმი

ცეკალქვევი  
- მითიკური  
ხალაზი ანგა

ვ. 40

ვიზუალური  
დარასელის  
აროპონიშვილი  
ერთ-ერთი  
გალაზანის გვარი  
ფასზე  
ხამოვანი

ვ. 14



ვ. 20

ტიმ სევარიძეა  
ოჯახოւ საცილე  
საქართველოდან  
გადით ციცქა

ისტორიკოსებიდან  
ლოტენარჩამდე  
ვლადიმერ  
ბაგიძე

ვ. 25



ვინ არის ზურაბ გადია  
და რატომ უცოდებან მას  
..ადამიანი ნათებას..

ISSN 1997-8524



9 771987852005



საფრანგეთში ჭადრაკის ჩემპიონატის  
საკვალიფიკაციო ტურნირში 2000 მოჭადრაკეს  
მოჩას, 8 ნებამდე ასაკობრივ ჯგუფში  
ერთვალება გოგონები ნაირ გაგუამ სტეფან ფლობის  
აკრეა და პირველი აღგილი მოიპოვა.  
ეს მისი მეორე გამარჯვება იყო. გოგონა  
აგვისტოში ესპანეთის ტურნირზე გამგზავრებას  
გეგმავს. აღსანიშნავია მისი მიზანებას—  
ისეთი ნარჩატეგიული მოჭადრაკე მიღეა  
გამოვიდე, როგორებიც არიან ჭადრაკის  
დაჭოფლები წონა გაფრინდეავილი და მაინ  
ჩიბურდანები, ამგონს ნაი.  
ნარჩატებას ვესეჩვები 8 ნების კატარს გოგონას.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

	ანდრიამ მხურვალედ შესთხოვა უფალს, ჯვარზე აღსრულების ლირსი გაეხადა..... 2
	„თამარს ვაქებდეთ მეფესა“ ..... 3 თავისუფლების დაუოკებელი
	სურვილით აღვსილი ქვეყნისეპოპეა ..... 4
	ბედია - საქართველოს ერთიანობის სიმბოლო ..... 6
	ზაზა ფაჩულია nba-ს ისტორიაში შევიდა ..... 9
	ასე ინება არსთა გამრიგემ ..... 12 „13“ — ბედნიერების თუ
	უბედურების საწყისი ..... 14
	ჯემალ ჭუასელის მე-80 გაზაფხული ..... 16
	ბლოკფლეიტის მესაიდუმლე — ომარ მინდორაშვილი ..... 18
	იასონისგან განსხვავებით ტიმ სევერინმა ოქროს
	საწმისი საქართველოდან გულით წაიღო ..... 20

	ბუნება სივრცეს სხივებით ძერნავს — მამა გიორგი თევდორაშვილი ..... 23
	ჯიხაშკარიდან ნამლერი „კუნტა ბედინერმა“ ერთ-ერთი საუკეთესო ასეულთაგანია ..... 25
	ისტორიკოსობიდან ლოტბარო- ბამდე ვლადიმერ (ლუდი) ბაბილუა ..... 25
	აუტი — გივი სიხარულიძე ..... 26 დროს რას უზამ, დროს —
	გივი სიხარულიძე ..... 27
	დაბრუნებული საუნჯე ..... 28
	კადრებად გადაშლილი ომის ქრონიკა ..... 30
	როგორ შეიძლება იცოცხლოს ადამიანმა ორასი წელი და როდის უჩნდება მას ნათების უნარი ..... 34
	1 მაისი - შემობრუნების დასაწყისი ..... 36
	როცა სახსრების დაავადება მწვავდება ..... 38
	ნოქალაქევი, ადგილი საიდანც არგონავტებმა ოქროს საწმისი მოიპარეს ..... 40

მთავარი რედაქტორი —  
**ნინო რახვაძეიშვილი**  
ტელ: 599 74 68 10  
დამჯურნებელი —  
**გონა გულაშვილი**  
ტელ: 599 53 58 94  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**დალი ჯვარგაიზვილი**  
ტექსტი ააწყო  
**თამარ გოგიძეავა**  
მისამართი: თბილისი, ლესელიძის  
ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10  
ელ-ფოსტა: [nino153@mail.ru](mailto:nino153@mail.ru)

ურნალი „სამეგრელოს“ ემიგრანტ მეგრულებს  
და არა მარტო მათ, გთავაზობთ თანამშრომლობის  
პროექტს - გამოგვიგზავნეთ მასალები,  
ფოტოსურათები, რითაც შეძლებთ მოეფეროთ  
თქვენს მონატებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე  
დროს მხარში დაუდგეთ ურნალს.  
ტელ: 599 74-68-10

ძვირფასო მკითხველო!  
გაცნობებთ, რომ რედაქტორი შემოსული მსალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება  
სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.


ურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

## ნე. ანდრია მეურვალედ ჰესოს წარმატების გაეხადა

ნე. ანდრიას, პეტრე მოციქულის ძმას, უფალმა იესო ქრისტემ პირველს მოუწოდა, ამიტომ მას ეწოდა პირველწოდებული. წმიდა ანდრიამ სიყრმიდანვე შეიყვარა უფალი და როცა ისრაელში ქუხილივით გაისმა წმიდა იოანე ნათლისმცემლის ხმა, ნეტარი მოციქული მისი უახლოესი მონაფე გახდა. მაცხოვრის გამოჩენისას, წმიდა იოანემ ანდრიას და იოანე ღვთისმეტყველს მიმართა: „აჲა, ტარიგი ღმრთისაია“. ამ სიტყვებზე ორივენი თან გაპყვნენ იესოს. შემდეგ კი ანდრია ძმასთან, პეტრესთან მივიდა, მესიის პოვნა ახარა, ისიც იესოსთან მიიყვანა და მას დაუმოწაფა.

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, „რაუამს წილ იგდეს მოციქულთა“ საქადაგებლად, ღვთისმშობელს ივერიის მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ, რადგან მისი მიცვალების ჟამი მოახლოებული იყო, ძე ღვთისამ უბრძანა, იერუსალიმში დარჩენილიყო, საქართველოში კი ანდრია პირველწოდებული გაეგზავნა თავისი ხელთუებული ხატით. ყოვლადწმიდა ქალწულმა მოუწოდა წმიდანს და ღვთის ნება აუწყა, შემდეგ ფიცარი მოითხოვა, „დაბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვისსა“. ფიცარზე ღვთისმშობელი გამოისახა ყრმა იესოთი. ეს სიწმიდე ზეციურმა დედოფალმა ანდრიას გადასცა და დიდ ღვანლს შემდგარი, აკურთხა. წმიდა ანდრიამ გაიარა საპერძეთი, მცირე აზია, შემდეგ კი შავიზღვისპირეთს მიაშურა, „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების“.

ნეტარს მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს ურნებულოთაგან, მაგრამ ღვთისა და პატიოსანი ხატის მეობებით ყველაფერი მადლობით დაითმინა, „ვიდრემდის ყოველნივე მოაცივნა და მოიყვანა სარწმუნობად“. იმ ადგილას, სადაც მოციქულმა ღვთისმშობლის ხატი დასვენა, „ფრიად შეენიერი და დიდი“ წყარო აღმოცენდა. ამ სასწაულმა მრავალ წარმართს გაუნათა გონება და შეუდგენ ქრისტეს მაცხოვნებელ სწავლებას. მოციქულმა ახალმოქცეულთ დაუდგინა მღვდლები და დიაკვენები. „დაუდგინა წესი და საზღვარი სარწმუნოებისა“, აუგო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარი, სადაც ფიცარზე ზეციური დედოფლის ნაბიძები ხატიდან სასწაულებრივ გადასული ასლი დაბრძანა. ამის შემდეგ უფლის რჩეულმა გადაიარა ფერსათის მთა და აქ ჯვარი აღმართა (სწორედ ამის გამო ეწოდა ამ მთას „რკინის ჯვარი“). მოციქული შემდეგ სოფელ აწყურში მივიდა, რომელიც ადრე სოსანგეთად იწოდებოდა. ამ დროს ამ მხარის გამგებელი იყო ქვრივი სამძივარი, რომელსაც ერთადერთი ვაჟი ჰყავდა. სწორედ ამ დროს მას შვილი მოპკვდომოდა. ქვრივს შეატყობინეს, რომ იქ იყო ერთი ადამიანი, რომელიც უცნობ ღმერთზე ლოცულობდა. ამ ცნობამ მას გულში იმედი ჩაუსახა და მოციქული თავისთან იხმო. წმიდა ანდრიამ ქვრივი დედაკაცის ერთადერთი ძე მევდრეთით აღადგინა. გახარებულმა ქალმა მაღლობით იწმეუნა უფალი იესო ქრისტე, თავის შვილთან ერთად მოინათლა და სამცხის მთავრებს წერილი მისწერა, ამ ამბავს ატყობინებდა და ყველას თავისთან იხმობდა. „ვითარცა ესმა მესხთა ამბავი ესე საკვირველი, მსწრაფლ შეკრბეს ყოვლით კერძო“.



და იქმნა სიმრავლე ერისა ფრიადი“. მოვიდნენ საკერპოს მსახურნიც. ხალხი ორად გაიყო; ნაწილი იძახდა, „ჯერ არს თაყუანის-ცემად, რომელმა ესე ვითარი სასწაული აღასრულა“, სხვები კი კვლავ ცრუ ღმერთების ერთგული რჩებოდნენ. ცილობა რომ ჩაეცხროთ, გადაწყვიტეს, საკერპოში ღვთისმშობლის ხატი შეებრძანებინათ, შემდეგ კი კარი დაეხმოთ. წმიდა ანდრიამ აწყურში მოაწყო ეკლესია და მცირე ეკვდერში ღვთისმშობლის ხელთუებული ხატი დაასვენა, შემდეგ კი ახალმოქცეულ სამწყსოს განეშორა და გზა განაგრძო: იყო კლარჯეთში, არტაანკოლაში, პართეთში, სომხეთში, შემდეგ კი იერუსალიმში წავიდა.

იერუსალიმთან ანდრია სვიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად ისევ საქართველოში დაბრუნდა. ისინი ქართლში შევიდნენ, განამტკიცეს ქრისტიანობა და „დაპყვნენ დასავლეთით, განვლეს ტაოს კერძო ქვეყანა ვიდრე ჭოროხამდე“, იყვნენ სამეგრელოსა და სვანეთში. სვიმონი და ანდრია აფხაზეთში წავიდნენ „ხოლო დიდი ანდრეა სვიმონითურთ... შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა და უქადაგეს სიტყუა იგი ღუთისმეცნიერებისა და მრავალთა სიხარულით შეინწყარეს ქადაგება იგი და მუნ დაუტევა ნეტარმან ანდრეა სვიმონ კანანელი სხვათა თანა მონაფეთა და თავად ჯიქეთისა ქუეყანად ავიდა“. ჯიქეთის მკვიდრმა მოსახლეობამ არა მარტო უარი განაცხადა მისი ქადაგების მიღებაზე, არამედ მოციქულის მოეგლაც კი გადაწყვიტა. მათი სიჯიუტე და უხეში გონება რომ დაინახა, მოციქულმა მიატოვა ისინი და წავიდა. წმიდა ანდრია მოციქული სკვითთა ქვეყანაში, დღევანდელ რუსეთშიც ყოფილა. მდინარე დნეპრს აჲყოლია იმ ადგილამდე, სადაც ამჟამა ქალაქი კივი მდებარეობს.

უკანასკნელი ქალაქი, სადაც მოციქულმა იქადაგა, პატრა (საბერძნეთი) იყო, წმიდანის ლოცვით ამ ქალაქში უამრავი ადამიანი მოექცა ქრისტეს სჯულზე, მაგრამ ქალაქის თავი ეგაეტი კვლავ ერთგული რჩებოდა ცრუ ღვთაებისა. უღმრთო ხელისუფალმა ბრძანა, ჯვარს ეცვათ უფლის რჩეული. წმიდანი სიხარულით შეხვდა განაჩენს და თავისით ავიდა ჯვარზე. ტანჯვა რომ გაეხანგრძლივებინა, ეგაეტმა ბრძანა, ძელზე კი არ მიელურსმნათ, არამედ დაეკიდათ ნეტარი. წმიდა მოციქული ორი დღე ქადაგებდა ირგვლივ შეკრებილთა წინაშე. ბოლოს, წმიდანის მადლომოსილი სიტყვებით შეძრულმა ხალხმა მოითხოვა, ჯვრიდან ჩამოესნათ იგი. უღმრთო ეგაეტმა განკარგულება გასცა, გაეთავისუფლებინათ წმიდანი, მაგრამ ანდრიამ მხერვალედ შესთხოვა უფალს, ჯვარზე აღსრულების ღირსი გაეხადა. მეომრები დიდხანს ამაოდ ცდილობდნენ მის ჩამოხსნას. შევთხოვოთ ჩვენს შემწესა და მფარველს წმიდა ანდრიას:

წმიდაო მოციქულო, მოციქულთა უპირატეს წოდებულო ანდრია, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის, რათა სოფელსა მშვიდობა მოანიჭოს და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა!

# „თამარს ვაჟაბლათ გაფასა“



ქართველთა უზარმაზარი სამფლობელო დარჩა სრულქმნილ თამარს (1184-1210), რომელიც თუმცა ასაკით პატარა იყო, „ვითარცა ქალი იყო ქალთაგან უმშვენიერესი“. იგი იყო თავმდაბალი, გულმოწყალე, ტყბილად მოსაუბრე, თავისი ხალხისა და ქვეყნის პატრონი. უმდიდრესი ხელმწიფე იყო, მაგრამ თვითონ მოკრძალებული ცხოვრებით ცხოვრობდა.

თამარის გამეფების წელსვე სახელმწიფო საკითხებთან დაკავშირებით დაპირისპირება გაჩნდა. გაჩნდა სამოქალაქო ომის დაწყების საშიშროება, მაგრამ სიბრძნით სწორუპოვარმა თამარმა გონიერება გამოიჩინა და მოახერხა მონინააღმდეგეს მის წინაშე მუხლი მოეყარა, სანაცვლოდ კი თვითონაც მოუწია დათმობებზე წასულიყო.

1185 წელს მეფემ რუს უფლისწულ იურიზე (ანუ გიორგი) იქორნინა. ქართველებმა მისი სარდლობით მრავალი ირანული ქალაქი აიღეს. მოგვიანებით, გიორგის შეუწყნარებელი ხასიათის გამო, თამარი იძულებული გახდა ქმარს გაჰყროდა.

1189 წელს მეფემ მეორედ იქორნინა ოსთა მეფის ძეზე, დავით სოსლანზე. თამარსა და დავითს ვაჟი შეეძინათ მას გიორგი-ლაშა უწოდეს. ვაჟის დაბადება დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა. დიდულოვანმა მეფემ დიდალი წყალობა გაიღო, მრავალი შესანირით გააქვთ ეკლესიები. ერთი წლის შემდეგ თამარსა და დავითს მეორე შვილი, რუსულანი შეეძინათ.

ქართველებმა მრავალ ბრძოლაში მოახერხეს გამარჯვების მოპოვება, ისინი იბრძოდნენ ძველი ქართული მიწების შემომტკიცებისთვის. რამდენჯერმე მარცხიც იწვნიეს, მაგრამ XIII

საუკუნეში მძლავრი ნაბიჯებით შემოდგეს ფეხი საერთაშორისო ასპარეზზე. ქართველთა აღზევებას არ ურიგდებოდა მაპმადიანური სამყარო და აქტიურად ემზადებოდა ქართველთა დასამხობად. მათ წერილიც გამოუგზავნეს ქართველებს, რომელიც ქრისტიანობაზე ხელის აღებასა და უომრად დანებებაზე მოუწოდებდა. თამარმა და დავითმა ჯარი საომრად განაწყვეს. პირველსავე შეტაკებაზე შედრენენ თურქები, მაგრამ ძლიერი ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ფიცხელი ბრძოლის შემდეგ ქართველებმა ბასიანში მაინც შეძლეს მტერზე გამარჯვება. მათ დიდი ნადავლი მოიპოვეს და თურქთა დროშები თამარის ფეხებთან დაყარეს. ბასიანის ბრძოლის შემდეგ საზეიმო განწყობილება სუფევდა საქართველოში. არ გასულა დიდი ხანი და გარდაიცვალა დავით სოსლანი. მგლოვიარე მეფემ თანამოსაყდრედ თავისი ძე, გიორგი-ლაშა დაისვა.

„მზე იგი მზეთა“ თამარი გახლდათ სამაგალითო ქრისტიანი, მან საეკლესიო საქმეებსაც მიხედა, რადგან ქრისტიანულ ეკლესიას ზნეობრივი რყევა შეამჩნია. აურაცხელი საბოძვარი გასცა ხალხისთვისაც. შენდებოდა ტაძრები, ციხესიმაგრები, ხიდები. გაჩნდა „თამარის ციხე“, „თამარის ხიდი“, „თამარის ხატი“, „თამარის ეკლესია“

თამარის გარდაცვალების თარიღად მეცნიერები რამდენიმე წელს ასახელებენ. მძიმე სენით დაავადებული მეფის გარდაცვალება მთელმა საქართველომ იგლოვა. ქვეყანამ დაკარგა დედა და დედოფალი სრულიად სახელმწიფოსა. ეს იყო კლასიკური ხანა საქართველოს ისტორიაში.

დღემდე თამარ მეფის ოთხი პორტრეტია შემორჩენილი. მათ შორის ერთ-ერთი ბეთანიის ტაძარს ამშვენებს.

XII-XIII საუკუნეების ქართული კულტურის, ვარძის მშენებლობის ისტორიაში რამდენიმე პერიოდი გამოიყოფა. ერთ-ერთი ეტაპი თამარის მეფობის დასაწყისია.

ეპთულება ეკლესიამ თამარ მეფე ცემდენად შერაცხა. 14 მაისს მისი სასენაბის დღე საძართველოში საძართველოს ავტოკეფალის აღდგენიდან, 1917 წლიდან აღინიშნება.

**მთელ საქართველოს ვულოცავი აა მაღლიან დღეს და ვუსურვებთ თამარის მსგავსი ვყოფილიყავით სიპრანი, უსავათავი ზეორგით, „უკლებელი გორებითა“ და ყველა სახა სიკათით.**

სოფიკო აბულაძე

# თავისუფლების დაუმკაგალი სურვილით აღვიტოლი ევენის ეპოზა



1800 წელს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა იმპერიასთან ქართლ-კახეთის შეერთებისმანიფესტიგამოსცა. ეს, ფაქტობრივად, საქართველოს სამეფოს გაუქმებას ნიშნავდა. გენერალმა კონონგმა ქართველ ხალხს ჯარით გარშემორტყმულ სიონში წაუკითხა იმპერატორის განაჩენი. ქვეყანა, რომელსაც თითქმის ათი საუკუნე მართავდა ბაგრატიონთა დინასტია, რუსი მთავარმართებლის ხელში გადადიოდა.

იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ სპობდა საქართველოს თვითმყოფადობას: გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; ქართული წირვა-ლოცვა რუსულით შეიცვალა; გაიძარცვა საეკლესიო სიწმინდეები, განადგურდა ძეგლები; რუსული ენა დამკვიდრდა მმართველობის ორგანოებში, სასამართლოებში, სასწავლებლებში; განგებ აღვივებდნენ ეთნიკურ შუღლს საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის; რუსეთში გადაასახლეს ბევრი გამორჩეული



მამულიშვილი, რომელთაც ხმა აიმაღლეს იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ; დაწესდა ცენზურა.

ქართველები უდრიტვინველად არ შეეცინა დამოუკიდებლობის დაკარგვას, მაგრამ აჯანყებებსა და შეთქმულებებს რუსეთის უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ შედეგი არ მოჰყოლია. ქართველებმა დროებით ჩააგეს ხმლები და, წარსულის სევდით განმსჭვალულებმა,

მნერლობაში ჰქონებს ნავსაყუდელი.


ასე დაიწყო საქართველოში რომანტიზმის ხანა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კი თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიშალა.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, - ლელთ ღუნიას ეს სიტყვები მთავარ იდეად გასდევდა XIX საუკუნის მეორე წახევრის ქართულ აზროვნებას. „ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა ის თავის წარსულს ივიწყებს“, ამიტომაც თერგდალეულები ყოველნაირად

ცდილობდნენ ეროვნული სულის გაღივებას, თითქოს მომავალი დამოუკიდებლობისთვის ამზადებდნენ ქვეყანას. შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამოუშვეს ქართული უურნალ-გაზეთები, აღადგინეს ქართული თეატრი, დააფუძნეს ქართული სათავადაზნაურო ბანკი. 1905 წლიდან კი უკვე აშკარად დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

ისევე, როგორც ყველა სხვა იმპერიამ, მეფის

# თავისუფლება სულს ისე მოსწეურდა...



რუსეთმაც ამონურა თავისი ძალები. სახელმწიფოს შიგნით გაჩენილი წინააღმდეგობები 1917 წლის რევოლუციაში გადაიზარდა და საბოლოოდ დაასამარა რომანოვთა სამასწლიანი დინასტია. რუსეთს კავკასიისთვის აღარ ეცალა. საქართველოს ბედის შესაცვლელად ხელსაყრელი დრო დადგა. პირველმა ეს შესაძლებლობა ქართულმა ეკლესიამ გამოიყენა. 1917 წლის მარტში სიონის ტაძარში საზემოდ გამოცხადდა საქართველოს სამოციქულო ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენა. თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯილა დარჩა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები - მენშევიკები, რომელთაც მანამდე რუსეთის დორებით მთავრობაში სხვადასხვა პოსტი ეკავათ. რევოლუციურ პეტერბურგთან შედარებით თბილისი ოაზისს ჰგავდა, მაგრამ პრობლემებმა აქაც მალე იჩინა თავი. რუსეთის ახალ ხელისუფლებას აღარ სურდა გერმანიასა და თურქეთთან ომის გაგრძელება. კავკასიის ფრონტი დაიმალა, საქართველოს კი თავისი არც ხელისუფლება ჰყავდა და არც არმია, თავი რომ დაეცვა.

მენშევიკებმა 1918 წელს მოიწვიეს სეიმი, რომელსაც ამიერკავკასიის სამიცე ქვეყნის მართვა

უნდა ედო თავს. სეიმმა გამოაცხადა, რომ ამიერკავკასია რუსეთს გამოეყო. მაგრამ ჩრდილოელმა მეზობელმა „საჩუქარი“ მოუმზადა თავისუფლების გზაზე შემდგარ ქვეყნებს. საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში დადო ზავი, რომლითაც ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქებს გერმანიის მოკავშირე თურქებს უთმობდა.

თურქებთან მოსალაპარაკებლად ბათუმში ახალშექმნილი სეიმის მრავალეროვანი დელეგაცია ჩავიდა. მოლაპარაკება, რაღა თქმა უნდა, უშედეგო აღმოჩნდა. თავი იჩინა ამიერკავკასიის ქვეყნების ინტერესთა სხვადასხვაობამაც: თუ საქართველო და სომხეთი ვერ ეგუებოდნენ თავიანთი მინა-წყლის დაკარგვას, აზერბაიჯანი ერთმორწმუნე თურქეთთან წინააღმდეგობას არ აპირებდა.

როცა საკითხის მოგვარების ყველა იმედი ამონურა, ქართულმა დელეგაციამ გამონახა გადარჩენის ერთადერთი გზა - დამოუკიდებლობა. საქართველო არ ცნობდა ბერსტ-ლიტოვსკის ზავს და გერმანიის მოკავშირე გახდებოდა, ხოლო გერმანიის მეორე მოკავშირე, თურქეთი, იძულებული იქნებოდა, შეგუებოდა ვითარებას.

სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური პროგრამა ეროვნული იდეალებისგან შორს იყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაში ყოფნის ექვსმა თვემ მათ ცხადად დაანახა, რომ არავითარი ზოგადსაკაცობრიო იდეა არ იდგა მამულიშვილურ ვალზე მაღლა.

აი, რას წერდა მაშინდელი მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე ზ. ავალიშვილი: „ამ განსაკუთრებულ წუთში როგორ არ გვესმინა ისტორიული სტიქიების გუგუნი, როგორ არ ყურადველო იმათი ხმა, ვინც დიდი ხანია აღარ არის... აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოაკავუნა და როგორ არ შევეგბოთ ალტაცებით! თუ ეს წუთი გაუჟვით, რა პასუხი გავცეთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა!..“

და 1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის პირველ პუნქტში ენერა ის, რაზეც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა უამრავი მამულიშვილი:

„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

# საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრი

**X-XI** საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში ორი უმნიშვნელოვანესი ტაძარი აიგო, ერთი ისტორიული ეგრისის პოლიტიკურ ცენტრში ბედიაში, მეორე - სამეფოს დედაქალაქში ქუთაისში. ორივე ტაძარი ერთიანი საქართველოს სამეფოს სიმბოლოდ იქცა.

Х საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართული მინა-ნის გაერთიანების გზაზე ახალი ეტაპი დაიწყო. „აფხაზთა“ მეფის გიორგი II-ის (922-957) შვილიშვილი, „აფხაზთა“ მეფის, უსინათლო და უშვილო თეოდოსის (975-978) დისნული და ტახტის მემკვიდრე ბაგრატ ბაგრატიონი 978 წელს ქუთაისში „აფხაზთა“ მეფედ ეკურთხა. ბაგრატ ბაგრატიონი იმავდროულად „ქართველთა სამეფოს“ ტახტის მემკვიდრე და იმიერ ტაოს მეფის დავით III კურაპალატის შვილობილი და მისი მემკვიდრეც იყო. ამდენად, საქართველოს გაერთიანების პროცესი შეუქცევადი გახდა.

999 წელს, „აფხაზთა“ მეცემ, შემდეგში საქართველოს ერთიანი მონარქიის პირველმა მეფემ, ბაგრატ III-მ (978-1014) ბედიაში ღვთისმშობლის ტაძარი ააგო. ძველი ქართული საისტორიო ტრადიციით ბედია ითვლებოდა ისტორიული ეგრისის პოლიტიკურ ცენტრად. მემატიანე წერს: „ხოლო ეგრისს მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა ან ჰქვიან ლიხი; დასავლით ზღუა; ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსმუთების წეური კავკასიისა. ხოლო ამან ეგრის აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი. ან მას ადგილსა ჰქვიან ბედია“. მიუხედავად იმისა, რომ „აფხაზთა“ მეცემებმა



გადამწყვეტი როლი შეასრულეს ერთიანი დასავლურ-ქართული სახელმწიფოს შექმნაში, მაშინდელი საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა ცნობიერებაში ეგროსი და ქუჯი დასავლურ-ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ფუძემდებლად, ხოლო „აფხაზთა“ მეფეები ამ სამყაროს მემკვიდრის როლში მოიაზრებოდნენ.

შედია „აფხაზთა“ სამეცნიერო-ერთიპოლიტიკური ცენტრიიყო, ოდიშის საერისთავოს ადმინისტრაციული ცენტრი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბაგრატ III-მ ის თავის ერთ-ერთ რეზიდენციად აქცია. 1001 წელს ბაგრატ მეფემ კურაპალატის ტიტული მიიღო, რაც ქართულ პოლიტიკურ სამყაროში მის უდავო პირველობას ნიშნავდა. მამის, გურგენ მეფეთ-მეფის გარდაცვალების შემდეგ, 1008 წელს „აფხაზთა“ მეფე და კურაპალატი „ქართველთა“ მეფეც გახდა. საქართველოს გაერთიანება, პირველ რიგში, სწორედ ორი სამეფო ტახტის - „აფხაზთა“ ანუ დასავლურ-ქართული და „ქართველთა“ - შერწყმას ნიშნავდა. გაერთიანების გზაზე მდგარ სახელმწიფოს მისი ძლიერებისა და სიდიადის გამომხატველი სიმბოლოები ესაჭიროებოდა. ასეთ სიმბოლოებად მოევლინა ქვეყანას ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ორი უბრწყინვალესი ძეგლი - ბედიის ტაძარი და 1003 წელს სახელმწიფოს დედაქალაქში ქუთაისში აგებული ღვთისმშობლის ტაძარი. ორივე ძეგლი თანამედროვეებს ახალი საქართველოსა და მისი ხელმწიფის სიძლიერისა და სიდიადის განსახიერებად ნარმოედგინათ.

ბეგიის ტაძარი და მისი სამონასტრო  
კომპლექსი აფხაზეთში, ოჩამჩირის  
რაიონის სოფ. აგუბედიაში მდებარეობს.  
მას უჭირავს მთასწინა მაღლობი,  
საიდანაც თვალწარმტაცი ხედი იძლება,  
ერთის მხრივ, კოდორის ქედსა და  
ოჯუმისწყლის ხეობაზე, ხოლო, მეორე  
მხრივ, შავ ზღვასა და ზღვისპირა ვაკეზე.

სამონასტრო კომპლექსის ცენტრში  
ღვთისმშობლის სახელზე აგებული  
ჯვარგუმბათოვანი ტაძარია. იგი გეგმით  
წაგრძელებული სწორკუთხედია სამი  
შესასვლელითა და ვიწრო გვერდის  
ნავებით. გუმბათი ორ ბურჯსა და

## ტაძრები

საკურთხევლის კედლების კუთხეებს ეყრდნობა. ფასადები თლილი ქვიშაქვითაა მოპირეობებული. სამწუხაროდ, ტაძარს პირვანდელი სახით არ მოუღწევია. ახლანდელი ნაგებობა XIII-XIV საუკუნეებს განეკუთვნება. ტაძრის კედლებზე შემორჩენილია სხვადასხვა ქრონოლოგიური ფენის - X-XI სს., XIII-XIV სს., XVI-XVII სს. - მოხატულობის ფრაგმენტები. ტაძრის სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ ნაწილში გამოსახულია ქტიტორი ბაგრატ III ეკლესის მოდელით ხელში.

სამონასტრო კომპლექსში ღვთისმშობლის ტაძრის გარდა შედის საკამაოდ დიდი, ორსართულიანი სასახლის - სამღვდელმთავრო „პალატის“, სამრეკლო-კარიბჭის და დამხმარე ნაგებობათა ნაშთები.

„მატიანე ქართლისას“ ცნობით, ბაგრატ მეფე „ალაშენა საყდარი ბედისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ ... შენირნა სოფელი მრავალნი ყოველთა ხევთა და ადგილთა, განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი“.

„მატიანე ქართლისას“ ავტორი ბაგრატ III-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დახასიათებისას აღნიშნავს: „უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედისა ეკლესისა, და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზთისასა“. იმავეს იმეორებს ვახუშტი ბატონიშვილი: „ალაშენა ... მეფემან ბაგრატ ეკლესია დიდშეუნიერ გუმბათიანი და შეამკო სიმდიდრითა დიდითა ფრიად. ამისთვის წერილ არს: ვისაც გენებოს სიდიდე და სიმდიდრე ბაგრატ მეფისა, განიხილე ბედის ეკლესია და მითი სცნობ“.

უნიკალური შემთხვევაა, როდესაც მემატიანე მეფის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისა და მისი სიდიადის ნარმოსაჩენად მეითხველს მოუწოდებს, იხილოს მის მიერ აგებული ტაძარი და მისი „სამკაული“. ბაგრატ III-ის მიერ ბედისა ტაძრისათვის შენირული უმთავრესი „სამკაული“ იყო ოქროს ბარძიმი, ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ძეგლი, რომელიც ტაძრის კურთხევის დროისათვის (999 წ.), დამზადდა, როგორც უმნიშვნელოვანესი სარწმუნოებრივი რელიკვია.

ბედის ბარძიმი არის მასიური მრგვალი ფორმის ბაჯაღლო ოქროს თასი (სიმაღლე - 12,5 სმ, დიამეტრი - 14 სმ, წინა - 752 გ.). ამჟამად პირვანდელი სახით შემონახულია მხოლოდ მისი ზედა ნაწილი, ხოლო ფეხი დაკარგულია. ბარძიმის გარე ზედაპირი სვეტებზე დაყრდნობილი თაღედით 12 არედაა დაყოფილი. ერთ მხარეს გამოსახულია ტახტზე მჯდომი მაცხოვარი, მის საპირისპირ მხარეს - ღვთისმშობელი ყრმით, ხოლო თაღებქვეშ - წმინდანთა გამოსახულებებია. ბარძიმის ზედა ნაწილში ერთსატრიქონიანი ასომთავრული წარწერაა, რომლის თანახმადაც იგი ბაგრატ მეფეს

და მის დედას გურანდუსტ დედოფალს მათ მიერვე აშენებული ბედის ტაძრისათვის შეუწირავთ: „წმიდაო ღმრთისმშობელო, მეოს ეყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და დედასა მათსა გურანდუსტ დედოფალსა, ამის ბარძიმისა შემწირველთა, ამის საკურთხევლისა შემამკობელთა და ამის წმიდაო საყდრისა აღმაშენებელთა, ამინ“.

ბედის ტაძრის უმთავრეს სარწმუნოებრივ რელიკვიებს წარმოადგენდა ასევე ბიზანტიიდან ჩამოსვენებული ვლაქერნის ღვთისმშობის ხატი და ღვთისმშობლის სარტყელი.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ბედის ტაძარში დაკრძალულია საქართველოს ერთიანი მონარქიის პირველი მეფე ბაგრატ III (978-1014). მეფე ტაოში, ფანასეკრტის ციხეში გარდაიცვალა 1014 წლის 7 მაისს და ბედიაში გადმოასვენეს. ამ ფაქტმა განსაზღვრა შემდგომში ბედის ტაძრისა და ბედიელი მღვდელმთავრის როლი და მნიშვნელობა ქვეყანაში. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ბედიელი სამეფო საფლავის მფარველი იყო, რაც საპატიო მოვალეობას წარმოადგენდა.

ბედია მნიშვნელოვანი საეკლესიო და კულტურის ცენტრი იყო. ბედის ეპარქიის მღვდელმთავარი ბედიელის სახელითაა ცნობილი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ბედიელთა სამწყსოს შეადგენდა ტერიტორია მდ. მოქვისწყალსა და მდ. დადისწყალს (ოქუმისწყალი) შორის.

ბედიელები დიდ როლს ასრულებდნენ ქვეყნის სასულიერო და კულტურულ ცხოვრებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ბედიელი მღვდელმთავარი მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეებს ასრულებდა. 1124 წლის შემოდგომაზე, როდესაც დავით აღმაშენებელმა შირვანი აიღო, შირვანის საქმეთა გამგებლად სვამერი ბედიელ-ალავერდელი დატოვა.

ბედიელები ყურადღებასა და ზრუნვას არ აკლებდნენ სინის მთისა და იერუსალიმის ქართულ სავანეებს, რის გამოც მიქაელ გონგლიბაისძე ბედიელის (XIII ს. II ნახ), ნიკოლოზ გონგლიბაისძე ბედიელის (შემდეგში აფხაზთის კათალიკოსი), ლაზარე ბედიელის (XIV ს.), მარკოზ ბედიელის (XIV-XV სს.), მელქისედეკ ბედიელის (XV ს. I ნახ.) მოსახსენებლები ამ სავანეების სულთა მატიანეებში შეიტანეს.

XIII-XIV სს. სოფრონ ბედიელსა (გონგლიბაისძე) და ნიკოლოზ აფხაზთის კათალიკოსს (გონგლიბაისძე) ბედის ტაძრის სამრეკლო აუშენებიათ. იმავდროულად, ტაძარი კაპიტალურად განახლება: ხელახლა მოპირეობეს და შეამკეს ფასადები, განახლდა ტაძრის გუმბათი და დაზიანებული ფრესკული მხატვრობა.

XVI საუკუნეში ბედიაში დიდი აღმშენებლობითი საქმიანობა მიმდინარეობს: ტაძრის განახლება, მისი ხელახლა მოხატვა და დველი მხატვრობის გაცხოველება. ბედიელი ანტონ ჟვანიძის დაკვეთით

## ტამრები

აიგო მღვდელმთავართა სასახლე - „პალატი“ (XVI ს. I ნახ.) ; ბედიელი გერმანე ჩხეტიძის (XVI ს. II ნახ.) დაკვეთით მოიჭედა ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი, განახლდა ბედის ბარძიმის ფეხი, გადაიწერა ბედის გულანი.

გულანი ორიგინალური ქართული საეკლესიო კრებულია, რომელიც არცერთსხვა ეკლესიას არა აქვს. მასში ჩვეულებრივ თავმოყრილია საღვთისმახურო წიგნები: სახარება, საქმე მოციქულთა, მოციქულთა ეპისტოლები, თორმეტივე თვის საგალობლები, მარხვანი, ზატკენი, ფსალმუნი, სკინაქსარი, ტიბიკონი, მოკლე ჰაგიოგრაფიული საკითხავები და სხვ. გულანი უზარმაზარი კრებულია, რომლის შექნა და დამზადება მხოლოდ მდიდარ ეკლესია-მონასტრებს შეეძლოთ. ბედიელ გერმანეს გულანის გადასაწერად შავშეთიდან მოუწვევია კალიგრაფი გაბრიელ ლომასანიძე. გულანის გადაწერაში აგრეთვე მონანილეობდნენ კალიგრაფები: ამბროსე კარგა-რეთელი და სვიმონ ევფრატელი, იგივე სვიმეონ გიორგის ძე.

ამდენად, ბედიაში არსებობდა სკრიპტორიუმი, სადაც ხელნაწერების გადაწერა, მორთვა-მოკაზმვა მიმდინარეობდა.

1639-1640 წე. ოდიშის სამთავროში იმყოფებოდნენ რუსეთის მეფის მიხეილ რომანოვის (1613-1645) დესპანები: მედავითნე ფ. ელჩინი და მღვდელი პ. ზახარიევი. 1640 წლის თებერვალში მათ ბედია მოინახულეს. რუსი დესპანების ცნობით, ბედის ტაძარში ინახებოდა მაცხოვრის ეკლის გვირგვინი; სამსჭვალი, რომლითაც მაცხოვარი ჯვარს აცვეს; ბანარი, რომლითაც მაცხოვარი ჯვარცმის წინ შეკრეს; აგრეთვე მაცხოვრის თმა და წვერი. მათი ცნობით, ეს სინმიდეები მთავრის ბეჭდით დაბეჭდილი ინახებოდა და მისი ნებართვის გარეშე არავის უჩვენებდნენ. მოგვიანებით, იტალიელი მისიონერი უოზე მარია დამბი, რომელიც XVII ს. 70-იან წლებში იმყოფებოდა ოდიშის სამთავროში, აღნიშნავს, რომ ბედიაში ინახებოდა ძელი ჭეშმარიტის ნაწილი, მაცხოვრის წვერი, ბანარი, რომლითაც იგი შეკრეს ჯვარცმის წინ და ტილონი, რომელშიც ღვთისმშობელი ჩვილ იესოს ახვევდა. ამრიგად, ბედიის ტაძარი ქრისტიანული რელიკვიებით მდიდარი ყოფილა.

ბედიის კათედრაზე მცირე ხანს მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი ნიკიფორე (ერისკაცობაში წიკოლოზ) ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი. ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც 1757-1758 წე. მოინახულა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, წერდა: „ჯვრის მონასტერში ხატია ... ბედიელი და ჯვარის მამა ნიკიფორე“.

ნიკიფორე ჩოლოყაშვილი კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის კარის მოძღვარი იყო, შემდეგ მცხეთისადამეტენის ეკლესიების წინამდღვარი, კახეთის მოძღვართ-

მოძღვარი; 17 წლის განმავლობაში ასრულებდა თეიმურაზ I-ის ელჩის მოვალეობას. 1632 წლიდან იგი დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობდა. 1643-1649 წე. იყო იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამდღვარი, ჯვრისმამა. 1643 წელს მისი ხელმძღვანელობითა და ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657) სახსრებით განახლდა და მოიხატა ჯვრის მონასტერი. სწორედ მაშინდელია ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ფრესკა ჯვრის მონასტერში.

XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან ოდიშის სამთავროს მძიმე დრო დაუდგა. იქ სრული ანარქია სუფევდა. ამას ერთვოდა აფხაზთა გამუდმებული თავდასხმები. თუკი XVI საუკუნის მინურულსა და XVII საუკუნის დასაწყისში აფხაზებმა მიიტაცეს ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი - ტერიტორია „ანაკოფიის მდინარესა“ (მდ. ფსირცხა) და მდ. კელასურს შორის, ახლა ისინი იწყებენ ბრძოლას მდ. კელასურის აღმოსავლეთი მიწა-წყლის მისატაცებლად. ამ ამბების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ხოლო უამებთა ამათ შინა იყო კირთება ოდიშს აფხაზთაგან“. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (1669-1707) გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ აფხაზებმა გაანადგურეს დადიანის სამფლობელო, „აიკლეს ეკლესიები და მონასტრები: მოქვი, ხოფი, ქიაჩი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე და ფაზისამდე“ (სოხუმიდან ცხენისწყლამდე და რიონამდე, —ავტ.), ამასთან, „დადიანი ისეთი უმწეო იყო, რომ ძალა არ შესწევდა გაერეკა აფხაზები“. ცხადია, ამ დროს ბედიის ეპარქია მძიმე დღეში იყო.

ამ პერიოდში, ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ეკლესია-მონასტრებიდან უსაფრთხო ადგილას, ოდიშის შიდა რაიონებში გადაპქონდათ საეკლესიო წიგნები, ხატები, ჯვრები, საეკლესიო ინვენტარი. ამ დროს გადმოუსვენებიათ ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი ბედიიდან მარტვილში, ბედიის გულანი და სხვა საეკლესიო სინმიდეები.

1681 წელს აფხაზებმა მიიტაცეს ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდ. კელასურიდან მდ. ლალიძგამდე. ამ ტერიტორიაზე შეუძლებელი გახდა ქრისტიანული ეკლესის ფუნქციონირება, რის გამოც დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები გაუქმდა. შფოთიანმა, მძიმე დრომ თავისი დალი დაამჩნია ბედიის ეპარქიასაც, დაწყო მისი დაკინიება. XVIII საუკუნის 60-იანი წლების მინურულს აფხაზთა ექსპანსიის შედეგად ბედიის კათედრაც დაცარიელდა და მოიშალა.

საქართველოს ერთიანობის სიმბოლო - ბედიის ტაძარი მდუმარედ ელოდება ქართველებსა და აფხაზებს, „აფხაზთა და ქართველთა მეფის“ ბაგრატ III-ის საფლავზე ქვეყნის ერთიანობისათვის მლოცველებს...

ბეჭან ხორავა



# ზაზა ფაჩული NBA-ს ისტორიაში გავიღე

**ქართველი ცენტრმა გუნდს 22 ქულა,  
21 მოხსნა, 7 პასი და 1 ჩატრა შესძინა**

ზაზა ფაჩულიას „მილუოკი ბაქსი“ ნიუ იორკში „ბრუკლინთან“ 127:129 დამარცხდა. თუმცა, ქართველი გულშემატკიცრისთვის მილუოკელთა ეს მარცხი არც თუ ისე მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნულ შეხვედრაში ქართველმა ცენტრმა მეტოქის ფარზე ბურთი 18-ჯერ მოხსნა, რაც ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის 21-ე საუკუნის საუკეთესო მაჩვენებელია. ზაზას მსგავსად მეტოქის ფარზე 18 მოხსნა, დენის როდმანს და ჩარლს ოკლის აქვთ შესრულებული. აღნიშნულ კონპონენტში საუკეთესო მაჩვენებელი მოუზეს მელოუნმა დააფიქსირა, ლეგენდარულმა კალათბურთელმა 1979 წელს მეტოქის ფარზე ბურთი 19-ჯერ მოხსნა, ხოლო 1982 წლის 11 თებერვალს მელოუნმა თავისივერეკორდი გააუმჯობესა და ნაბა-ს ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელი, მეტოქის ფარზე 21 მოხსნა დააფიქსირა.

ზაზა „ბრუკლინთან“ მატჩში სასტარტო 5-ეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 40 წუთი დაჰყო. ქართველმა ცენტრმა გუნდს 22 ქულა, 21 მოხსნა, 7 პასი და 1 ჩატრა შესძინა. ფაჩულიამ 16-დან 9 ორქულიანი ჩაგდო და 4-დან 4 საჯარიმო სროლა გამოიყენა. ზაზამ აღნიშნულ მატჩში პირადი რეკორდიც დაამყარა. ის ორ მაჩვენებელში 20 ნიშნულიან ზღვარზე ავიდა და გადააჭარბა კიდეც.

ქართველმა ორმაგი დუბლი შეასრულა, რაც მიმდინარე სეზონში მეცამეტედ მოახერხა, ხოლო სამმაგ დუბლამდე 3 პასი დააკლდა.

9 ცლის იყო, როდესაც დედამ, მარინე კოდუამ, პროფესიონალება კალათბურთელება შვილს აღნაგობისა და ფიზიკური მონაცემების გამო ურჩია კალათბურთის წრეზე შეიყვანა და აი, ზაზა 9 ცლის იყო, როდესაც „მართვები“ თამაში დაიცემო. 14 ცლის ასაკიდან, დედასთან ერთად თურქეთში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც სტამბულის აროვესინალ გუნდ VIK ერსაორ-ის ცევრი გახდა.

19 ცლიდან ფაჩულიას NBA -ის კლუბთან აჩვს კონტრაქტი. 2003-04 ში ზაზა Orlando Magic -ში თამაშობდა. 2004-05-ში კი Milwaukee Bucks-ში. 2006 წელს მან ხელი მოაწერა Atlanta Hawks-თან და დღემდე ამ გუნდშია.

იგი საქართველოს ნაკრების კაპიტანია. საქართველოს ნაკრებია მასთან ერთად შეძლო 2011 ცლის ევროპის ჩემპიონატზე გასვლა და ცარმატებულად თამაში. ქართველებმა 2013 ცლის ჩემპიონატის საგზულიც მოიაოვას.

# ვარსკვლავები

გთავაზობთ იცტერვიუს ზაზას დედასთან,  
ხალიაშვილ მარინა კოლუსთან:

უპირველესად, იმით ვამაყობ, რომ ჩემი შვილი კარგი ადამიანია. ეს პირადად მე მეხება და ჩემი დამსახურებაა. რაც შეეხება იმას, რომ ზაზა კარგი სპორტსმენია, ეს მისი დამსახურება და ღვთის წყალიბაა.

- **ძალიან დიდ დროს ატარებთ ერთმანეთის გარეშე, რაცალბათ, საკმაოდ რთული შესაგუებელია, მით უმეტეს, რომ ერთადერთი შვილის დედა ხართ.**

- ძალიან ძნელია. რამდენიმე დღის წინ ვეუბნებოდი ზაზას, ახლა ხომ ხარ მშობელი და მიხვდი, რა ძნელია ჩემთვის ცალ-ცალკე რომ ვართ-მეთქი. აქამდე სულ ერთად ვიყავით, ახლა კი, ენაცვალოს ჩემი თავი, თიკა არის მის გვერდით და მშვიდად ვარ. ვიცი, რომ მოვლილია, კარგად არის და ისინი ერთმანეთის პატრონები არიან. მშვიდად ვარ, მაგრამ სულ მენატრებიან. ადრე ერთი თუ მენატრებოდა, ახლა ოთხი მენატრება. ჩემთვის მთავარი ის არის, რომ კარგად არიან.

- **ძალიან სწრაფად გახდით ორი შვილიშვილის ბებია.**

- ტექნიკა გაუმჯობესდა. ზაზა ამერიკაში მარტო წავიდა, რომ ჩავედი უკვე ორნი იყვნენ. მეორე ჩასვლაზე სამინი დამხვდნენ, ხოლო ახლა – ოთხი. თითო ჩასვლაზე ერთით მეტი მხვდება. ჩემი შვილი დედისერთაა და მადლობა უფალს, თიკამ და-ძმის სიყვარული იცის, რა არის. ეკლესიური გოგოა და რამდენ შვილსაც უფალი მისცემს, ყველას გააჩენს. ამით მე ძალიან ბეჭნიერი ვარ.

- **როგორი დედამთილი ხართ?**

- თიკა ჩემი მეგობარია, ამას გულწრფელად გეუბნებით. როცა მე და თიკა ვჭორაობთ და ამ დროს ზაზა შემოვა, ვჩუმდებით. ჩემი შვილი ამაზე გიუდება, რატომ მე არ მეუბნებითო. იმიტომ, რომ ეს „მეუდუ ნამი დევოჩქამიო,“ პასუხობს თიკა. თუ რამე საიდუმლო მაქეს, თუ რამე მჭირდება, ზაზას კი არა, თიკას ვეუბნები. სანამ დედამთილი და დედა ვიქებოდი, ქალი ვიყავი. ამიტომ, როცა ქალი ხარ, ქალის გესმის. თუ რამე უმნიშვნელო, ბავშვურ რამეზე ჟერინიათ შეკამათება, ყოველთვის თიკას ვიცავ. ზაზა მაინც დედისერთაა და ეგოისტია. ეს უნდა ვალიარო. მინდა-არ მინდა, ასეა. იცის, რომ დედა მისია, სულ ზაზა, ზაზა... ახლა თიკა გამოჩდა. ეჭვიანობს, თიკა უფრო გიყვარს, ვიდრე მეო. თიკა არაჩეულებრივი ბავშვია, ასე მგონია, ჩემს ხელში გაიზარდა. როგორია იცით? დიდთან დიდი, პატარასთან პატარა. ძალიან გაგებული ბავშვია და ერთმანეთთან ძალიან შეხუმრებულები ვართ.

- **როგორი შეგრძნება გაქვთ, როცა ზაზას თამაშს ესწრებით?**

- უმართავი გულშე-მატკივარი ვარ. თამაშზე წასვლამდე საკუთარ თავს სულ ვაფრთხილებ, მარინა შენ სერიოზული ქალი ხარ, აღარ ხარ პატარა გოგო-მეთქი. მიუხედავად ამისა, თამაშის დაწყებიდან 5 წუთში, როგორ ვდგავარ სკამზე, არ ვიცი.



ყველაფერი მავიწყდება და ჩემი ყვირილი ყველგან ისმის. რაც მთავარია, სულ ზაზას ვეჩხუბები, სხვას არავის. ზაზა მეუბნება, გაითვალისწინე, როცა თბილისშია თამაში, ყველას ესმის შენი ქართულიო. უცხოეთში ამ მხრივ უფრო თავისუფლება მქეს და რასაც მინდა ვყვირივარ. თბილისში ძალიან მიჭირს. არასდროს ვჯდები ისეთ ადგილზე, სადაც სხვა მოთამაშების ოჯახის ნევრები სხედან. უფრო გიუ „ბალეშიკებში“ მირჩევნია. ხანდახან ზაზას ვაგინებ, მაგრამ ამ დროს ვინმემ რომ მითხრას – მეცო, ხომ მოვკალი.

- **ერთი შეხედვით, ზაზა საკმაოდ მკაცრ შთაბეჭდილებას ტოვებს უცნობებზე, თუმცა ასე სულაც არ არის. თიკას მიმართაც საკმაოდ ლობიტერია და დიდი სურვილი აქვს, მას საკუთარი საქმე ჰქონდეს. თავიდანვე ასეთი იყო, თუ უცხოეთმა შეცვალა?**

- ზაზა უცხოეთში საერთოდ არ შეცვლილა. ის ისევ ტიპური ქართველია. ბავშვობიდან შეჩვეულია, რომ ქალმა უნდა იმუშაოს და დაიხარჯოს. ქალი ყოველდღე უნდა გამოეწყოს და გარეთ ვავიდეს. მე მთელი ცხოვრება ვმუშაობდი, ისევე როგორც ოჯახის ყველა წევრი.

- **თბილისში თქვენ ზაზას ბიზნესს უძლვებით. როგორ მოირგეთ საქმიანი ქალის იმიჯი?**

- ორი წელია სასტუმროს ვამუშავებ. თავიდან ცოტა გამიჭირდა. რასაკვირველია, მეც კომუნისტური წყობიდან მოვდივარ. მივდიოდი სამსახურში, მე არაფერი მეკითხებოდა. ვაკეთებდი ჩემს საქმეს, ხელფასი და ავანსი სწრაფა-სწრაფად მოდიოდა და ასე. ახლა კი, როცა ხელმძღვანელი ვარ, ჩემზე გაცილებით ბევრია დამოკიდებული. მე ვარ ზაზა ფაჩულიას დედა და ყველაფერი წესრიგში უნდა მქონდეს. ამით ორმაგი პასუხისმგებლობა მაკისრია. მამაჩემი სენაციის საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო. სულ მონესრიგებული უნდა ვყოფილიყავი, რადგან პედაგოგების შვილი ვიყავი. ყოველთვის იუმორით ვამბობ, ადრე მამაჩემის შვილი ვიყავი, ახლა კი ზაზა ფაჩულიას დედა ვარ-მეთქი.



# 3არსკვლავები



მერე ბებია ვიქენები და ასე, სულ ფორმაში უნდა ვიყო.

## – სახელი ვინ შეურჩია სასტუმროს?

– მე „ზიფი“ ანუ ზაზა ფარულია. ცოდვა გამხელილი ჯობია, მინდოდა ჩემი სახელიც ჩამემატებინა და „ზიფიებ“, ყოფილიყო, მაგრამ არავინ, შემომთავაზა და გავრჩედი.

## – ზაზა თუ ერევა სასტუმროს საქმეში?

– არანაირად, ბოლომდე მონდობილია ჩემზე.

## – ძალიან სასიამოვნო და მყუდრო გარემოა თქვენთან. ვისი დიზაინით არის გაკეთებული?

– ყველაფერი აბსოლუტურად, ჩემი გემოვნებით არის გაკეთებული. არ იფიქროთ, ზაზამ შემაქო, როცა აქაურობა დაათვალიერა. მაინც იპოვა რაღაც, რის გამოც შენიშვნა მომწა. მეც თავს ვიმართლებდი, ეს ჯერ ვერ მოვასწარი-მეთქი. სხვათა შორის, ზაზა საკმაოდ მკაცრია.

## – როდის იგრძენით, რომ ზაზა გაიზარდა და ბავშვი აღარ იყო?

– დამიკერეთ, ზაზა რომ დაიბადა, უკვე კაცი იყო. არ მიყვარს, რომ აქებენ, ჩემი შვილი ისეთია, 3 წლის ასაკში შექსპირს ორიგინალში კითხულობსო და ასე შემდეგ. ჩემს შვილს სულ კრიტიკულად ვუყურებ, მაგრამ ვაღიარებ, რომ დაიბადა, უკვე კაცი იყო. 3 წლის იყო, ქუჩაში ვიღაც უცნობმა მამაკაცმა მანქანა გაგვიჩერა. ბავშვიანად გავიწიე, უცნობმა მანქანა დახია უკან და კომპლიმენტი მითხრა. 3 წლის ბავშვი ვერ გავაჩერე, რატომ გაგიჩერა მანქანა, რა უნდოდაო. სულ გაგიუდა. უკვე ეტყობოდა, რომ ტიპური ქართველი მამაკაცი იყო.

## – როგორია ვარსკვლავის დედობა?

– არაჩეულებრივი. ეს არის ჩემი ბედნიერება, მე სხვა ბედნიერება არ მქონია. შენი შვილი რომ უყვართ, ამაზე კარგი რა უნდა იყოს. სულ მეშინია ერთი რამის. ქართველებმა რა სისწრაფითაც ვიცით ადამიანის ცაში აყვანა, იმავე სისწრაფით ვიცით ძირს დანარცხება. სხვათა შორის, ზაზა ძალიან ნერვიულობს, როცა საქართველოში აქვს თამაში. მას ყოველთვის მეტი შეუძლია, ვიდრე აკეთებს. მისგან ყოველთვის ბევრს ვითხოვთ. გვავიწყდება, რომ ის ვარსკვლავიც ჩვეულებრივი, ჩვენნაირი ადამიანია. ქუჩაში ერთმა ბავშვმა მეორეს უთხრა, ბიჭო შენ რა ზაზა ფაჩულიას „პრიჩოსკა“ დაგიყენებიათ. სიხარულისგან კინალამ ვიტირე. ერთხელ კროსვორდშიც კითხვა შემხვდა ზაზაზე. კინალამ გავგიუდი. მიხარია, ჩემი გაზრდილი, ჩემი სხეულის ნაწილი ასეთი რომ არის.

– ამერიკულ ცხოვრებაზე რას იტყვით. ადვილად შეეგუეთ იქაურ სტილს?

– რა ვქნა, ჩემი ტალახიანი თბილისი მირჩევნია გაპრიალებულ ამერიკას. სხვათა შორის, იქ უფრო მეტად თავისუფალი ადამიანები არიან. მეც ასეთი გავხდი. თუ ჩემთვის საყვარელ ადამიანს, სპორტსმენს ან მსახიობს დავინახავ, არ ვიცნობ, მაგრამ მივდივარ და ვეფერები. რამდენიმე დღის წინ ზვიადაური პირველად ვნახე. მივედი და მოვეფერე, დედიკო გენაცვალე, შემოგევლე, შენ ჩვენი სიამაყე ხარმეთქი. ერთმანეთს გვერდი არ უნდა ჩავუაროთ, აუცილებლად უნდა ვუთხრათ თბილი სიტყვები. ეს ალბათ ამერიკამაც მასწავლა. ამით შეზღუდულები არ უნდა ვიყოთ. ვისაც სხვისი წარმატება უხარია, ყველამ უნდა გაიხაროს.

## – რაზე ოცნებობთ?

– ძალიან ძნელია გქონდეს შესაძლებლობა, კარგად იყო, მაგრამ თუ შენს გვერდით ადამიანი კარგად არ არის, არ არსებობს, ვერ იქნები ბედნიერი. სრულყოფილი ბედნიერება მინდა, ეს არის ჩემი ოცნება. ამისათვის კი ყველა ძალიან კარგად თუ არა, საშუალოდ მაინც უნდა იყოს.

– რა არის თქვენთვის ყველაზე დიდი კომპლიმენტი?

– ჩემი კომპლიმენტი ჩემი შვილია. მინდა, ერთი ამბავი მოგიყვეთ. ბაზარში ვიყავი და ერთმა გლეხმა, მიყურა, მიყურა და შენნაირი კულტურის მინისტრი მინდა მყავდესო. ისე ალალად და საყვარლად მითხრა, გადავეხვიე. ეს ყველაზე დიდი კომპლიმენტია, რაც მიმიღია.

## – როდის გეგმავთ ზაზასთან გამგზავრებას?

– ორ თვეში ერთხელ მათთან მივდივარ. ამერიკიდან რომ მოვდიოდი, ჩემებს ვუთხარი, მე მეტს აღარ ჩამოვალ, ანი თქვენ გელოდებით-მეთქი. როგორია, ორ თვეში ერთხელ ამერიკაში გადაფირინდი-გადმოფირინდი... მიუხედავად ამისა, ვეღარ ვძლებ და უკვე იმას ვფიქრობ, როდისთვის დავჯავშნო ბილეთი.

## – თვითონ როდისთვის გეგმავენ ჩამოსვლას?

– მესამე თუ არ დაიწყეს, ზაფხულისთვის ჩამოვლენ. ქორწილი ხომ უნდა გადაიხადონ, ჯვარი ხომ უნდა დაიწერონ საქართველოში!?

– როდის იყავით ყველაზე ამაყი საკუთარი შვილით?

– ზაზა ნამდვილი პატრიოტია და ამაში შარშან, ომის დროს, დავრწმუნდი. ამერიკის საელჩიოში უთხრეს, რომ ოჯახი გამოეყვანა. ზაზა ტელეფონში მიყვიროდა, მე დედა ცოცხალი მინდა, წამოდიო. მეც მინდა დედა და ვერ დავტოვებ აქ-მეთქი. ამის მერე, ზაზას რომ ჰყითხეს, შენი ოჯახი გამოვიყენოთ? ჩემი ოჯახი მთელი საქართველოა, უპასუხა. ეს რომ გავიგე, იცით რა დამემართა? აღარც ომის მეშინოდა და მზად ვიყავი, ცხელ წერტილში პირველი წავსულიყავი. ყველაზე ამაყი ჩემი შვილით, სწორედ მაშინ ვიყავი, როცა თქვა – მთელი საქართველოა ჩემი ოჯახით. ამის შემდეგ ზაზა ორმაგად შემიყვარდა და საკუთარი თავიც, ასეთი შვილი რომ გამიზრდია.

# სა ინება არსეთა გამრიგემ

ვალერიან ჭანტურია

თავიდანვე ვიტყვი ჩემს სათქმელს: ლუდოვიკო ჭანტურიას ძალით ლუარა ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც არის და ეს ერთი უბრალო მიზეზის გამო: მისი მშობლების ოჯახი წიგნიერების, პატიოსნების, შრომისმოყვარეობის ოაზისი იყო. მის მამას, სულმნათ ლუდოვიკო ჭანტურიას უფალმა დაანათლა საოცარი ადამიანური თვისებები, რის გამოც ის ყველგან გამორჩეული ინტელიგენტი იყო — საყოველთაო პატივისცემით გარემოსილი და აღიარებული პიროვნება. ბატონ ლუდოვიკოს სახელი მანათობელი ვარსკვლავივით გზას უნათებდა მის შვილებს.

ახლა, როცა ამ მყიფე პლანეტის თავზე დამოკლეს მახვილივით ჰქიდია გლობალიზაციის მსახვრალი ხელი, როცა ასე ცინიკურად და ცუდად შენიდბულად ებრძვიან მარადიულ მორალურ ღირებულებებს, როცა ტოტა-ლურად უტევენ ქვეყნის ძლიერების საფუძველთა საფუძველს, ოჯახს, უტევენ მართლმადიდებლობას, ლუარა ჭანტურიას მსგავსი ფსიქოლოგიისა და მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე ადამიანები თუ შეაჩერებენ კაცობრიობის უფსკრულში გადაჩეხვის საშიშ პროცესს. მადლობა უფალს, რომ ჩვენს ბეჭერულ ქვეყანაში ჯერ კიდევ ცოცხლობს წარსულისადმი პატივისცემისა და სამშობლოს მოვლის სურვილი.

ლუარა ჭანტურია თხემით ტერფამდე ქართველი მანდილოსანია, ტრადიციული, ზნეკეთილი, კლდემამოსილი, სათონ, სპეტაკული, განათლებული, ნიჭიერი და დახვეწილი

ინტელიგენტი, რომელსაც ამავდროულად არასდროს ტოვებს საკუთარი ღირსების გრძნობა. ის სანიმუშო დედა, ღირსეული თანამეცხედრე და მზრუნველი ბებიაა. თავის სათაყვანებელ ძმებთან ერთად მყარად უპყრია ხელთ საამაყო მშობლებისა და დიდი წინაპრებისაგან მიღებული ესტაფეტა.

ლუარას ამშვენებს თავმდაბლობა და მოკრძალება. მის ადგილზე ბევრი თავშეუკავებელი და ამბიციური ქალბატონი პრეტენზიულობით აიკლებდა ქვეყანას.

არსთა გამრიგემ არ ინება, რომ ღვიძლი და მყოლოდა, მაგრამ ამ სიცარიელეს უძვირფასეს ღვიძლ ბიძაშვილებთან ნელი, ამალია და იამზე ჭანტურიებთან ერთად ჩემი საამაყო დაიკო, ჩემი ლუარა ჭანტურია ავსებს.

დიდი ილიასი არ იყოს, დედა-შვილური სიყვარული მძლეთა მძლეა, მაგრამ და-ძმური სიყვარულიც ხომ მას ტოლსარუდებს. მეტიც, რაღაც ასპექტში მას ახლავს საოცარი ენით აღუწერელი დატვირთვა. აკი ბრძანა კიდევაც კოლხმა კაცმა: „იქ, სადაც და გაიგებს ძმის სიკვდილს, ბალახი არ ხარობსო“. უკეთესად ვის შეეძლო ეთქვა.

ლუარას შინაურულად ზოიას ვეძახით. სიმართლე გითხრათ, მე არ მომწონს არცერთი ეს სახელი, არც ლუარა და არც ზოია. ლუარას ანგლო-საქსონური ჟღერადობა აქვს, ზოიას კიდევ სლავური. მას უნდა ერქვას მის უდიდებულესობა ქართველი ქალის ტიპიური სახლი, თუნდაც ნინო, გნებავთ გულსუნთქვა.



ლუარა ჭანტურია  
პოეტი

## თვალსაზრისი

მის მკერდში ძგერს ადამიანებისადმი სიყვარულით გამოხარი გული. ავ-კარგიანი ქალია, ბავშვივით მიმნდობი და მიამიტი. უსაზღვროდ უყვარს ყველა, დიდ პატარიანად, განსაკუთრებით სისხლისმიერი ნათესაობა.

ჩემი ცხოვრება ფინიშის სწორზე გავიდა. ვუახლოვდები მარადიულობას. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემი ზოია ისევე გულწრფელად დამიტირებს, როგორც ვალია ჭანტურიამ დაიტარა მისი სათაყვანებელი მამა. ორიოდ სიტყვით ზოიას პოეზიის შესახებ:

გაოცებული ვარ და დღემდე ვერ გამიგია ერთი რამ: როგორ მოხდა ის, რომ მან გამოსცა ლექსების ისეთი, მე ვიტყოდი, მაღალი სინჯის კრებული, რომელიც ყველა დონეს პასუხობს და თანაც ეს ხდება იმ ვითარებაში, რომ მანამდე პოეზიისადმი ზოიას მიღრეკილების შესახებ არც არავინ იცოდა რა; არადა ამ პატარა კრებულს, რომელსაც „გული ლოცვას ლექსად მთხოვდა“ ჰქვია, მშვენიერების სამყაროში შეჰქავს მკითხველი და სიხარულით ავსებს მას. გაოცებას იწვევს ავტორის სიფაქიზე, ლექსის სისწრაფე და აზრის გადმოცემის უნარი.

მინდა აბსოლუტურად მიუკერძოებელი ვიყო და ხაზგასმით ვთქვა იმის შესახებ, რომ ზოია ჭანტურიას რამოდენიმე ლექსი დიახაც რომ დიდ პოეზიას განეკუთვნება.

არა მაქვა ორიგინალობის პრეტენზია და მაინც გავმეორდები: ყოველივე გენიალური ხომ ამავე დროს თურმე ძალიან მარტივია. ავილოთ თუნდაც ტერენტი გრანელის უკვდავი სტროფი:

„გაზაფხულის საღამოა მშვიდი,

სიდან სეზე გადაფრინდა ჩიტი“.

ამის შესახებ ხაზგასმას იმითაც ვაკეთებ, რომ ისეთ მარადიულ თემას, როგორიც არის დედისადმი სიყვარული, ავტორი გადმოსცემს უაღრესად აღმატებულ ხარისხში და ამავე დროს ძალზე უშუალო სახით.

„შორიდან ვწედავ გარდასულ ღრო ქამს,

და მოგონება საღისით მავსებს“

როგორც მფარველი მაღალი ღმერთი

ღერაც ერთია ამ ქვეუანაზე.“

მისი პოეზია ფილოსოფიურ ასპექტშიც იძლევა საზრდოს განსჯისათვის.

„ბუნება მუდამ რაღაცას მაღავს,

ზეცის ცრემლები ასველებს ბალახს“.

ეს არის პატარა შედევრი, რომელსაც ნებისმიერი დიდი პოეტი მოაწერდა ხელს.

ან კიდევ დღემდე ბოლომდე შეუცნობელი სიკვდილ-სიცოცხლის დილემა:

„ფოთლები წიდან ცვივიან მაგრამ არც ხეა სოფლად მარადიული“.

და აქ უნებლიერ გახსენდება დიდი რუსი პოეტის სერგეი ესენინის სიკვდილისწინა უკვდავი სტროფი:

„В этой жизни умирать не ново,

но и жить, конечно, не новей“

დიახ, ყველაფერი სწორად არის ნათქვამი: ჯერ იყო სიკვდილი, მერე-სიცოცხლე. მარადიულია ზეცაში გადაბრძანებული სული; აქაურობა კი ერთი გაელვებაა, რომელსაც ქართველმა კაცმა ნუთისოფელი უწოდა.

როცა ლუარასეულ „ენგურს“ ვკითხულობთ ჩემს მეხსიერებაში უმაღ ამოტივტივდა დიდი ქართველი პოეტის კარლო კალაძის იმავე სახელწოდების მშვენიერი ლექსი. ე-9 კლასის მოსწავლემ ზეპირად ვიცოდი და სხვადასხვა ღონისძიებებზე ვკითხულობდი კიდეც.

თითო სტროფი კარლო კალაძისა და ლუარა ჭანტურიას „ენგურიდან“:

„ვიმღეროთ სანამ არაა გვიან  
სანამ აქ ფეხზე დგას მთების ალეა,  
სანამ თვით ენგურს ენგური ჰქვიან  
და არა უკვე შავი ზღვის ტალღა“,  
ეს კარლო კალაძის „ენგურია“

„ქვასთან კაშხალი შემოეგება  
გახდა მორჩილი უცხო ძალისა,  
ასე დაბრუნდა ძველი ლეგენდა  
კლდეს მოჯაჭვული ამირანისა“.  
ეს ლუარა ჭანტურიას „ენგურია“.

ორთავე „ენგური“ ხაზს უსვამს შმაგი მდინარის დაურკებელ ენერგიას, რომელსაც ბოლოს და ბოლოს ან თვით ბუნება დააწყნარებს ან ადამიანი დაადგამს ულელს.

მე არც ლიტერატურათმცოდნე ვარ, არც ფილოლოგი და არც კრიტიკოსი, ჩემს მოსაზრებას რაიმე ღირებული მნიშვნელობა რომ ჰქონდეს, მაგრამ რიგითი მკითხველის გადასახედიდან, ვისთვისაც სულ ერთი არ არის ლუარა ჭანტურიას შემოქმედებითი საქმიანობა, მიმაჩნია, რომ საქმე ეხება თვითნაბად ტალანტს, რომელმაც გვიან შეახსენა თავი პოეზიის მოყვარულთ და რომელიც კვლავ გაახარებს მკითხველ საზოგადოებას.

# „13“ – გედიორების იგ უძღვრების სახისი 192 კარენიშვილი მატჩის გმიჩი

თვეობის თასების მფლობელთა თასის გათავაზების ფინალური მატჩი! ქართული ფეხბურთი უმაღლეს მწვერვალს იპყრობს და ამ ექსპედიციის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა 23 წლის ვიტალი დარასელია. გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი, რომლის მიერ გატანილმა სოლო ბურთმა საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნარმომაგდენელს თბილისის „დინამოს“ სასურველი და ნანატრი გამარჯვება მოუტანა.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ თითოეული ჩვენგანი, გუნდის მრავალრიცხოვანი გუშემატკივარი ენით გამოუთქმელი სიამაყით და სიხარულით ადავსო.

ჩვენ გვეონდა ბედნიერება, ვყოფილიყავით ამ ისტორიული წარმატების უშუალო მოწმე, მთელი თამაშის განმავლობაში, რომ ფირზე აღმებეჭდა, თუ როგორ გამოიტანდა იენის „კარლ ცაისის“ მეკარე თავისი კარის ბალიდან ჩვენი ბიჭების მიერ გატანილ ბურთებს. ვერც ერთი გოლი ვერ გადავიღე, თუმცა რატომ ვერ მოვახერხე ამის გაკეთება, მკითხველისათვის გასაგები იქნება.


შეუპოვარი, დრამატიზმით აღსავსე მატჩის დამთავრებისთანავე 3 წუთით ადრე ვიტალი დარასელიამ სასწაული მოახდინა. ულამაზესი და რაც მთავარია, ურთულესი „სლალომით“ ჩამოიტოვა რამდენიმე მონინააღმდეგე და მარცხენა ფეხით გადამწყვეტი ბურთი „კარლ ცაისის“ კარში გაიტანა.

წარმოუდგენელია და არც შეიძლება ასეთი გოლების დავიწყება.

ერთი სული მქონდა, მოედანზე გადავსულიყავით და გულში ჩამეკრა ადამიანი, რომელთანაც არასდროს მისაუბრია. ბედის უკუღმართობის გამო ვერც მოვახერხე მისი გაცნობა.

ამბობენ, თბილისში დაბრუნებულ ვიტალი დარასელიას აეროპორტში ერთ-ერთი გულშემატკივარი ფეხზე შემოხევიაო. მას ფეხბურთის მილიონობით გულშემატკივრის სახელით ასე გამოუხატავს აღფრთოვანება აღიარებული კერპისადმი.

ვიტალი დარასელია დაიბადა ოჩამჩირეში, 1957 წლის 9 ოქტომბერს. სწორედ აქ დაიწყო თამაში ადგილობრივ ბავშვთა გუნდში, შემდეგ საქართველოს პირველობაზე წარმატებით იცავდა ოჩამჩირის „ამირანის“ ლირსებას. 1974 წლის ბოლოს იგი რესპუბლიკის პირველ გუნდში მიიწვიეს. ვ. დარასელია ასე იგონებდა თავისი ცხოვრების გადამწყვეტ მომენტს: „1974 წლის საფეხბურთო სეზონის ბოლოს ჩატარდა მატჩი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩის მიზანი იყო „დინამოსათვის“ შეერჩიათ ახალგაზრდა ფეხბურთელები, მიხეილ იაკუშინმა რამდენიმე მოთამაშეს „დაადგა თვალი“, მათ შორის მეც ვიყავი. ასე დაიწყო ჩემი თბილისური „ოდისეა“.



**ვიტალი  
დარასელიას  
აეროპორტში  
ერთ-ერთი  
გულშემატკივარი  
ფეხბურთის  
გამოესვით**

## ცნობილი ადამიანები

1975 წლიდან იგი საკავშირო ჩემპიონატში გამოდის ძირითად შემადგენლობაში. პირველივე თამაშებმა ცხადყო, რომ გუნდში მოვიდა დიდი მომავლის მქონე ნიჭიერი ფეხბურთელი. მან ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი თბილისის „დინამოში“. სულ მალე ვიტალი დარასელია გახდა ჯერ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრები გუნდის ერთერთი წამყვანი ფეხბურთელი.

ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში როტერდამის „ფაინოროდთან“ მწერალ გურამ ფანჯიკიძესთან საუბარში დავით ყიფიანმა თქვა: ვიტალი დარასელია მრავალმხრივი ფეხბურთელია, აქვს ტექნიკური დარტყმები, კარგად გადის ცრუ მოძრაობით და მშენივრად ერკვევა მოედანზე შექმნილ სიტუაციებში. როდესაც ვიტალი არ თამაშობს მაშინ უფრო ვგრძნობდით ხოლმე, რა დიდ სამუშაოს ასრულებდა იგი მოედანზე.

**ვიტალი დარასელია:** 1974 წელს — ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, 1980 წელს — ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, 1978 წელს — სსრ კავშირის ჩემპიონი, 1976 და 1979 წლებში — სსრ კავშირის თასის, 1976, 1977, 1981 წლებში ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების, 1979 წელს — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ვერცხლის მედლის მფლობელი.

სსრ კავშირის ჩემპიონატებში ჩაატარა 192 კალენდარული მატჩი და გამოიტანა 26 ბურთი.

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში 22 მატჩი ითამაშა. მას ერთხელ უთქვამს, ჩემი ყველაზე დიდი სურვილია, სპორტული ბიოგრაფიის ბოლო დღემდე საბჭოთა კავშირის ნაკრებში ვითამაშო. ვიტალი დარასელია ხუთჯერ დაასახელეს ჩვენი ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში, მათ შორის 1981 წელს პირველ ნომრად.

1981 წელს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

1982 წელს მონაწილეობდა მიიღო ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში.

საოცრად შრომისმოყვარე, დაჯილდოებული უშრეტი ენერგიით, უმაღლესი დახვენილი ტექნიკით, უტყუარი ტაქტიკური აზროვნებით, ბრძოლის უსაზღვრო უინით. ასეთი იყო ვიტალი დარასელია.



1981 წლის 13 მაისი

მის მომავალ, დიდ სპორტულ მიღწევებში ეჭვი არავის ეპარებოდა... მაგრამ ბრძა შემთხვევამ შეიწირა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ჯანდღნით სავსე სპორტსმენი, რომელსაც კვლავ ბევრის გაკეთება შეეძლო. დიდების მწვერვალზე მყოფი წავიდა ჩვენგან სიცოცხლის მოტრფიალე ახალგაზრდა, იმ დროს, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა ქართულ ფეხბურთს.

თავისი თავმდაბლობით და მოკრძალებით, ფეხბურთის ფანატიკური სიყვარულით, მეგობრებთან გულლია და უშუალო ურთიერთობით, ვიტალი დარასელიამ წარუშლელი კვალი დატოვა სამამულო ფეხბურთის ისტორიაში, ისევე როგორც ბევრმა შესანიშნავმა ქართველმა ფეხბურთელმა — შოთა შავგულიძემ, ვლადიმერ მარლანიამ, შოთა იამანიძემ და სხვებმა.

ფეხბურთის გულშემატკიცვრები არასდროს დაივინებენ ვიტალი დარასელიას, ვისთვისაც რიცხვი „13“ საბედისწერო აღმოაჩნდა. იგი დაქორწინდა 1976 წლის 13 ნოემბერს, მის სახელთანაა დაკავშირებული გამარჯვების მოტანი გოლი 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“, მან ტრაგიკულად დაასრულა თავისი ხანმოკლე, მაგრამ ლამაზი და შინაარსიანი ცხოვრება 1982 წლის 13 დეკემბერს.

1978 წლის 27 სექტემბერს, როდესაც თბილისის „დინამო“ ნებაპოლში „ნაბოლის“ ხვდებოდა, ვიტალი დარასელიას ვაჟიშვილი შეეძინა. მისი სურვილის თანახმად ახალდაბადებულს გოლის ავტორის სახელი უნდა დარქმეოდა და სწორედ ამ დღეს ბურთი მონინალმდეგის კარში თვითონ ახალშობილის მამამ გაიტანა.

ვიტალი ვიტალის ძე დარასელია! — შვილი ქართველი ფეხბურთის რაინდისა, რომლის სახელსაც მუდამ სიყვარულით და მოკრძალებით შეინახავს ქართული ფეხბურთის ისტორიას.

დამიკვიდვებულება

ტექსტზე იმუშავა ინიციატივის მიერ დამტკიცებულია

# ქამალ ჭავასელის

## მე-80 გაზაფხული

1935 წლის 18 მაისს სოფელ წითელმთაში (შემოქმედის თემი) დამის სიმყუდროვე თოფის გრიალმა დაარღვია. „ბიჭია, ბიჭი!“ — დაედევნა გასროლის ექის მამაკაცის ხავერდოვანი, ძლიერი ხმა. ამ მამაკაცის მიზეზი მსოფლიოში უდიდეს შემოქმედებით ანსამბლად აღიარებული „ერისონის“ სამხატვრო ხელმძღვანელის ჯემალ ჭკუასელის დაბადება იყო. ჭკუასელების გვარის კიდევ ერთი ვარკვლავი დაიბადა ჭკუასელების, რომელთა არაერთმა ღირსეულმა წარმომადგენელმა ქართული ხალხური სიმღერის გადარჩენის, შენახვისა და განვითარების საქმეში ღომის წილი შეიტანეს.

მარტო ბატონი ჯემალის დიდი პაპის გრიგოლ ჭკუასელის გახსენებაც ქმარა, რომელსაც თვით რატილმა, ქართული სიმღერის ამ დიდმა მცოდნებ და ოსტატმა, „გამორჩეული ხმა“ (ტენორი) უწოდა.

ჯემალ ჭკუასელის ბავშვობის წლებმა მშობლიური სოფლის წარუშლელ სილამაზეში, ქართული სიმღერის უსაზღვრო სიყვარულში, მშობლებისა და კუთხემეზინბლების სიყვარულში ჩაიარა. 1955 წლიდან იგი უკვე თბილისში ცხოვრობს. სკოლის დამთავრების შემდეგ ურჩევდნენ კონსერვატორიაში ჩაებარებინა. ერთხანს თვითონაც ჰქონდა ამის სურვილი, მაგრამ ქართული სიმღერის სიყვარულმა სხვა გზით წაიყვანა.

იმხანად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გამორჩეულად კარგი ანსამბლი არსებობდა. რომელსაც ლოტბარი გოგი გუგუშვილი ხელმძღვანელობდა. ანსამბლში დიდებული მომღერლების მთელი კოპორტა შეიირიბა. სწორედ მათი დაუინიშით და ანსამბლის სიყვარულით მოხიბლულმა გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი — 1962 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები ჩაირიცხა. სულ მალე ანსამბლის ნამდვილი სული და გული გახდა. მისი თანაგუნდელები დღესაც აღტაცებით იხენებენ ჯემალის საოცარ ხმას, რომელსაც შერმანდის ბანს ადარებენ. ზოგჯერ მეორე ხმასაც ამბობდა ხოლმე და ნამდვილი კოლორიტით, სითბოთი, სიღრმით, საოცარ ეშხს მატებდა მთელ გუნდს. მერე ინსტიტუტში ჩამოყალიბებულმა მოყვარულ მსახიობთა დასმა გაიტაცა, რომელსაც დიდებული ადამიანი, ცნობილი მსახიობი და რეჟისორი კუური მუვანაძე თავკაცობდა. პირველად „მაია წყნეთელში“ ითამაშა,



მერე მისმა ბეჭანამ ნამდვილი სენსაცია გამოიწვია თეატრალურ საზოგადოებაში. ურჩევდნენ კიდეც, ამ გზას გაჰყოლოდა. თვითონაც შეყოყმანდა თითქოს, მაგრამ... გენი მაინც გენია. ისევ საყვარელ ანსამბლს მიაშურა, მიაშურა უკანასკნელად და საბოლოოდ.

ანსამბლს არც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დასცილებია. ერთხანს გარდაბნის რაიონში მთავარ აგრონომად იმუშავა, მაგრამ დიდი თავ-გამოდების მიუხედავად ნიჭი ვერ გამოიჩინა. ან რა გასაკვირია, გული სიმღერისაკენ მიუწვდოდა და ყველა თავისუფალ წუთს მომღერალ მეგობრებთან ატარებდა.

ამ დროს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში რეორგანიზაცია დაიწყო. იქ ახალი ხელმძღვანელი დაინიშნა — დიდებული ადამიანი, ლოტბარი გურამ ბაქრაძე. იგი ყველა კუთხეში დაექებდა ქართული სიმღერების კარგ შემსრულებლებს. არ მოესმინა, მაგრამ გაეგონა ჯემალ ჭკუასელის ქება. ერთხელ მისი დავალებით ჯემალს მეგობარმა ჯანო გიორგაძემ მიაკითხა, უთხრა — შენ ატამსა და ვაშლს ვერ არჩევ ერთმანეთისაგან, რანაირი აგრონომი ხარ, წამოდი, ანსამბლში იმღერო. ჯემალი შეკრთა და უარი უთხრა. მერე მოჭიდავე გურამ საღარაძესთან ერთად დაადგა თავზე. გურამმა გააფრთხილა — თუ არ წამომყვები, შეგკრავდა ისე წაგიდებსო. ასე წარდგა პირველად გურამ ბაქრაძის წინაშე. დელავდა. ცუდად იმღერა. გურამი რის გურამი იქნებოდა, დასანახი ვერ დაენახა. ხელი ჩაიქნია — მაღლობა ღმერთს, ყურიანი კაცი მომივიდაო.

# ლოტბარი

ჩაირიცხა დიდ ანსამბლში და არც გაუცედა ხელმძღვანელს ნდობა. სამი წლის განმავლობაში ანსამბლის წამყვანი სოლისტი იყო. ყოველთვის გამოირჩეოდა მისი კოლორიტული, თავისებური და საოცრად ულერადი ბანი. ერთბაშად მიიქცია ყურადღება არა მარტო როგორც შემსრულებელმა, არამედ როგორც სიმღერების დიდებულმა მცოდნემ.

მერე იყო ქუთაისი.

თვითონ იუმორით იგონებს: „1978 წელს შემომთავაზეს ქუთაისში წაესულიყავი და ანსამბლი ჩამომეყალიბებინა. უარი ვთქვი. ბევრმა სცადა ანსამბლის შექმნა ქუთაისში, მაგრამ ვერავინ შეძლო. ბოლოსდაბოლოს მაინც წავედი. ძალიან გამიჭირდა. პირველ ორ-სამ თვეს ლამის თვითმკვლელობამდე მივედი. მერე უცრად გაიხსნასავით და ერთ

## ყურიანი ქაში. ასე უნდევდნენ ბატონ ჯამალს

წელინადში დიდებული ანსამბლი ჩამოყალიბდა. პრემიერას მაშინდელი ცეკას მდივანი ედუარდ შევარდნაძე დაესწრო. ამოვიდა სცენაზე და მომილოცა წარმატება. მერე უცბად მკითხა — სადაური ხარო. ვუთხარი, გურული ვარ-მეთქი. მთავარ ქორეოგრაფსაც ჰქითხა — შენ სადაური ხარო. მანაც უთხრა — მეც გურული ვარო. ქალაქომის მდივანიც, ჩვენი კოსტიუმების ავტორი მერაბ ბერძნიშვილი, ყველა გურული გამოდგა. მერე ლიმილით იკითხა — ყველა გურული ხართ და გამაგებინეთ, ამ ქუთაისლებს რა უხარიათ... იუმორი იუმორია, მაგრამ მწარედაც გამაფრთხილა: ჯემალ, იცოდე, მწვერვალზე ასვლა ძალიან ძნელია და ჩამოვარდნა ძალიან ადვილიაო. წუთითაც არ ვიგინყება ამ გაფრთხილებას“.

თავდაუზოგავი შრომა, ბრძოლა, ღამეების თენება თანამოაზრებთან ერთად. ასე შეიქმნა სიმღერისა და ცეკვის ქუთაისის სახელმწიფო ანსამბლი რომელმაც მსოფლიო ტრიუმფით შემოიარა (1979 – 86). 1986 წლიდან ანსამბლ „ერისიონის“ სამსატვრო

ხელმძღვანელია.

ბატონი ჯემალის ბიოგრაფიის ოქროს შტრიხები კი ასეთია:

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“ 1885 წელს შეიქმნა. 2010 წელს „ერისიონი“ 125 წლის გახდა, რაც უპრეცენდენტო შემთხვევაა როგორც ჩვენში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამ ანსამბლს მუზეუმსაც კი უწოდებენ. 1999 წლიდან ეწოდა ანსამბლს „ერისიონი“. (რაც სულხან-საბას განმარტებით ცის იერს, მთის წვერს, ზეითს ნიშნავს). ანსამბლი 2 საათის განმავლობაში პროფესიული სცენიდან წარმოაჩენს პლანეტაზე უანალოგო ქართულ ხალხურ სიმღერასა და ცეკვას, ყველა კუთხისთვის დამახასიათებელი კოსტუმებით, ქართული ხასიათითა და ბუნებით.

„ერისიონისთვის“ დამამახასიათებელი ფაქტორია ის, რომ სცენაზე ხალხური სიმღერები ყოველთვის ცოცხლად სრულდება და ცეკვებშიც გათანამედროვებული ილეთები არ შეინიშნება, რაც ძირძველი ქართული ტრადიციების დაცვაზე მივანიშნებს.

2002 წელსანსამბლ „ერისიონს“ პარიზში ოქროს დისკი გადაეცა.

ჩაკრულო, რომელიც 1977 წელს ამერიკელებმა გააგზავნეს გალაქტიკაში, რამოდენიმე მუსიკალურ შედევრთან ერთად, ამ ანსამბლის ჩანაწერია.

ანსამბლმა ამ ბოლო ხანებში ახალი შოუ პროგრამის „ქართული ლეგენდის“ დადგმა განახორციელა და წარუდგინა როგორც ქართველ, ისე უცხოელ მაყურებელს. ყველა ერთხმად აღნიშნავს, იგი „ერისიონის“ განხორციელებულ შოუ პროგრამათა შორის („ლეგენდა თამარზე“, „ქართული ლეგენდა“, „ლეგენდა ქარიშხალზე“) ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა.

დღესდღობით „ერისიონი“ კვლავ აქტიურად განაგრძობს მუშაობას, ანსამბლს მრავალი მიწვებები აქვთ სხვადასხვა ქვეყნიდან, სადაც სრული ანშლაგით ატარებენ კონცერტებს. ქართველი მაყურებლი კი, როგორც ყველაზე კრიტიკული შემფასებელი მოუთმენლად ელოდება „ერისიონის“ ყოველ კონცერტს, რათა კიდევ ერთხელ იხილოს ნამდვილი „ქართული საგანძურის“ შედევრი.

ვულფავთ ბატონ ჯემალს 80 წლის იუბილეს. ვუსურვებთ კვლავ დიდხანს ულერდეს მისი ხმა ბულბულიანი მსოფლიო მსმენელთათვის. ის ხომ დედამიწისა და გალაქტიკას შორის ერთგვარი დესპანია.

თეატრი მოახდენა  
ნინო რახვიაშვილეა



# გლოკუფლეიტის გასაიღუალე

## ოძნრ მინდოონიშვილი

ქართული მუსიკის წინაშე თითოეულ კომპოზიტორს საკუთარი წვლილი მიუძღვის. ამ წვლილისა და ღვანლის შეფასება ჩვეულებრივი მსმენელის და პროფესიონალი მუსიკოსის მხრიდან, როგორც წესი, აღიქმება, როგორც კომპოზიტორის შემოქმედებისა და იმ ეპოქის სინთეზი, რომელშიც ის მოღვაწეობს.

70—იან წლებში ქართულ მუსიკში გამოჩნდა ახალგაზრდა იმედისმომცემ კომპოზიტორთა თაობა, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო, ომარ მინდორაშვილი...



ომარ მინდორაშვილი შემოქმედებით ასპარეზზე 70—იანი წლების მეორე ნახევრიდან გამოვიდა და დასაწყისშივე ჩამოყალიბდა ავტორის სტილი და წერის მანერა, მუსიკალური ენის გამომსახველობა. კომპოზიტორის შემოქმედება მრავალფეროვანია — შექმნილი აქვს სიმფონიები, კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებები, კონცერტები, საბავშვო სიმღერები, მუსიკალური კომედია და სხვა. მის შემოქმედებას ახასიათებს მრავალფეროვანი ინსტრუმენტალური ფაქტურა, რთული საშემსრულებლო ეფექტი. ეს თავისებურებები განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა მის სიმფონიურ და კამერულ-ინსტრუმენტულ ნაწარმოებებში.

ომარ მინდორაშვილი დაიბადა თბილისში, 1943

წლის 27 მარტს. დამთავრა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია, 1969 წელს კლარინეტის, სოლო 1976 წელს კომპოზიციის განხრით (ა. ბალანჩივაძის კლასი).

კომპოზიტორის შემოქმედებაში წამყვანი ადგილი კამერულ-ინსტრუმენტულ მუსიკას უჭირავს, სადაც ნათლად შეინიშნება კომპოზიციური სტრუქტურის ლოგიკურობა, სიმწყობრე და მისწრაფება თანამედროვე მუსიკალური ენის თავისებურებების ათვისებისკენ. მისი ერთ-ერთი ადრეული ქმნილება ამ ჟანრში — პირველი კვინტეტი სასულე ინსტრუმენტებისათვის (1976 წ.) წარმატებით აუდერდა სხვადასხვა ქვეყნებში — ესტონეთი, რუსეთი, უკრაინა, იტალია, აშშ, კუბა, ფინეთი. საქართველოს მუსიკალური საზოგადოების კვინტეტის მუსიკოსებთან ერთად 1990 წელს ო. მინდორაშვილი „სარი ოპერა კომპანის“ პრეზიდენტმა, უოლტერ ნოვაკმა (აშშ) მიიღვია მენის შტატში, ნიუ-იორკსა და ბოსტონში, სადაც შესრულდა მისი ორივე კვინტეტი.

არანაკლები წარმატება ხვდა წილად კომპოზიტორის მეორე სასულე კვინტეტს, რომელიც გერმანელი მუსიკოსის, არმინ აუსემის თხოვნითა და პამბურგის ფირმა „პანს სიკორსკის“ დაკვეთით შეიქმნა. კვინტეტი ჩაიწერა საარის მხარის რადიომ. ამ ორივე ნაწარმოებმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა საშემსრულებლო რეპერტუარში.

კომპოზიტორმა ცნობილ ესტონელ მუსიკოსს, სამუელ საულუსს მიუძღვნა ვირტუოზული საკონცერტო ხასიათის სონატა ფლეიტისა და ფორტეპიანოსთვის, რომელიც პირველად 1978 წელს შესრულდა ტალინში.

კამერული ნაწარმოებიდან აღსანიშნავია: „მგზავრული ჩანახატები“ ფორტეპიანოსთვის (1975წ), „მინიატურები“ ფორტეპიანოსათვის (2001წ); „ნონეტი“ (სასულე და სიმებიანი ინსტრუმენტებისათვის); საფორტეპიანო სექსტეტი (ფორტეპიანო, ფლეიტა, პოპიო, კლარინეტი, ვალტორნა, ფაგოტი); ვოკალური

## ხელოვნება

ციკლი „ვისი ბედის ვარკვლავი ხარ“ ბარიტონისა და ფორტეპიანოსათვის.

2010 წელს კომპოზიტორის ორ ნაწარმოებს — „სამი განწყობა“ — ჰქონის, კლარინეტისა და ფაგოტისათვის; „კონცერტინის“ — სოპრანო ბლოკფლეტისა და ფორტეპიანოსათვის — მიღებული აქვს საქართველოს კულტურის სამინისტროსა და კომპოზიტორთა კავშირის II პრემიერა.

1011-2012 წლებში გამოიცა ომარ მინდორაშვილის მიერ რედაქტირებული საკუთარი და ქართველ კომპოზიტორთა პოპულარული სიმღერების ორი კრებული „საბავშვო და საყმანვილო სიმღერები“.

ომარ მინდორაშვილი ბლოკფლეტის მგზნებარე პროპაგანდისტია. მას დიდი დვანლი მიუძღვის საქართველოში ამ ინსტრუმენტის კლასის დაარსებაში. შექმნილი აქვს უამრავი პიესა ბლოკფლეტისათვის. მათგან შეიძლება დავასახელოთ: „ბგერათა იმპრესიების სიმფონია“ ბლოკფლეტის ანსამბლისა და დასარტყები ინსტრუმენტებისათვის (1980), ორი ესკიზი (1980). „ოუმორესკა“ სამი ბლოკფლეტისათვის (ორი სოპრანო, ალტი, 1979.), სწორედ „იუმორესკით“ და პარაფრაზებით“ 1988 წელს ო. მინდორაშვილი წარსდგა გერმანელი მსმენელის წინაშე ვაისკირხნის საზაფხულო სემინარ-კონცერტებზე (პროფესორ ვ. კოხის მიწვევით), სადაც კომპოზიტორს დიდი წარმატება ხვდა წილად. ეს ნაწარმოებები გამოსაცემად მიღებულ იქნა ჰამბურგის გამომცემლობა „ჰანს სიკორსკის“ მიერ.

კომპოზიტორის მხატვრული ინტერესები არ

იფარგლება რომელიმე ერთი ჟანრით. ო. მინდორაშვილს სიმფონიური ორკესტრისათვის შექმნილი აქვს „უვერტიურა“, „დილა ჭაობზე“, „საზეიმო ექსპრომტი“, ორი სიმფონია, „კონცერტი ფაგოტისა და ორგესტრისათვის“, „სიუიტა“ სიმფონიური ორკესტრისათვის და სხვა.


ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის გარდა, კომპოზიტორი წლების მანძილზე ეწევა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა თბილისის სამუსიკო სკოლებში საორკესტრო განყოფილებაზე. ომარ მინდორაშვილმა 1978 წელს, პირველად საქართველოში, ჩამოაყალიბა ბლოკფლეტის კლასი და დღიდან დაარსებისა, ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ სამუსიკო ათწლებში მიჰყავდა სრული კურსი. ამასთანავე, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოსა თუ სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ ბლოკფლეტის სემინარ-კონცერტებში, მას დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს ქვეყანაში ამ ინსტრუმენტის განვითარებასა და მეთოდური დანერგვის საქმეში. იგი თანავტორია ორი კრებულისა — „ქართული მუსიკა ბლოკფლეტისათვის“, პიესები და ანსამბლები სოპრანო ბლოკფლეტისა და ფორტეპიანოსათვის, რომელმაც პედაგოგიურ რეპერტუარში მყარად დაიმკიდრა ადგილი. ომარ მინდორაშვილი დღესაც აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამჟამად კომპოზიტორი აქტიურადაა ჩაბმული შემოქმედებით მუშაობაში.

- ◆ „მხოლოდ დაჩიქილ ლოცვას ისმენენ ღმერთები.“
- ◆ „თავიდან ყველაფერი ძნელია.“
- ◆ „ადამიანი მიწის შვილია და დედას რომ მოსწყდება, ყველა და ყველაფერი დედინაცვლად ექცევა.“
- ◆ „არავინ იცის, ადამიანები გულწრფელად როდის ტირიან ან იცინან, მაგრამ ვინც დარდისგან გასიებული ცრემლებს ჩუმად ყლაპავს, გწამდეთ, მეგობრებო! ის მართლა ტირის“
- ◆ „ბევრი ვაკეთე და ვაშენე, მეყოფა, ანი სხვებმა აშენონ და აკეთონო, რომ იტყვი და ხელებს დაიბან იცოდე, იმ დღიდან ანგრევ, თუ რამე აგიშენებია.“
- ◆ „ოფლისა და სისხლის დაულვრელად დამოუკიდებლობა არავის დაუმკვიდრებია.“
- ◆ „ჭკუა თავშია და არა ხანში.“
- ◆ „მე შენ გეტვი, მდიდარი ენა არ გვაქვს, თუ სიტყვები გვაქვს საძებარი?! ეგ გვაქვს და ფასი არ ვიცით ამ საგანძურის. „ვეფხისტყაოსანში“ რაც სიტყვებია, არ გვყოფნის საწერად და სალაპარაკოდ?! რასაც ის არ ხმარობს, ჩვენ რატომ ვხმარობთ, თუკი იმ გენიოსს არ დაჭირვებია?!“
- ◆ „ვისაც ერთი ძირი ხე არ დოურგავს, ის ჩრდილში არ უნდა შეუშვა, სულ ჰაპანაქებაში უნდა არონიო.“
- ◆ „მგონია, ადამიანი იმაზე ადრეც კი, სანამ ანბანის სწავლას დაიწყებდეს, რაღაცისათვის უკვე მოწოდებულია და მერე ოჯახი, სკოლა და ინსტიტუტი მასში მხოლოდ იმას ზრდიან, რისთვისაც ის გაჩნდა.“



თანამედროვე არგონავტები

# ისამონისგან განსხვავებით ტიმ სევერინმა ოქერს საწმისი საქართველოში გყრით წაიღო



**თანამედროვე არგონავტება  
სტარტი 1984 წლის 3 მაისს  
საბარძნეთის ქალაქ ვოლოვეში —  
ანტიკურ იოლკოსში აიღოს. სორიდ  
აქადან დაიციას თავის მოგზაურობა  
იასონია და მისა მეგობრება.**

შურდალი „სამეგრელო“ იცყვას სირიულ გამუქებას ერთი მათად საინფეროსო ისტორიული ფაქტისა, რასაც „ტიმ სევერინის“ საპართველოში მოგზაურობა ჰქვია, ეს იქნება ოქროს სანიტარის მაძიებელი არგონავტების ისტორიული ფაქტის გამყარება და ყველაზე მატი, მისი ისტორიული ფასების ძირი. ვისაუბრობთ 3300 წლის წინ შევაძლოთ თუ არა ოიკუმენის კოლხეთის სანაპიროსთან მიეღიათ. ამ და სხვა საინფეროსო დატალებს არგონავტებისა და „არგოს“ მოგზაურობის შესახებ მომდევნო ნომრაგიდან შეიტყობით.

„მე ვიპოვვე ოქროს საწმისი, მაგრამ იასონისაგან განსხვავებით, იგი „არგოთი“ კი არა, გულით მიმაქვს. ჩემი „ოქროს საწმისი“ — ეს გახლავთ შეხვედრები თანამედროვე საქართველოს ადამიანებთან, შთამშეჭდავი და დაუკინები შეხვედრები“.

ეს კი საქართველოდან გამგზავრებისას ნათქვამი სიტყვებია. რაც კომენტარს, რა თქმა უნდა, არ საჭიროებს.

ინგლისელი მოგზაურის, მწერლისა და მეცნიერის ტიმ სევერინის სახელი საქვეყნოდ არის ცნობილი. 1984 წლის მან არგონავტთა მითიური მოგზაურობა გაიმეორა და ამით მისი რეალურობა, ისტორიულობა დაასაბუთა. ტიმ სევერინის „არგომ“ საბერძნეთის ქალაქ ვოლოვეში — ანტიკურ იოლკოსში აიღო სტარტი და სამი თვის შემდეგ ღუზა ჭყვიშში, გალაკტიონ ტაბიდის ეზოში

ჩაუშვა. ექსპედიციის ბოლო ეტაპზე „არგოს“ ერთ-ერთი მენიჩბე იყო მწერალი და უურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი. თავის წიგნში იგი საინტერესოდ მოგვითხრობს თანამედროვე არგონავტთა საქართველოში მოგზაურობის ამბებს.

1984 წლის 21 ნოემბერს დიდი ბრიტანეთის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების წინაშე მოხსენებით ნარსდგა ცნობილი ინგლისელი მოგზაური, მწერალი და მეცნიერი ტიმ სევერინი. მოხსენების თემა იყო „თანამედროვე არგონავტთა“ ლაშქრობა, რომელიც მიზნად ისახავდა იასონის მოგზაურობის მარშრუტის განმეორებას და არგონავტთა მითის რეალური ისტორიული ფესვების ძიებას. სევერინის გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მოხსენების შემდეგ მან ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია „ბი-ბი-სის“. ეს ინტერვიუ 1985 წლის 1 იანვარს საქართველოს

## თანამედროვე არგონავტები

ტელევიზიონულ გადაიცა. ტიმ სევერინმა, სხვათა შორის, იმ შთაბეჭდილებებზეც ისაუბრა, რომლებიც მან საქართველოში მოგზაურობისას მიიღო.

საერთოდ, უკანასკნელ ათწლეულებში შესამჩნევად გაძლიერდა ინტერესი საბჭოთა საქართველოს, მისი კულტურისა და ისტორიის, მისი დღევანდელობის მიმართ. მართალია, საქართველო მუდამ იწვევდა ინტერესს, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე ეს ინტერესი უფრო საყოველთაო, უფრო მრავალმხრივი, უფრო საგნობრივი და კონკრეტული გახდა. ცნობილი ქართველოლოგი ბერნარ უტიე ამბობს: „ძველი ქართული კულტურისა და მეცნიერების გარეშე ძნელი იქნებოდა ზოგადად მსოფლიო კულტურის ზუსტი შეფასება“. ამ ფონზე გულწრფელად უდერს ტიმ სევერინის მიერ არაერთგზის თქმული ჯენტლმენური სიტყვები: „მე საქართველოში ჩამოვედი, როგორც სტუდენტი, ჩამოვედი ქართული კულტურისა და ისტორიის შესასწავლად“. ამ ფონზე ბუნებრივია ისიც, რომ მეცნიერები და არა მარტო მეცნიერები, ცხოველი ინტერესით მოილტვიან საბჭოთა საქართველოსაკენ, უძველესი კოლხეთისა და იბერიისაკენ, ეცნობიან მის უაღრესად საინტერესო დღევანდელობას, ისტორიას, ეთნოგრაფიას, კულტურას, საქართველოს ურთიერთობებს სხვა ქვეყნებთან, მოყოლებული ჯერ კიდევ ანტიკური საპერძეოთიდან. ერთგვარად ამ საყოველთაო ინტერესის დასტური და გამოვლინება იყო ტიმ სევერინის ექსპედიციაც, რომელმაც ცხადყო, რომ ბერძნებს ჯერ კიდევ მიკენურ ეპოქაში შეეძლოთ გასულიყვნენ მათთვის ცნობილი სამყაროს გარეთ და კოლხეთის ნაპირებამდე მიეღწიათ დახსლოებით ძველი წელთაღრიცხვის მე-13 საუკუნეში, ესე იგი 3300 წლის ნინათ. მეორე მხრივ, სევერინის ექსპედიციისათვის ნათელი გახდა, ის, რაც ჩვენთვის, ქართველებისათვის, აქამდე კარგად იყო ცნობილი: რომ არგონავტებს კოლხეთში უნდა დახვედროდა იმ დროისათვის ერთობ ძლიერი, მაღალგანვითარებული სახელმწიფო. ეს ფაქტი ტიმ სევერინისათვის პრინციპული მნიშვნელობისა გახლდათ საკუთარი მეცნიერული ჰიპოთეზის დასამტკიცებლად, რაც მან ხაზგასმით აღნიშნა საქართველოში მიმდინარე არქეოლოგიური კვლევა-ძიებასა და კულტურის ძეგლების გაცნობის შემდეგ.

ტიმ სევერინმა საქართველოში ყოფნის დროსაც და მერც — ინგლისიდან გამოგზავნილ თავის წერილებში — არაერთხელ გამოხატა თავისი



ტიმ სევერინის მოგზაურობა საქართველოში

ალფროთოვანება საქართველოს ისტორიითა და დღევანდელობით, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობით, კულტურის მაღალი დონით, არაერთხელ გამოხატა მადლობა იმ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც მას აღმოუჩინეს საქართველოში. მეორე მხრივ, ჩვენც დიდად მადლიერნი უნდა ვიყოთ ტიმ სევერინისა, რომელმაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში, საბჭოთა საქართველოში ჩამოსვლამდე ასე ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა ჩვენი სამშობლოს ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია თუ კულტურა; რომელიც, უკვე კოლხეთში ჩამოსვლის შემდეგ, გულმოდებინედ იკვლევდა მისთვის უცნობ და საინტერესო ყოველ ფაქტს; სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე, რომ ტიმ სევერინისა და ეგრეთ წოდებული „ახალი არგონავტების“ მოსვლას ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურისა და მისი ისტორიის ფართო პროპაგანდისათვის“.

ტიმ სევერინის ექსპედიცია საკმაოდ რთული ღონისძიება გახლდათ. გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული ამ ექსპედიციის მას-პინძლობაც. საგანგებოდ მინდა გამოვყო ამ საქმეში პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძის და ცნობილი საბჭოთა მოგზაურის იური სენკევიჩის როლი. თუ საქართველოს ტელე-რადიოკომიტეტმა — ექსპედიციის უშუალო მასპინძელმა საქართველოში — ლირსულად გაართვა თავი ამ რთულ ამოცანას, ეს მათი დამსახურებაცაა, ეს დამსახურებაა აგრეთვე ყველა იმ ადამიანისა და ორგანიზაციისა, რომელმაც თავისი დიდი თუ პატარა წვლილი შეიტანა საერთო საქმეში.

## თანამედროვე



აქვე გულწრფელი მადლობის გრძნობით უნდა აღინიშნოს ის ღვაწლი, რაც ამ ექსპედიციის ორგანიზაციას დასდეს ქართველმა მეცნიერებმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ აკადემიის პრეზიდენტის დიდი პატივისცემით ბატონ ევგენი ხარაძის თავისაცობით.

ვეებერთელა შრომა გასწიეს თბილისის, აჭარის ფოთის, ქუთაისის, ვანის, სამტრედიის, მესტიის, აბაშის, ცხაკაიას, წყალტუბოს ადგილობრივმა ორგანოებმა და საზოგადოებრიობამ, რესპუბლიკურმა სამინისტროებმა და უწყებებმა.

ტიმ სევერინის ინტერნაციონალურ ექსპედიციას ყველგან ხვდებოდა ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი ტრადიციული სტუმართმოყვარება, ჭეშმარიტი სულისკვეთება. მაგრამ მაინც, რაც უნდა დიდი ყოფილიყო ჩვენი მონდომება და ენთუზიაზმი, არამცუ თავს ვერ გავართმევდით ამოცანას, არამედ ეს ექსპედიცია ჩვენთან საერთოდ არ შედგებოდა, რომ არა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, პირადად ედუარდ შევარდნაძის უშუალო მხარდაჭერა და თანადგომა. დიდი ღვაწლი დასდო ამ საქმეს ჯუმბერ პატიაშვილმა. საქართველოს ტელევიზიას ექსპედიციის ორგანიზაციაში დიდად დაეხმარა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ოთარ ჩერქეზია. ეს მხარდაჭერა და თანაგდომა გამოხატულება იმ დიდი ზრუნვისა, რასაც საქართველოს კომპარტია, საბჭოთა ხელისუფლება იჩენს ქართული ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის აყვავებისათვის. სხვათა შორის, ეს ზრუნვა ჩვენმა სტუმარმაც შენიშნა და ცოტა არ იყოს, კეთილშობილური შურითაც კი განიმსჭვალა ამის გამო. პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძესთან გამართულ ერთ-ერთ სატელევიზიო დიალოგში ტიმ სევერინმა საჯაროდ თქვა: „ყველგან, სადაც კი საშუალება მქონდა გავცნობოდი არქეოლოგიურ ძეგლებს, ძეგლებთან ერთად მე აღფრთოვანებაში მომიყვანა იმ ზრუნვამ, რომელსაც საქართველოს მთავრობა და ხელისუფლება იჩენს არქეოლოგური

## არგონავტები

კვლევა-ძიების მიმართ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველოს არქეოლოგიური შესწავლით რესპუბლიკის მთავრობისა და ლიდერების დაინტერესება საშუალებას გაძლევთ თქვენ — ქართველ მეცნიერებს, შეინარჩუნოთ თქვენი არქეოლოგიური ძეგლები, თქვენი ისტორია. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია. სახელმწიფოსაგან ასეთი მხარდაჭერა, რომელიც ბევრ ქვეყანას შეშურდებოდა, ბუნებრივია, დიდად განაპირობებს არქეოლოგიის მაღალ დონეს“.

რესპუბლიკის ტელევიზია, რადიო, ჩვენი პრესა სისტემატიკურად აშუქებდა საქართველოს „თანამედროვეარგონავტთა“ მოგზაურობისამბებს. გადაღებულია დიდალი ვიდეო და კონკრეტული რომლის საფუძველზეც საქართველოს ტელევიზიამ ექვსი გადაცემისაგან შემდგარი ციკლი მოამზადა. საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიამ გადაიღო დოკუმენტური ფილმი ამ ესპედიციის საქართველოში მოგზაურობის შესახებ. ასეთივე გადაცემები და ფილმი მოამზადა ცენტრალურმა ტელევიზიამაც.

როგორც ცნობილია, ტიმ სევერინის ექსპედიცია არა მარტო თავისი მარშრუტით, თავისი შემადგენლობითაც ინტერნაციონალური გახლდათ: „არგოს“ ეკიპაჟში იყვნენ ინგლისელები, ირლანდიელები, კანადელები, ბერძნები, თურქები, საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ წყლებში შემოსვლის წინ ათი თურქი მენიჩბე სევერინს გამოეთხოვა და მათი ადგილი საქართველოს წარმომადგენლება დაიკავეს.

### პაათა ნაცვლიშვილი

მოგახსენებთ, რომ მქონდა საშუალება, ვწვეოდი ლონდონს, გავცნობოდი „ბი-ბი-სის“ მიერ გადაღებულ კინომასალას „არგოს“ მოგზაურობის შესახებ საქართველოში და შევხვედროდი ტიმ სევერინს. მას საქართველოს მიკრო-მუზეუმად გადაუქცევია თავისი სამუშაო რეზიდენცია. გავიცანი სევერინის ბევრი მეგობარი, რომლებიც უკვე „დაავადებულნი“ არიან ჩვენი ქვეყნის სიყვარულით, მისი ისტორიით. ისინი ისე ახსენებენ თბილისს, ქუთაისს, ფოთს, ვანს, მცხეთას, სამტრედიას, სვანეთს, გელათს, სვეტი-ცხოველს, დიდი გალაკტიონის სახელს, რომ გული სიხარულით აივსო, რამდენი მეგობარი, ჩვენი ისტორიითა და დღევანელობით დაინტერესებული და მისი პატივისცემელი რამდენი ადამიანი შესძინა ამ ექსპედიციამ საქართველოს!

ნუგზარ ფოფხაძე

### გაგრძელება შემდეგ ნოვენში

„სამეცნიერო“ № 5

## მამა გიორგი თევზდორჩაშვილი

### ბუნება სივრცეს სხივებით მეტწავს

როცა კვირტები იწყებენ ფეთქვას, მაშინ ზამთარი გეღარ ამაუიბს სიცოცხლე სიკვდილს ტუჩებში ხეთქავს, ცელქი ნიავი ლადად ნაგარდობს ბუნება სივრცეს სხივებით მეტწავს, მთვარე ღრუბლებთან მიჯნურს თამაშობს მარტი თებერვლის დაცინვას ბერძავს, ატმის უვავილი ნაზად თამადობს.

სევდა თვალებში სიუვარულს ბეჭდავს, გონება ფიქრთან მეღგრად კამათობს სითბო სიცივის ღირსებას თელავს, ბიჭი გოგონას გრძნობებს დარაჯობს ვაზი ცრემლებით ნასასლარს კვებავს, ღვინო სიფხიზლეს ისევ ღალატობს ჯეჯილი სიოს დაკრულზე ცეკვავს, მერცხალი ნუშის ტოტზე ქანაობს.

სასხასა მწვანე მიღამოს ღებავს, ზურმუხტის ფერი უვითელს გააქრობს უველა ქმნილებას ცხოვრება ნებავს, ღვთიური მაღლი მეინვარს დააღნობს მიწა ზეცაში მომავალს ხედავს, მუზა პოეტებს აზრებს კარნახობს სისხლი მარღვებში ხილულად წევთავს, დაღლილი გვამი გულთან ბაასობს.

ღრო არსებობას აწმუობი წელავს, კაცობრიობა ურცხვად ჯამბაზობს მდაბალი მონა მომავალს გეგმას, ამაუი სფალის ზღვაში ბანაობს ღამე ვარსკვლავებს ჭმუნვაში ჭედავს, სიზმარი ტკივილს ოდნავ ჩაახშობს მარხვა სხეულის სილალეს წევზლავს, მეტანიები ვნებებს ჩააქრობს.

შეაპუნა წეიმა ნაკვალევს რეცხავს, ჭექა-ქუნილი ცოდვილს დააფრთხობს რუ კალაპოტებს რაკ-რაკით წმენდავს, ჩანჩქერი უკვდავ იმედს გვთავაზობს სინათლე ბნელის ნატევიარს კემსავს, შვლის ნუკრი ტუები სტუნვით ბალახობს აღდგომა გრგვინვით საფლავებს ლეწავს, უფალი ბოროტს შირქვე დაამსობს.

# ჟისამქანიძენ ნამღერი „კუნცა ბელინი“ ერთ-ერთი საუკათასო ასეულობანი



სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ არიან: იონა, ორესტი, შახუ და ბოჩია სიჭინავები. მეგრული ფოლკლორის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის გამოჩენილ ლოგბარს ბატონ პოლიკარპე ხუბულავას. იგი დაიბადა და გაიზარდა სოფ. ჯიხაშეკარში, მუშის ოჯახში.

1928 წელს სოფ ჭაქვინჯში (გაყიფვამდე ასე ერქვა) ჩამოყალიბდა "დამკვრელის" სახელობის სასოფლო სამეურნეო არტელი, რომელიც აერთიანებდა 70 კომლს. დაარსების დღიდან მას იონა კონიას ძე სიჭინავა ხელმძღვანელობდა. იონა სიჭინავა იყო განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული პირვენება. იმ დროის გლეხისათვის კარგად წერდა და მეტყველებდა რუსულად. იყო გამორჩეული მეჩონგურე, ამასთანავე წერდა ლექსებს, ქმნიდა სიმღერებს. თავის დროზე ჰყოლია მეჩონგურე ქალთა გუნდი. ოთხივე ძმა შესანიშნავად მღეროდა და უკრავდა ჩინგურზე

მამა - ერასტო მელიტონის ძე ხუბულავა რკინიგზის მუშა იყო. ხეთა-ზუგდიდის რკინიგზის მშენებლობაზე მსახურობდა. საგულისხმოა, რომ ის თვითნასწავლი მომღერალი იყო. მან ჩამოყალიბა 45 კაციანი ხალხური სიმღერის გუნდი, სადაც მოსახლეობა დიდი მონდომებით ენერებოდა. ისინი იკრიბებოდნენ სახლში და მეცადნეობდნენ. ჰქონდათ რეპეტიციები ზუგდიდის დადინების სასახლის პირველ სართულზე. ბატონ პოლიკარპეს მამისგან გამოჰყვა სიმღერის ნიჭი იხსენებს პოლიკარპე: „ცნობილი მომღერალი იოანე ჩიმახია არჩევდა უნიკალური ხმებისა და ტემპრის ადამიანებს, და მე ყოველთვის მინდოდა მიმებაძა ამ ადამიანებისთვის“. ისინი კონცერტებს მართავდნენ ზუგდიდში. პატარა პოლიკარპე თითქმის ყოველ კონცერტს ესწრებოდა. მისი მუსიკალური ნიჭი აღმოუჩენა ჯიხაშეკარის სკოლის დირექტორს შ. სიჭინავას და მის მეუღლეს ქ. ცხონდიას. მაშინ პ. ხუბულავა მეორე კლასში ყოფილა. იგი ოცნებობდა მომღერლობაზე და ოჯახური ტრადიციაც უწყობდა ხელს. 1931 წელს ზუგდიდში ჩამოსულა გრ. კოკელაძე და დასწრებია აქ გამართულ ფესტივალს. ამ ფესტივალზე უდიდესი წარმატება მოიპოვა ერასტო

ხუბულავას სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა. ერასტო ხუბულავას ავტორობით და შესრულებით ცნობილია მეგრული სიმღერა „კუნტა ბედინერა“, რომელიც შეტანილია 100 უნიკალურ ქართულ სიმღერაში. არსებობს „კუნტა ბედინერას“ მეორე ვარიანტი, რომელიც ძმებმა ბენდელანებმა შექმნეს.

ბატონ პოლიკარპეს ოცნება აუხდა. ის უამრავი მეგრული სიმღერის ავტორია. თავად ქმნიდა მელოდიებს. კალისტრატე სამუშავისთან ერთად შექმნა სიმღერა მთვარეზე — "თუთა ახალი".

თუთა ახალ, ახალთ - ახალი,  
ახალ თუთა გამახარი.

ცაში კარი სი გომინჯი  
სი ჯვეში დო მა ახალი.  
ახალ თუთა გამახარი,  
საყოროფოთ სი გეგლერჩინ  
მა ირ მორთას გუმახალი.

პ. ხუბილავამ 1948 - 1950 წლებში სოფ. ჯიხაშეკარში შექმნა ფოლკლორული ანსამბლი სადაც გაერთიანებული იყო სამოცდათამდე წევრი, მათ შორის 18 მეზონგურე. ცნობილი მომღერლები იყვნენ ძმები ბენდელიანები, შენგელიები, ზარანდიები და სხვები.

პ. ხუბულავა სამეგრელოს სხვადასხვა რაიონში მოღვაწეობდა. ცნობილია მის მიერ შესრულებული "არამი დო შაროქა", რომელიც პირველად შესრულდა ჯიხაშეკარში, შემდეგ კი ზუგდიდში.

ცნობილმა მეჩონგურემ იოანე სიჭინავამ სიკვდილის წინ ბატონ პოლიკარპეს გადასცა სურათებიდა სიმღერების ალბომი. როგორც პ. ხუბულავა იხსენებს ი. სიჭინავას მისთვის უთხოვია გადაერჩინა მეგრული ფოლკლორი და ეს მის მიერ წამოწყებული საქმე გაეგრძელებინა.

პ. ხუბულავას ანსამბლმა ოდოიამ წარმატებით მოიარა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა.

პ. ხუბულავა იგონებს: „სოფ. ჯიხაშეკარში ხდებოდა „ჯარალუა“ — თავშეერა, სადაც იმართებოდა ცეკვები, დოლი, თუ ვინძე შეყვარებული იყო, აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაჭანკლები თავიანთ საქმეს აკეთებდნენ და ყველაფერი ქორწილით მთავრდებოდა. ძირითადად იკრიბებოდნენ ჯიხასთან და ფალაზონთან. თამაშობდნენ ლელო ბურთს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, დაუზოგავად თამაშობდნენ. ვინც ჭანისწყალს გასცედებოდა გამარჯვებულიც ის იყო. გასული საუკუნის 70-80-იან წე. იმართებოდა ისინდი, დოლი, მოსახლეობა ზეიმობდა. სამწუხაროა რომ დღეს მიიღინებს ეს ტრადიცია.“

პ. ხუბულავა გულისტყივილით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ საზოგადოება დაინტერესებულია მხოლოდ თანამედროვე მუსიკით და მეგრულ სიმღერებს მსმენელი არ ჰყავს. არადა მეგრული ფოლკლორი შეიძლება დაიკარგოს, მას მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

შანა გალერეა

„სამუშავე“ № 5



ვისაც ქართული სიმღერა უყვარს, მისთვის ვლადიმერ ბაბილუას სახელი და გვარი უცხო არ არის.

დაიბადა ჭალადიდში. სწავლობდა ფოთის გიმნაზიაში უმაღლესი ცოდნა ხარკოვში მიიღო. განათლებით ისტორიკოსი იყო. ბავშვობიდანვე აინტერესებდა სპორტი და სიმღერა. ოცი წლის ასაკიდან — 1917 წლიდან — მღეროდა ფოთში, ძუკუ ლოლუას გუნდში. მერე თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, აქ ასწავლიდა ისტორიას პარტსკოლაში. თან სიმღერას განაგრძობდა. საამისოდ ხელს უწყობს ხავერდოვანი ბარიტონი და ხალხური სიმღერების საფუძვლიანი ცოდნა.

ძუკუ ლოლუას სახელობის გუნდის სოლისტი იყო. ამ გუნდში ოცდაათი წელი დაჰყო; ხანგამოშვებით ხელმძღვანელის მოადგილეობასაც აკისრებდნენ. მოსკოვში გამართულ ქართული ხელოვნების პირველ დეკადაში მონაწილეობდა; აღსანიშნავია მისი მხურვალე მონაწილეობა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის აქტიური თანამშრომელი იყო. სამამულო ომის დროს სამხედრო-საშეფო კომისიას ხელმძღვანელობდა.

მრავალი სიმღერა იქნა ჩანერილი ფირზე მისი მონაწილეობით; მათ დღეს წარმატებით იყენებენ რადიოგადაცემებში.

1938-1952 წლებში რადიოკომიტეტის ხალხურ გუნდში მუშაობდა, ჯერ — ხელმძღვანელად, ხოლო შემდეგ სოლისტად. რადიოკომიტეტში დიდხანს მუშაობდა ხალხურ სიმღერათა გადაცემის მუსიკალურ რედაქტორად.

სამამულო ომის დროს მიავლინეს ახალქალაქის სამხედრო ნაწილებში სიმღერის მასწავლებლად და ლოტბარად, ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული აქვს სიგელი დივიზიის უფროსისგან.

1955-1957 წლებში თბილისის პლეხანოვის სახელობის რკინიგზელთა კლუბის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. აქ გაიმართა მისი დაბადებიდან სამოცი და მოღვაწეობის ორმოცი წლის იუბილე.

ხანგრძლივი და უანგარო მოღვაწეობისათვის 1962 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

პერსონალური პენსიონერი აქტიურად განაგრძობდა მუშაობას. ხელმძღვანელობდა საქართველოს არქივის კინო და ფოტო სამმართველოს განყოფილებას.

1967 წელს, დაბადებიდან 70 წლის თავზე ვლადიმერ (ლუდი) ილიას ძე ბაბილუა დაჯილდოვდა უზენასი საბჭოს საპატიო სიგელით. სახელოვან თანაქალაქელს ფოთელებმა გულთბილი იუბილე გაუმართეს.



# გივა სინარულიძე

## აუთი

2006 წლის მაისი. საღამოს ხუთი საათია. მე მძიმე ნაბიჯებით ავუყევი კიბეს. ჩემი მეგობრის ბებია გარდაიცვალა, მშვენიერი გარეგნობის ქალბატონი, არისტოკრატიის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰკანთაგანი.

კიბეზე უამრავი ადამიანი ადის და ჩამოდის. ჩემი მეგობარი საქართველოში ცნობილი ბიზნესმენია.

ყოველთვის მიკვირდა, მის ოჯახში, ამ მეცნიერების ტაძარში, აკადემიკოსების და პროფესორების გვერდით, ეს ვაჭრუკანა საიდან მოვიდა. ამას წინათაც ვეუბნებოდი ხუმრობით, — ეტყობა ვიღაც შენი წინაპარი გილდიის ვაჭარი იყო-მეტეი.

როგორც იქნა მეხუთე სართულზე ავედი. დამწუხრებული შევედი სამძიმარზე. როცა ჩემს მეგობარს თვალი ვერ მოვკარი, იქვე შავი ყვავებივით ჩამომსხდარ ნათესავთაგან ერთ-ერთს ვკითხე: — კახა სად არის?

— ბოდის გიხდით, მაგრამ კახა ერთი-ორი საათი არ იქნება. ამ დროისათვის ბენდუქიძის აუზზე აქვს აბონემენტი და ვერ გააცდენდა. შევცბი, მაგრამ არ შევიმჩნიე და თვალებით ამდენ ყვავ-ყორნებში კახას დედას დავუწყე ძებნა.

როცა თვალი ვერ მოვკარი, ისევ იმ შავოსანს მოკრძალებით მივმართე: — ქალბატონი რუსუდანი სად ბრძანდება?

— ვიფიქრე, დედის გარდაცვალების გამო, ტირილისგან დალლილი, ალბათ რომელიმე ოთახში რამოდენიმე წუთით გავიდა და ისვენებს — მეტეი. შენც არ მომიკვდე. ქალბატონი რუსუდანი თურმე სტილისტთან იყო წასული თმების დასავარცხნად. მეორე დღეს დაკრძალვა იყო და ლამაზდებოდა.

მივხვდი, დედა-შვილს გარდაცვლილისთვის არ ეცალათ და ახლა კახას მამა მოვიძიე თვალებით. შავოსანი თავად მიმიხვდა ჩანაფიქრს და უკვე წრეზე წასულს შემომძახა:

ალბათ ბატონ შოთას ეძებთ.

— დიახ, ქალბატონო,


— ბოდიშს გიხდით, მაგრამ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მიტინგზე გახლავთ.

უცებ მივხვდი, რა დღეშიც ჩავვარდი. დავიბენი, აღარ ვიცოდი, ვისთვის მიმესამძიმრებინა. გულდაწყვეტილმა მეგობრის ბებიის ცხედართან მუხლზე დავიჩოქე, მერე გაციებულ ხელზე ვეამბორე და მონიერებით ჩავჩრდებულე: — შე ჩემსავით ყველასაგან მიტოვებულო და მობეზრებულო. ვიზიარებ შენს გარდაცვალებას...

ერთმა შაოსანმა მეორეს გადაულაპარაკა: — ეტყობა ტვინში აქვს გარეკილი.

მეორემ კი, უფრო თავის თავზე გაპრაზებულმა მიუგო: — გარეკილი და გიუ ეგ არ არის, ჩვენა ვართ, ბუებივით რომ ჩამოვმსხდარვართ სკამებზე. მომსვლელთაგან კაციშვილი არ გვცნობს, ალბათ ფიქრობენ ოჯახის წევრებს ჰეკიდიათ ფეხზე გარდაცვლილი და ესენი ვიღას დაჰკარგვიანო.

— ვა, გივი ძია, პრივეტ, — ამ სიტყვებით ბურთი ჩემს დასანახად მუხლზე დაიგდო, აქაოდა, ნახე, რამდენჯერ ავკენნლავო. უცებ ბურთი მუხლიდან ასხლტა, მის საყვარელ დიდ ბებიას, რომელსაც სიცოცხლეში ბიჭზე მზე და მთვარე ამოსდიოდა, პირდაპირ თავში მოხვდა და ის იყო



რიკოშეტით გვერდზე უნდა გადავარდნილიყო, რომ ბიჭმა მიუსწროდა ისევ მუხლი შეაშველა. სიტყვებით, — ვა, ბებო, ფეხბურთშიც რა მაგარი ყოფილხარ, ეს რა პასი ჩააწოდეო.

უცებისეგავბრაზდი, შუაზემინდოდა გამეხლიჩა ეს ნაძირალა, მაგრამ მის უდარდელ სახეს რომ შევხედე, რომელიც ბების „პასით“ მიყენებული სიამოვნებისგან უბრნყინავდა, ჩემთვის გიუივით ჩავილაპარაკე, — ამ საწყალს, პასი მაინც ერგო შვილიშვილისგან წილად. მე შეიძლება ჩემმა შვილიშვილებმა პირდაპირ აუტში მომისროლონ — მეთქი და კიბეზე ისე დავეშვი, თითქოს უკვე აუტში ვიყავი გადასროლილ.

## დროს რას უზამ, დროს

შუალამეა. ოთახებში დავბორიალებ. ვერა და ვერ ვიძინებ. ხან რას მივედ-მოვედები, ხან რას. მერე, რატომლაც, ფოტოების ალბომი მახსენდება... ვიწყებ თვალიერებას. ვხვდები, რომ ამ ალბომივით გავცვდი და დავპერდი. ახალგაზრდობის დროინდელი სურათები ისე შემომცქერიან, თითქოს მსაყვედურობენ, სიბერეს არ მპატიობენ. ჩემდაუნებურად წამომცდა: — მე რა, ცოცხალი მაინც ვარ, იმათ რაღა ჰქნან, მარტი მოგონებადღა რომ შემორჩენიან ალბომს.

— ამათ რაღა ქნან? — ჩამესმა ყურში, თითქოს ფოტოებმა გამცეს პასუხი.

— ჩვენ იმდენი სიბრძნე აღმოგვაჩნდა, რომ ამ ამაოებას, როგორც სცენას დიდი მსახიობები, დროზე გავცლოდით, ვიდრე შენსავით სტვენას დაგვიწყებდნენ.

— მე ვინდა დამისტვენს. — ჩავილაპარაკე ნაწყენმა.

— დრო, ჩემო კარგო, დრო, რომელსაც რახანია ჩამორჩი და ცხვრის ფარას მოწყვეტილ, დაუძლურებული და დაბერებული ძალივით ადევნებიხარ მხოლოდ.

ამ სიტყვებით შეძრულმა ალბომი სასწრაფოდ დავხურე და კარადის უჯრაში ჩავუძახე. ის იყო, უნდა შევბრუნებულიყავი, რომ ხმა შემომესმა: — მე კი დამხურე და ზიზღით მომიშორე, მაგრამ დროს რას უზამ, დროს!

— თუ მართლა ჩამოვრჩი, დავენევი!

— დაწევისა რა მოგახსენო, მაგრამ მეშინია, არ გაუსწრო, შე საცოდავო,

— კვლავ გაისმა საიდანლაც.

— გავუსწრებ კიდეც, თუ მოვინდომებ!

— ესე იგი მარტო იქნები.

— რატომ მარტო, ვისთანაც მინდა იმასთან!

კვლავ ვილაცის ხითხითი ჩამესმა:

— რა ხანია მარტო ხარ, მარტო!

— მარტო რატომ ვარ, შვილები და შვილიშვილები მახვევია,

მათით ვხარობ, ვლალობ. ესაა სიმარტოვე?

— სწორედაც რომ მარტო ხარ, მაგათაც აღარ აინტერესებ, უბრალოდ ეცოდები და ხანდახან მშიერ ძალს ხორცისგან გალოკილ ძვალს რომ მიუგდებენ, ისე გადმოგიგდებენ ხოლმე ალერსს.

— მაშ, შენი თქმით, სულ აღარავის ვუნდივარ? აბა, ხან ტელეურნალისტები, ხან უურნალ-გაზეთების კორესპონდენტები რომ არ მასვენებენ და მოწინებით მთხოვენ ინტერვიუებს, ეს არაფერია?

— სწორედ მაგას არ გსაყვედურობ, შე გამოჩერჩეტებულო ბებერო? ველარ გაიგე, რომ ამათთვის მხოლოდ და მხოლოდ ძველი დროების გახსენება ხარ და სხვა არაფერი?! კაცს რომ მარტო იმისათვის იყენებენ, ვილაც ან რაღაც გაიხსენონ, დამთავრდა მისი ცხოვრება.

— არა, არ მჯერა თქვენი, უბრალოდ გშურთ, ცოცხალირომ ვარ, თქვენ კი, სამწუხაროდ, გარდაიცვალეთ.

— გარდაცვლილი შენა ხარ თვითონ და ვერ ხვდები, გარდაცვალება ის არის, როცა სადღაც ხარ, მაგრამ იქ არავის სჭირდები. ჩვენ კი, ჩვენს სამარადისო მკურნალთან, დედამიწასთან გავმიწიერდით, სული კი უფალს მივუძლვენით ზეცაში. აი, ნამდვილი ნეტარება და ადამიანის სრულყოფა. მანდ, თქვენთან ყოფნა კი სრული ილუზიაა.

ამ სიყვებით აფორიაქებულმა ფანჯარაში გავიხედე. თავზე დამთენებოდა. აი, მაშინ კი გამარჯვებულმა წამოვიძახე:

— მარტო ამისთვის ღირდა სიცოცხლე, მარტო ამისთვის!

შემდეგ აივანზე გავვარდი და მთელი ძალით გავყვიროდა:

— მარტო ამ ერთი მზის სხივისთვის ღირს სიცოცხლე, ხალხო, მარტო ამისთვის!!!



# ლეჩებულებული საუცხო

1918 წლის 26 მაისს ქართველა ხალხია დამოუკიდებლობა იზება, საქართველო ახალ ცხოვრებას იცხოვდა. თუმცა ხანოკლე აღოჩნდა მისი დამოუკიდებლობა.


1921 წლის რუსთის მიერ ანექსიის შემდეგ ეპვთიშვილია საქართველოს მთავრობასთან ერთად დატოვა სამომავლო და განდს მათვალყურედ გაჰყვა ემიგრაციაში. გახიზულება მთავრობამ თან ნაიღო საქართველოს განძი, რომელშიც შედიოდა საქართველოს მუზეუმის დაცული ქვირფასეულობა: მართ-ვერცხლის ხატები და თვალ-მარგალიტი მომზალი სხვა საგანძური, ქვირფასი ხელნაწერები, ზუგდიდის დადიანისეული სასახლის განძეულობა, გელათის, მარტვილისა და სხვა-დასხვა მონასტრებიდან ნამოღებული ნივთები. მიუხედავად იმისა, რომ განძის მისაკუთრედ საქართველოს მთავრობა ითვლებოდა, ფაქტობრივად განძის ეპვთიშვილი თაყაიშვილი მაურველობა. განძის ულ 39 წელი იყო, ეპვთიშვილი იგი მარსელის განები შენაბული. განუხომებულია ეპვთიშვილის თაყაიშვილის ლვანები ქარველი ერის საგანძურის გადარჩენის საქმეში. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ეპვთიშვილის საქართველოს დაუგრუნდა ეროვნული საუნაზე.

შურნალი „სამეგრელო“ აერიოდულად გიამარჯოთ ეპვთიშვილის მიერ დაპრუნებული საუნაზე.



## თამარის ჯვარი


X-XIII საუკუნეები ერთიანი ფეოდალური საქართველოს ოქროს ხანად ითვლებოდა. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა დღეს უკვე ხელოვნების ნიმუში, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, რომელიც აღფრთოვანებაში მოჰყავს მნახველი. თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი ხობის მონასტრები ინახებოდა. ბაჯალლო ოქროს ჯვარი შედგება ოთხი თლილი ზურმუხტისაგან, რომელთა კიდეებზე და ცენტრში ხუთი მსხვილი ლალია ჩასმული;



ჯვრის მკლავებს შორის მარგალიტებია დამაგრებული. ჯვრის ზურგზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა: „ძელო ჭეშმარიტო, ძალო ჯუარისაო, შენითა წინწარძლომითა ყოვლა-დვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს“. აგრეთვე შემორჩენილია ჯვრის სასვენებელი ოქროს ორკარედიანი კიდობანი, რომელიც ძვირფასი ქვებითაა შემკული. კიდობანი თამარ მეფის ბრძანებით დაუმზადებიათ.

## მ. მამა

მ. მამა — კესარიელი წმინდანი, აწამეს 275 წელს. იგი ღვთისმოშიშ, ღარიბ ოჯახში დაიბადა. ჭაბუკი იყო ბუნების წიაღში გაზრდილი, ირმების მიერ გამოკვებილი, მხეცების მეგობარი მწყემსი. ქრისტიანობის აღიარების გამო მხეცებს მიუგდეს საჯიჯგნად, მაგრამ მხეცები მას არ მიეკარნენ, არ მიეკარა ლომიც კი. ამის შემდეგ ჭაბუკი ლახვარით მიაყენეს სასიკვდილო ჭრილობა, იგი



წამებით გარდაიცვალა, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ლოცვა და უფლისადმი ვედრება. საქართველოში, როგორც ჩანს, ადრეული ხანიდანვე წმ. მამა ერთ-ერთი გამოჩენილი წმინდანი იყო. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება გელათიდან წამოღებული ვერცხლის დისკო, რომელზეც გამოსახულია ლომზე მჯდარი წმ. მამა. წმინდანს მარჯვენა ხელში ჯვარი უჭირავს, როგორც სიმბოლო მონამეობისა, მარცხენა კი ზევით აქვს ანეული. წმინდანის ფიგურა შესრულებულია მაღალ რელიეფში. დისკო X-XI სს.

## საგანძური

განეკუთვნება და რელიეფური პლასტიკის საუკეთესო ნიმუშია. წმ. მამას კიდევ ერთი საუკეთესო გამოსახულება შემორჩენილია XII-XIII სს. ხელნაწერში, რომელიც წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ნანარმოებთა კრებულს წარმოადგენს. მინიატურა მოთავსებულია ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ გრიგოლ ღვთისმეტყველის „ახალკვირიაკისათვის და არისა და ენენისათვის“ სიტყვის წინ. 406 გვერდზე გამოსახულია ლომზე მჯდარი წმ. მამა; მინიატურაში ხაზგასმულია გაზაფხულის მოსვლა. გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვის ბოლო ნაწილი შეიცავს მითითებას წმ. მამას ცხოვრებაზე.

### ვახტან VI, სამართლის წიგნი, XVIII საუკუნე

ჩვენი საეკლესიო სამართლის გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ საეკლესიო კრებას, რომელზეც გამოჰქონდათ დადგენილებანი. ყველა კრების დადგენილება დღემდე არ შემონახულა, მაგრამ დღესდღეობით არსებობს ორი დოკუმენტი: რუსი-ურბნისის კრების ძეგლისწერა და საკათალიკოსო კანონები, XVI საუკუნეში იმერეთის საეკლესიო კრებაზე მიღებული.

საეკლესიო სამართლის იურისდიქციას ექვემდებარებოდნენ ჩვენში არა მარტო სასულიერო-საეკლესიო საქმეები და



პირები, არამედ სისხლის სამართლის დანაშაულებები. სამოქალაქო კანონმდებლობის ჩამოყალიბების სურათს იძლევა დოკუმენტები, საისტორიო საბუთები, მეფეთა თუ დიდებულთა, სასულიერო თუ კერძო პირთა მიერ გაცემული წყალობის, ნასყიდობის, შენირულობის, ორი მხარის უფლება-მოვალეობის ამსახველი სიგელ-გუჯრები.

მოგვიანებით XVIII საუკუნეში საეკლესიო-სამოქალაქო კანონ-მდებლობის აქტები დაამუშავა, კანონმდებლობის სახე მისცა და ერთ კრებულად წარმოადგინა ვახტანგ VI -მ თავის „სამართლის წიგნში“.

### ვეფხისტყაოსნის

#### ხელნაწერი

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შორის განსაკუთრებუ-



ლი ადგილი უჭირავს ლიტერატორისა და კალიგრაფის, მდივან ბეგთაბეგ თანიაშვილის მიერ შესრულებულ ხელნაწერს. თანიაშვილი მეფე გიორგი XI-ის კარზე მოღვაწეობდა, სწორედ მან დაუკვეთა 1680 წელს „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერა. წიგნს ერთვის ბეგთაბეგის ანდერძი: „წარიგო მრავალი წარსაგებელი, ვითარცა საცნაურ ჰყოფენ თუალნი მხიარულთანი ელოვანებასა ამის წიგნისასა და ენება, რათამცა ფრიად კეთილშვენიერ ყოფილიყო, რომელ არსცა ფრიად კეთილ

და შუენიერი, თუინიერ ხოლო ნაწერისაგან კიდეო“. წიგნი მდიდრულადაა მორთული, ყოველი გვერდი სწორულთხმა ჩარჩოშია ჩასმული, ჩარჩოს გარეთ ორნამენტებით დაფარული არშეიბია, სადაც გამოსახულია ფოთლები, ყვავილები, ფრინველები და ცხოველები.


### საეკლესიო მინიატურა

საქართველოში არსებობს მრავალი ილუსტრაციით და ორნამენტული მოტივებით შემკული ხელნაწერები. გულანი საეკლესიო საკითხავებისა და ლოცვების კრებულია, ისინი ნუსხური ასოებით დაწერილი უზარმაზარი ფოლიანტებია. ჟამნ-გულანი ორიგინალური კრებულია და მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას აქვს. ამ ტიპის ხელნაწერებიდან ერთ-ერთი გამორჩეულია ყანჩაეთის ჟამნ-გულანი, იგი გადაწერილია 1674 წელს ონთფრე მთიულის მიერ ურბნისის ეპისკოპოსის ევდემონ რატიშვილის ბრძანებით. ხელნაწერი ჩასმულია ტყავის ყდაში, მასში 60 მინიატურაა, მათგან ბევრი დაკარგულია.



ცალკე გამოსახულია დამკვეთი ევდემონ რატიშვილი. საინტერესოა, იკონოგრაფიული თვალსაზრისით, ილუსტრაციების ციკლი სამყაროსა და ადამიანის შექმნის თემაზე.

**დავით კიკოლაშვილი**




# კაზახები გადაულის მას ძალის

რ. ჩხეიძის რეჟისორობით გადაღებული ქართული მხატვრული ფილმი „ჯარისკაცის მამა“ — ეს არის სურათი, რომელიც მორია მსოფლიო ომის ერთიანების ასახვას. ამითომ, სონები მასის თვეში გადავხევით მოგვემზადებინა მასალა ამ ფილმის და მისი რეჟისორის შესახებ, საიდანაც ვფიქრობთ ჩავრ საინტერესო ფაქტს შევიტყობთ, თუ როგორ მიმდინარეობდა გადაღების პროცესი და როგორ შეარჩიას როლისთვის მსახიობი სარგო ზაქარიაშვილი.

„ბატონ სერგოს არ შეეძლო როლის „თამაში“. ის მთელი არსებით განიცდიდა თავისი გმირის სიხარულსა და მწუხარებას და ამის გამო უდიდეს სტრესს იღებდა. ასე მოხდა „ჯარისკაცის მამის“ გადაღების დროსაც. მრავალჯერ ნახვის შემდეგაც კი შეუძლებელია ფილმის ბოლოს მამისა და მომაკვდავი შვილის შეხვედრის სცენის უცრემლოდ ყურება. ისენებს სურათის რეჟისორი რეზო ჩხეიძე.

რეჟისორმა სერგო ზაქარიაძეს საგრიმოროში მიაკითხა და ფილმი გადაღება შესთავაზა. ზაქარიაძემ შინაარსის მოყოლა მოსთხოვა. მანაც დაიწყო. როდესაც ხსენებულ სცენას მიადგა, მსახიობმა გრიმის გაკეთებას თავი მიანება და დაძაბულმა იკითხა: - მერე, მერე? - ბოლოს კი ცრემლით სავსე დიდრონი თვალებით მიუბრუნდა და ჰკითხა, - როგორ, კაცო, რას ამბობ, მოკვდა?!



რეზო ჩხეიძე

იმ წუთში სერგო ზაქარიაძემ რეალურად გადაიტანა შვილის სიკვდილი, - იგონებს რეჟისორი. რეზო ჩხეიძე იმ სცენის გადაღებასაც იხსენებს, სადაც გოდერძი მახარაშვილი შვილის პოვნის იმედით ტანკების კოლონას აედევნება. მსახიობი იმდენად იყო ატანილი მონატრებულ „შვილთან“ შეხვედრის სურვილით, რომ ლამის ქვეშ უვარდებოდა უზარმაზარ საბრძოლო მანქანებს. რამდენჯერმე გადაღებაც შეწყდა, რადგან შეშინებულმა სამხედროებმა შეაჩერეს ტანკები, რომ მსახიობი არ გაესრისათ.

ვისაც ფილმი უნახავს, არასოდეს დაავიწყდება ის მამაპაპური ალიური, რითაც რიგითი გიორგი მახარაშვილი უმასპინძლდება რუს ჯარისკაცს, მის დასაცავად გამოვარდნილ ოფიცერს კი საყელოთი დაითრევს და გინებასაც მიაყოლებს, რადგანაც მათ ბრძოლის ველად ქცეულ გერმანულ

ქალაქში ვიღაცის მაღლიანი ხელით გაშენებული ვაზი გაანადგურეს.

ფილმი 1964 წელს, 51 წლის ნინ გადაიღეს, ხოლო ამბავი რომელიც დიდ სამამულო ომის ქრონიკას ასახავს 70 წლის ნინადელია. 1945 წელს მსოფლიომ ფაშიზმზე გამარჯვება იზეიმა.

მილიონობით დაღუპული ადამიანი, დანგრეული და მიწასთან გასწორებული ქალაქები და სოფლები. მსოფლიომ მაშინ დიდი მსხვერპლი გაიღო. საქართველოდან ომში წასული 700 000 ჯარისკაცი და 400 000-მდე დაღუპული ჯარისკაცი.

ყოველწლიურად ომის ვეტერანები სულ უფრო

## კიდევაც დაზრდებიან



ცოტანი რჩებიან და ძალიან ცოტაა იმ ადამიანთა რიცხვიც, ვინც მათ ამ გამარჯვებას ულოცავს.

რატომ გაუფერულდა 9 მაისი საქართველოში, ვისი სურვილით ჩავაბარეთ კომუნიზმისა თუ საბჭოთა კავშირის ისტორიას მეორე მსოფლიო ომი და რატომ არის საქართველოს სამოციქულო ეკლესის კალენდარში შეტანილი 9 მაისი? უურნალი „სამეგრელო“ „ჯარისკაცის მამისა“ და „ლიმილის ბიჭების“ რეჟისორს, რეზო ჩეხიძეს ესაუბრა:

- ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, არ მესმის რატომ გავრცელდა შეხედულება საქართველოში, რომ 9 მაისის აღნიშვნა არ გვინდა, როდესაც მთელი მსოფლიო ფაშიზმზე გამარჯვებას აღნიშნავს, და რომ ეს ჩვენი ომი არ იყო. მე შევეცდები, ჩემი დამოკიდებულება მოგახსენოთ ამის შესახებ. მე მგონია, რომ მონაწილეობა მსოფლიო ომში, როდესაც ერთ მხარეს იდგა ფაშიზმი, რუმინეთისა და იტალიის არმიები ამ შავბნელი ძალის დამარცხება, რომელსაც მსოფლიოში უდიდესი უბედურება მოჰქმნდა, სხვისი ომი არ ყოფილა. ეს არ ყოფილა რომელიმე ქვეყნის ლოკალური ომი, და ამ ომში თურმე, საქართველოც მონაწილეობდა და თითქოს საქართველოს ამ ომში მონაწილეობა ფიქტიური იყო.

როდესაც ბერკლას უნივერსიტეტში აჩვენეს „ჯარისკაცის მამა“, ერთი ახალგაზრდა ყმანვილი ადგა და შემუქითხა, მე, როგორც ვიცი, ხართ ქართველი, საქართველო პატარა ქვეყანაა და თქვენი ფილმის მიხედვით გამოდის, რომ ქართველმა ხალხმა ამ ომში დიდი მინაწილეობა

მიიღო. მე მაინტერესებს, ქართველი რეჟისორი, რატომ დაინტერესდით ამ ომითო?

მე მას ვუპასუხე - რამდენი მოქალაქე და მეომარი დაკარგა მეორე მსოფლიო ომში ამერიკამ?

- მან სიამაყით განმიცხადა
- ჩვენ 300 000 მებრძოლი დავკარგეთ. მაშინ მე ვუთხარი - თქვენ მსოფლიოს უზარმაზარი ქვეყნის წარმომადგენელი ხართ, გეოგრაფიული სიდიდით, არმიით და ფლოტით, ჩემი სამშობლო სულ ერთი ციცქანაა, მსოფლიო რუქაზე ძლიერ ჩანს და ჩემმა სამშობლომ 400 000-მდე მებრძოლი დაკარგა ამ ომში, მაშინ როცა საქართველოს

მოსახლეობა 4 მილიონს აღწევდა. ჩემს პასუხს მთელი აუდიტორია ტაშით შეხვდა.

ფაშიზმი უდიდესი ძალა იყო, შავბნელი, მაგრამ უდიდესი. ვიდრე ისინი საბჭოთა კავშირში შემოიჭრებოდნენ, ევროპა დაიპყრეს. გერმანიამ საფრანგეთი, ეს უდიდესი ქვეყანა 39 დღეში, პოლანდია 5 დღეში, ბელგია 18 დღეში, პოლონეთი 27 დღეში, დანია 24 დღეში, იუგოსლავია 12 დღეში, საბერძნეთი 21 დღეში დაიპყრო. შეიძლება ჩემი მხრიდან თავხედობაც იყოს, მაგრამ ეს ციფრი სამარცხვინოა. საბჭოთა კავშირს გერმანია 5 წელი ებრძოდა და ბოლოს თვითონ დამარცხდა. ეს არ



**მსახიობი იმდენად იყო ათანილი მონაცრებულ „შვილთან“ შეხვეძრის სურვილით, რომ ლამის ქვეშ უვარდებოდა უზარმაზარ საბრძოლო მანძანებს. რამდენჯერა გადაღებაც შეცყდა, რაღაც შეშინებულმა სამხედროება შეაჩერას ტანკები, რომ მსახიობი არ გაესრისათ.**

## კიდევაც დაიზრდებან



იყო ცხენების და კავალერისტების ბრძოლა, ეს იყო მოტომექანიზირებული ძალების შეტევები, რომებსაც უკან ფეხსანთა არმია მიჰყვებოდა, აგიაციის დიდი შენაერთებით. საბჭოთა კავშირში დიდი მობილიზაცია გამოცხადდა, ეს საქართველოსაც შექო. 400 000-მდე მებრძოლი და კარგა საქართველომ მსოფლიო ომში და არა საბჭოთა კავშირის ომში.

საქართველოს მოსვენებული ცხოვრება არას-დროს ჰქონია, ცალ ხელში ხმალი ეჭირა, მეორეში გუთანი და ცელი. არაბთა ლაშქრობა საქართველოში, ვახტანგ გორგასალის დაუსრულებელი ბრძოლები დამოუკიდებლობისთვის, მურვან-ყრუს და ბულა - თურქის ლაშქრობები, დავით აღმაშენებლის დიდგორის ომი, ბასიანის ომი, მონალოთა შემოსევები, ჯალალედინის შემოსევა და თბილისის აოხრება, თემურ-ლენგის ლაშქრობა, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები, აპინძისა და კრწანისის ომები, როდის იყო ქართველი კაცი მოსვენებული? როდის ქმნიდა „ვეფხისტყაოსანს“, „ხახულის ხატს“, ქართულ ანბანს, როდის ქმნიდნენ ბექა და ბეშქენ ოპიზრები თავის ხელოვნებას? ქართველი კაცი, რომელიც გუთნისა და ვენახის მოყვარული იყო, მუდმივ ომებში იყო. მან შესანიშნავად იცოდა საკუთარი ოჯახის და კერის დაცვის ფასი და საკუთარი სიცოცხლეც ისევე ჩადო მეორე მსოფლიო ომში.

**დავუშვით თუ არა შეცდომა, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 9 მაისის გამარჯვებაც კომუნიზმის და საბჭოთა კავშირის ისტორიას ჩავაბარეთ?**

- რა თქმა უნდა. საუბარი იყო საქართველოს სრულ დამოუკიდებლობაზე და ისე მოვიქეცით, თითქოს ჩვენ, მეორე მსოფლიო ომში მონანილეობა არ მიგვიღია და 400 000 ადამიანის სიცოცხლეც არ შეგვიწირავს. თუმცა, ეს არ ყოფილა გერმანია - საბჭოთა კავშირის ომი, ეს მეორე მსოფლიო ომი იყო, რომელიც ფაშიზმისა და არაკაცური იდეოლოგიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს შეხედულება

ჩამოყალიბდა ქართველ ხალხში, პროპაგანდა გაეწია პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.

ნუ ვიტყვით, ქართველებო, ამაზე უარს. მე საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეებსაც მინდა მივმართო, ნუ ვიტყვით იმ ომზე უარს, სადაც 400 000 ქართველის სიცოცხლეა ჩადებული და რომელსაც მთელი მსოფლიო აღნიშნავს და პატივს მიაგებს. ქართველმა კაცმა, მელიტონ ქანთარიამ გამარჯვების დროშა რაიხსტაგის თავზე აღმართა.

მე ტყუილად არ დამიდგამს არც „ჯარისკაცის მამა“ და არც „ლიმილის ბიჭები“. ეს რეალობა იყო, ქართველები ამ ომში ტირილით, მაგრამ სიცილითაც მიდიოდნენ. მე მახსოვს, როგორ დაიღუპნენ ჩემი მეგობრები ამ ომში. ლევან ჩხილვაძე, ჩემი უახლოესი მეგობარი, რომელიც ჩემზე უფროსი იყო და ჯარში გაიწვიეს. მან მონაწილეობა მიიღო კურსკის ბრძოლებში, იმ ბრძოლებში 6000 ტანკი მონაწილეობდა და ერთ-ერთში ლევან ჩხილვაძე იჯდა. ტანკს ცეცხლი მოეკიდა და ვერ მოასწრო ამოსვლა. მე არ მინდა მისი ხსოვნა შევურაცხყო და ვუთხრა, რომ შენ ტყუილად დადე შენი სიცოცხლე იმ ომში, რომელმაც საქართველოს არაფერი მოუტანა.

ამ ომში გამარჯვება სტალინმა მოიპოვა, რომლის დამსახურებაც ასევე კომუნიზმის ისტორიას ჩავაბარეთ.

- ძალიან საინტერესო იქნება, თუ სტალინის ფიგურას შევისწავლით ისე, როგორიც სინამდვილე-ში იყო. იმ არეულ ეპოქაში, რომლის დამკვიდრებაში



ფილმი „ლიმილის ბიჭები“

ლენინთან ერთად თვითონაც მონაწილეობდა, ის ქრისტიანობის დამკვიდრებისთვის მებრძოლი იყო. მან კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ქართველისთვის ქრისტიანობა, ძალიან მორჩმუნე და საქართველოს ბედზე დაფიქრებული ადამიანი იყო. ვიცი, შემედავებიან და მეტყვია რა მოუტანა მან საქართველოსო? არის ამაში პრინციპიალური შეხედულების საკითხი. მაგრამ, მე ვიტყოდი, რომ ის თავის სიკეთეზე კი არ ზრუნავდა, არამედ საკუთარი შეხედულებების გამო ეწამა და მარტოდმარტო დაიღუპა და დარჩა ისტორიაში აღარც იქით, აღარც

## კიდევაც დაზრდებიან

აქეთ. მიმაჩნია, რომ ისტორიაში მისი სახელი და მოღვაწეობა, დღემდე სწორად არ შეფასებულა.

ძალიან მინდა, ჩემი შემდგომი ნამუშევარი მიეძღვნას ისეთ დიდ ქართველს, როგორიც ექვთიმე თაყაიშვილი იყო. ასეთი პატრიოტი ძნელად თუ მოიძებნება, მისი ცხოვრება წმინდანის ცხოვრებაა. ის შიშველ-ტიტველი და მშეერი დადიოდა საფრანგეთში, მეუღლეც სილარიბეში გარდაეცვალა, მაგრამ ქართული საგანძურისთვის არაფერი დაუკლია, რომელიც მან 1921 წელს საქართველოდან წამოილო.

კაცი შიმშილით კვდებოდა და საფრანგეთში მცხოვრები ქართველ თავადთა წალებული საოჯახო რელიკვიებიც კიუკან დააბრუნა. როგორ მიიღეს საქართველოში ეს ადამიანი, როგორ უკრძალავდა მთავრობა და ორგანოები, რომ მის დასაფლავებას ვინმე დასწრებოდა. დიდი ქართველი პატრიოტის ბედი, მინდა ჩემს ფილმად გადავაქციო და ამაზე დიდი ხანია ნაფიქრი მაქსე, ჩემი მეგობრები თბილისში სცენარზე მუშაობენ. მინდა ქართულ საზოგადოებას მივმართო, რომ ნუ აყვებიან ჭორებს, რომელიც დროდადრო ჩევნ პრესაში იქცევდება.

მეორე მსოფლიო ომზე ვსაუბრობთ და არ შეიძლება თქვენს ფილმებს „ჯარისკაცის მამას“, რომელიც მეორე მსოფლიო ომის სიმბოლოდ იქცა და „ლიმილის ბიჭებს“ არ შევეხოთ.

-მინდა გავიხსენო ქართული კინოს წინამდლოლი, ვასილ ამაშუელი, რომელმაც პირველად ფირზე აღბეჭდა უამრავი სიუჟეტი, მათ შორის აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩესუმში, ამის შემდეგ განვითარდა ქართული კინემატოგრაფია. წუნუნავა, შენგელაია, ჭიათურელი, კალატოზიშვილი, რონდელი, დოლიძე, ესაკია. მათ შექმნეს ქართული კინემატოგრაფიის საფუძველი. როდესაც თენგიზ აბულაძე და მე თბილისში ჩამოვედით, როგორც კონორეჟისორები კონისტუდია „ქართულ ფილმში“. ბევრი იყო, ვინც განათლება მოსკოვში მიიღო, ჩევნ პირველი ნაბიჯები გადავდგით და „მაგდანის ლურჯა“ გადავიღეთ. 50-იან წლებში განხორციელებული გარევაული ცვლილებების შემდეგ, როდესაც ისე თითქოს ვეღარ გზლუდავდნენ, შევძლით ქართველი კაცის სულიერება გამოგვეტანა. ასეთმა გზებმა მიგვიყვანა „ჯარისკაცის მამამდე“.

მასალა მოამზადა ნეო რაციაშვილა პრეზიდენტი რეზისორი რაზო ჩხეიძე, რისტვისაც სამარარს ვუცხადებთ მის რვას, ახლობლებს და მთელ კინოსამყაროს.

„სამუზეულო“ № 5

ყოველი სურათის ფასი არის იმაში, თუ როგორ განზოგადდება ესა თუ ის ფილმი, რა იდეურ მიზანდასახულებას და ერის სულიერ გამოხატულებას მიიტანს ის მაყურებლამდე. ასეთი არის ქართველი მევენახის, გიორგი მახარაშვილის სახე, რომელიც სერგო ზაქარიაძის ხელში გადაიქცა არა მარტო მებრძოლად, არამედ ფილოსოფიურ ნატურად. შეხედეთ, როგორ ესაუბრება ის უფროს სერვანტს - შენ მე ნუ მასწავლი ომს - „მო დედ ვაევალ, ეგო დედ ვავევალ, ეგო დედ ვაევალ ტოშე“ - ქართველ კაცს ნუ მასწავლი ომსო. ცალკე თემაა, როგორ მოხვდა ის ეკრანზე და რა გზები გაიარა ამ ფილმმა. სამხედრო გენერალ ევტიშევის დამსახურებაა, რომელიც საბჭოთა არმიის სამხედრო პოლიტიკურ სამმართველოს ხელმძღვანელობდა, ამ ფილმის ეკრანზე გამოჩენა. მის გარდა დარბაზში, ფილმის სანახავად, კიდევ 40-მდე გენერალი იჯდა, რომლებიც ტაშით შეხვდნენ ფილმს. შემდეგ ნახა სამხედრო მინისტრმა, შემდეგ ბრეუნევმა. მათ გაუგეს მამას, რომელიც ამ შემთხვევაში ამ იდეის პატრონია. ადამიანია, რომელიც თავის სამშობლოს და ერის სახელით ამბობს, რომ ის ჰუმანიზმის მომხრეა.

ვენახის და ტანკის სცენა რაც არის, ხვდებით. ვენახი ეს საქართველოა, სინათლის და მზის მუდმივი კატეგორია, რამხელა სიმაღლეზეა ქართველი კაცი ასული, მეომარი, რომელმაც ვენახები მიატოვა, ბრძოლაშიც ვენახს იცავს. კიდევ ერთი პატარა

სცენაა იქ, როდესაც გიორგი განარაშვილი საპარმო მანძანაზე ზის ჩავიპრებული და რუსი სერეანი, რომ ეპითევა-რატომ ხარ ასეთი ჩავიპრებული, რას პასუხობს სარგო ზაკარიაძა - ჩავი ვვილი კათილი და ჰკვიანი გიში იყო და ვაითუ, აა რვები გაბოროტდაო. მისი გთავი მოღვაწეობა უავანიზებული გრძელება არ გვივის გადავიდეთ. 50-იან წლებში განხორციელებული გარევაული ცვლილებების შემდეგ, როდესაც ისე თითქოს ვეღარ გზლუდავდნენ, შევძლით ქართველი კაცის სულიერება გამოგვეტანა. ასეთმა გზებმა

მასალა მოამზადა ნეო რაციაშვილა

## პოგონ შეიძლება იცოდეს სასურალოს ქადაგის წესი ღამის გამოხატვის შემდეგის დანართის შემთხვევაში



ზურაბ ბედიას ფენომენი – ხელებით გამოსახივოს შინაგანი ენერგია და გაანათოს ნათურა, საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია. მან ეს უნიკალური უნარი გადატანილი ტრაგედიის შემდეგ მიიღო. მაგრამ, მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს არის ადამიანის ცნობიერებაში ჩადებული განძი, ჯანმრთელობის, დღეგრძელობისა და შინაგანი ენერგიის მართვის საფუძველი, რომელიც მაშინ ჩნდება, როგორც კი ორლევევა წონასწორობა.

ბატონი ზურაბ ბედიას – „ადამიანი ნათურას“ შესახებ უურნალი იმ მეცნიერებს ესაუბრა, რომლებიც მასზე მუდმივ დაკვირვებას ანარმოებენ და პარალელურად, უნიკალური დიაგნოსტიკური აპარატის შექმნაზეც მუშაობენ, რომელიც თანამედროვე მედიცინაში გადატრიალების ტოლფასი იქნება.

ზურაბ ბედიას ცხოვრება 1999 წელს რადიკალურად შეიცვალა. მის უმცროს ძმას, რომელიც რადიომოვარული გახლდათ და თვითნაკეთი რადიოგადამცემით მთელი მსოფლიოს რადიომოვარულებს ეკონტაქტებოდა, მათ შორის, იორდანიის მეფე ჰუსეინსა და რომის პაპიოანე-პავლე მეორესაც კი, დენძა დაარტყა და გარდაიცვალა. ძმის ტრაგედია ზურაბმა მძიმედ გადაიტანა. გონი დაკარგა და დასაფლავებამდე მიცვალებულის გვერდით, ეძინა. „ორმოციდლის გასვლის შემდეგ, მას დაესიზმრა გარდაცვლილი ძმა, რომელმაც სთხოვა, დერეფანში ნათურა მოეხსნა და თავის რთაბში გადაეტანა. როცა ზურაბმა ნათურა მოხსნა, ის მის ხელში აინთო... ასე დაიწყო... თბილისში ჩამოსული ზურაბ ბედია, მაშინვე მოექცა მეცნიერების დაკვირვების ქვეშ.

თენგიზ ნივნივაძე – ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საინჟინრო აკადემიის წევრი, ნიუიორკის აკადემიის წევრი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი:

ზურაბ ბედიას მსგავსი ფენომენი მსოფლიოში არსებობს, მაგრამ ეს შემთხვევა მაინც განსხვა-

ვებულია – ადამიანი ანთებდეს ნათურას, ასეთი პრეცედენტი მეცნიერებამ არ იცის. ზურაბ ბედიას ძალიან დიდი ენერგია აქვს, მაგრამ მან არ იცის ამ ენერგიის მართვა. ამიტომ, პაციენტთან ურთიერთობისას სერიოზული დაზიანება მიიღო. განვითარდა ინსულტი და დაუზიანდა მარცხენა კიდური.

**ლივერი ქადაგიშვილი – კიბერნეტიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი:**

ზურაბ ბედიამ მიიღო ძლიერი ემოციური დატვირთვა, რის გამოც დაზიანდა მისი სტრუქტურა მთლიანად. კიბერნეტიკადამიანს, როგორც სისტემას, ისე განიხილავს. თუ ერთი უჯრედი მაინც დაზიანდა, შეიძლება, დაირღვეს მთელი სტრუქტურა. ბიოველი ძალიან ფაქიზი თემაა და თანამედროვე ექიმებს არ უყვართ ამაზე ლაპარაკი. არ სცნობენ ამას. მიაჩნიათ, რომ სხვა სფეროა. არადა, ლაპარაკია ადამიანის შინაგან ენერგიაზე, შინაგან შესაძლებლობებზე, მის იმუნიტეტზე. ადამიანის ფიზიკა მთლიანად მოიცავს ფიზიოლოგიას. მეცნიერებაშიც ძალიან ბევრი კითხვა ბიოველის შესახებ. ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამება შესასწავლი, გამოსაკვლევი. ექიმები საერთოდ ვერ სხინან ზურაბ ბედიას ფენომენს. არადა, შესაძლებელი იყო, სხვისთვისაც ემკურნალა და თვითონაც ჯანმრთელი ყოფილიყო. მას არ ასწავლეს, როგორ გამოეყენებინა თავისი ბიოველი და ძალიან ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდა. პაციენტის ბიოველი აღმოჩნდა ძლიერი, განვითარდა ტორსიული ველი და შეურყია ჯანმრთელობა.

**ნიდარ ჩივოგიძე – ქიმიის აკადემიური დოქტორი, კვების მრეველობის ექსპერტი, საქართველოს აკადემიის წევრ-კორესპონდენტი:**

ადამიანის ორგანიზმში მოძრაობს სისხლი, მოძრაობს ლიმფა და სადაც მოძრაობაა, იქ ელექტროველიც არის, მაგნიტური ველიც, და შეიძლება, კიდევ სხვა ველიც არსებობს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ამით მკურნალობდნენ.

**ლივერი ქადაგიშვილი:** ეს ჩვენთან არ აღიარებენ, თორემ მთელ აზიაში, ჩინეთში, ინდოეთში, ბიოველით მკურნალობა მიღებულია და იყენებენ არატრადიციულ მედიცინაში.

– როცა იოგები დროში მოგზაურობენ, ხომ არ ხდება ესეც შინაგანი, დაგროვილი გამოუყენებელი ენერგიის სარჯიშე?

– რა თქმა უნდა, მაგრამ ადამიანს, რომელიც არის აბსოლუტურად ჯანმრთელი, არ აქვს გაკეთებული ოპერაცია, არ აქვს დაზიანებული არც ერთი

# ფენომენი

ორგანო, არავითარი გამოსხივება მას არ აქვს. აურა ადამიანის ირგვლივ კვერცხისებურია და შეკრული. პარაფსიქოლოგიაც არის არატრადიციული მეცნიერება. რა თქმა უნდა, ის არსებობს; არაცნობიერ ფიზიკურზე კომუნისტების დროსაც მუშაობდნენ. იკვლევდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი გასაიდუმლობული იყო.

**ნოდარ ჩიგოგიძე:** საჭიროების შემთხვევაში საკუთარი მიზნებისთვის რომ გამოეყენებინათ, ადამიანის ქვეცნობიერზე ზეგავლენის მოხდენა იცოდნენ და აკეთებდნენ კიდეც ამას. მაგალითად, სტალინის თითქმის ყველა სურათი ხელოვნურად იყო გაკეთებული.

– ხელოვნურად გაკეთებული რას ნიშნავს?

– სურათი ატარებს ენერგიას, ამიტომ ადამიანის ფოტოსურათით შესაძლებელია მისი ზომბირება. ეს იცოდა სტალინმა, ამიტომ მისი სურათები იხატებოდა საგანგებოდ – მსგავსი ორიგინალთან, მაგრამ არაზუსტი. ნატურალურ სურათზეც კი, სადაც სტალინი ჩიბუშით არის, თვალები დახრილი აქვს. თანაც, მეორე ხელში ანთებული ასანთი უკავია, რომ მისი ენერგია ჩაკეტილიყო და ვერავის მოეხდინა მასზე ზემოქმედება. როგორც გენერატორი გამოიმუშავებს ენერგიას, ისევეა ადამიანიც. იგი ცოცხალი გენერატორია. თითოეულ ორგანოს გააჩნია თავისი სიხშირე – დენის სიხშირეს ვგულისხმობ. ზოგს მაღალი აქვს, ზოგს დაბალი. როცა ორგანო ავადდება, ხდება მისი გადაგვარება, შესაბამისად, იცვლება სიხშირეც.

**ლივერი ქადაგიშვილი:** მე ვახსენე ტორსიული ველი. ესარისასაშინელირაღაც, როგორცქარბორბალა, ისეთი ძალა აქვს, ანადგურებს ყველაფერს: უჯრედს, სისტემას. მე არ ვიცნობდი ბატონ ზურაბ ბედიას მაშინ, როცა ის პაციენტებს მკურნალობდა, თორემ შევძლებდი, ამეცილებინა მისთვის ტორსიული ველის წარმოქმნა. მან ვერ აირიდა თავიდან პაციენტისგან წამოსული ენერგიის ზემოქმედება, რომელიც, შეიძლება, მის ენერგიაზე უფრო ძლიერი იყო. ადამიანებიც და ცხოველებიც შეიცავენ, როგორც პლუს, ისე მინუს ენერგიას და სწორედ ამ ორ უდიდეს მუხტს შორის ურთიერთქმედება ქმნის ველს, მაგრამ რა ველია ეს, – მაგნიტური, თუ ელექტრული, ჯერ არ არის დამტკიცებული. რა სპეციფიკა აქვს მას, ეს ჯერ კიდევ შესასწავლია. ამიტომ, ჩვენ გვინდა, შევქმნათ ისეთი ხელსაწყო, რომლითაც შევძლებთ ამ სპეციფიკის გამოკვლევას – ბიომეტრის შექმნაზე ვმუშაობთ.

**თენგიზ ნივნივაძე:** როცა უკვე გვექნება ბიომეტრი, თქვენ ექიმთან კი არ წახვალთ, ეს ხელსაწყო დაადგენს, რომელი ორგანოს სიხშირე შეიცვალა, რომელს უჭირს. კი, არსებობს ექოსკოპიის აპარატი, რომელიც მისი სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ გამოძახილ ზომავს. ბიომეტრი იმ ორგანოების

მდგომარეობის დადგენის საშუალებასაც მოგვცემს, რომელთაც ექოსკოპიის აპარატი ვერ ხედავს. ჩვენ გვეცოდინება ჯანმრთელი ორგანოს სიხშირე და გადახრის მიხედვით დავადგენთ, მის მდგომარეობას.

**ლივერი ქადაგიშვილი:** მე ვიკლევ ბიოკორექტორებს. მე თვითონ მაინტერესებს ეს ფენომენი. არიან ბიოკორექტორები, რომლებიც დიაგნოზს სვამენ ხელით, ზოგი ამას აკეთებს თვალით. მათი ნიშან-თვისებების აღწერა მოგვცემს იმ პარამეტრებს, რომელთა მიხედვითაც შეიქმნება აპარატი. უცხოეთში მსგავსი დანადგარი შექმნილია, მაგრამ ის არ არის სრულყოფილი. თანაც ჩვენ გვინდა, ჩვენი შევქმნათ. უკრაინაშიც მუშაობდნენ ამაზე. სხვათა შორის, ქართველი იყო და თვითონ იყო ბიოკორექტორი, მაგრამ ბიოველი დაიზიანა და დაიღუპა.

აბსოლუტურად ყველა ადამიანს, ასევე ყველა ორგანულ და არაორგანულ ნივთიერებას აქვს ეს თვისება. ძვირფასი ქვები რატომ გამოიყენება სამკურნალოდ, ანუ, მერამინდავთქვა, ბიოკორექციით შესაძლებელია, დაავადებული ადამიანის სიცოცხლის გარკვეული ვადით შენარჩუნება. ჩვენი ხელსაწყო ზუსტად ამას უნდა მოემსახუროს. ერთი ლირიკული გადახვევაც; ამბობენ, საქართველოში ბიოველის აღქმის უფრო დიდი პოტენციალია, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაშიო.

– რა არის ამისი მიზეზი, ქართველები სხვებზე მეტად ემოციურები ვართ, თუ უფრო ხშირად ვავადდებით?

– არა. მიწაა უნიკალური. საქართველოს აქვს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა.

**ნოდარ ჩიგოგიძე:** ჩვენი წყალიც უნიკალურია. საქართველოს ტერიტორია ძალიან პატარაა და სულ რაღაც რამდენიმე კილომეტრში, ზონიდან ზონაში გადავდივართ. არ არის ეს შემთხვევითი.

**თენგიზ ნივნივაძე:** ამ მსჯელობით, ჩვენი მიწის – ქართული მიწის ღვთიურის ღვთიურისამდე მივალოთ.

– ანუ, თუ იქნება ბიოაპარატი, შესაძლებელი იქნება, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება?

**ლივერი ქადაგიშვილი:** სწორედ ამაზე ვმუშაობთ.

**თენგიზ ნივნივაძე:** ცოცხალ ორგანიზმს აქვს ოპტიკური აქტივობა, ასევე დამუხტვის უნარი. ჩვენ ყოველდამე, ძილის დროს ხელახლა ვიმუხტებით. დილით კი ამ ენერგიას გავცემთ. როგორც ბატარეა ჯდება, ზუსტად ისე. ამიტომ არის აუცილებელი, ჯანმრთელი და სრულფასოვანი ძილი. თუ ჩვენ შევძლებთ, ადამიანში არსებული უჭრედებისა და ენერგიის რეგენერაცია მოვახდინოთ, შევძლებთ ადამიანს სიცოცხლე გავუხანგრძლივოთ და მან ორასი ნელიც კი იცოცხლოს. ამის მიღწევა შეიძლება 30-40 წლის შემდეგ, ხოლო მერე ადამიანის უკვდავებაზეც ვიფიქრებთ სრულად.

ნიმო ლუსკიძე

# 1 უკანი - კუტების მუნიციპალიტეტის დაუსაზღვრელი



1 მაისი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში საბჭოთა კავშირის ასოციაციებს იწვევს, ეს დღე საბჭოთა კავშირის არ არის. რეალურად საბჭოთა კავშირი ერთგვარი სივრცე იყო, სადაც საგნები, მოვლენები, ცნებები, მუდმივად მახინჯდებოდა. საბჭოთა კავშირში ადამიანზეც კი ბევრს ვერაფერს გაიგებდით. როგორც მამარდაშვილი ამბობდა, ადამიანის შესახებ ამ სივრცეში ვერაფერს გაიგებ, არაფერს გეუბნება ის, თუ როგორ გამოავლენს ადამიანი თავს ამ მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე ჩვენი ამოცანაა ცნებებს და მოვლენებს შინაარსი და ვუბრუნოთ, კიარუარვყოთ, არამედ ახალი შინაარსი ჩავდოთ და ვინ გააკეთებს ამას? ამას ახალი თაობა გააკეთებს, რომელიც არ მოსწრებია 1 მაისს წითელ ყელსახვევიანი პიონერების მსვლელობას ქალაქის მთავარ პროსპექტსა და მოედნებზე ფერადი ბუშტებით და ათასი სისულელით. ეს სანახაობა ჯერ კიდევ 6 წლის ასაკში მირევდა გულს. ამიტომ 2013 წლის 1 მაისი ჩემი აზრით სწორედ ამგვარი შემობრუნების დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ, როცა ახალმა თაობამ, იმათ ვინც არ მოსწრებია საბჭოეთს, ვინც ბავშვება ბენელ 90-იანებში გაატარა და მოზარდობა კაპიტალიზმის ყველაზე უფრო ველურ ფორმებში, სადაც სოციალური დარვინიზმი უზენაეს კანონად იყო ქცეული, დაძლია წარსულთან გაიგივების

შიში და ახალი შინაარსის ჩადება დაიწყო ამ დღეში.

1 მაისი შემობრუნების დასაწყისია, რადგან სოციალიზმი არ ჩნდება იქ, სადაც სახელმწიფო არ შემდგარა. ყველაზე უფრო ოპტიმისტ და შეუგუებელ ადამიანსაც კი, 2003 წლამდე არ მოუვიდოდა თავში აზრად სახელმწიფოსან მოეთხოვა სოციალური სამართლიანობა. რატომ? იმიტომ რომ სახელმწიფო მხოლოდ ფორმალურად არსებობდა, სადღაც, ქაღალდზე. სახელმწიფოს ბუტაფორია უფრო ეთქმოდა და არც არავინ იფიქრებდა ამ ბუტაფორიისთვის რამის მოთხოვნას აზრი აქვსო.

სახელმწიფო სამსახურში მუშაობა შიმშილს უდრიდა, თვეობით გაყინული პენსიებისა და ხელფასების მოთხოვნაც კი აზრს მოკლებული იყო. 2007 წლის შემდეგ, ნელ-ნელა დაიწყო სოციალიზმის, როგორც იდეოლოგიის გარკვეულ წრეებში რეანიმაციის პროცესი. ნელ-ნელა სულ უფრო მეტმა ადამიანმა გაბედა ეთქვა რომ საბჭოთა კავშირში სოციალიზმი არ იყო (ესეც ისევ და ისევ საბჭოთა კავშირის ბუნებიდან გამომდინარე, ვინაიდან იქ არაფერი იყო ნამდვილი) და გაჩნდა მცირე, მაგრამ ჯგუფი, რომლებიც სულ უფრო ხმამაღლა მოითხოვდნენ სახელმწიფოსან სოციალური სამართლიანობისკენ აქტიური ნაბიჯების გადადგმას. სოციალიზმის არსებობა ქვეყანაში იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო, როგორც ინსტიტუცია შედგა და მისთვის რამის მოთხოვნას აზრი აქვს, იმდენად, რამდენადაც

მას აქვს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების რესურსი (ვცდილობ ავცდე სოციალიზმის კრიტიკას).

სოციალიზმის კრიტიკას ყოველთვის საბჭოთა კავშირიდან ვიწყებთ. განსაკუთრებით პოსტ საბჭოთა სივრცეში. მე როგორც სოციალიზმის მოძულეს, ბევრი არგუმენტი მაქვს, თუმცა ერთ რამეზე ყველა ვთანხმდებით, საბჭოთა კავშირში

## წარსულის ექმ

არ არსებობდა სოციალიზმი, იგი შვა მემარჯვენე დისკურსების სრულმა ამოძირებამ. პოტენციურად, თუ კი სივრციდან განვდევნით მემარჯვენე იდეოლოგიებს, მივიღებთ საბჭოთა კავშირს თუ არა, ტოტალიტარიზმის მსგავს მოდელს მაინც. მაგალითები ბევრია სამხრეთ ამერიკაში, ჩრდილოეთ კორეაში და ა.შ. მეორეს მხრივ თუ კი საერთოდ უარს ვიტყვით სოციალიზმზე, ხელში შეგვრჩება სოციალური დარვინიზმი, ასევე არაადამიანური საზოგადოება, სადაც ძლიერი უნდა გადარჩეს, სუსტი კი უნდა მოკვდეს. რატომაა ევროპა წარმატებული? ამის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ისაა, რომ იქ პოლიტიკური სივრცე არასოდეს ყოფილა კასტრირებული, არასოდეს განდევნილა ბოლომდე სოციალიზმი, როგორც იდეოლოგია და არასოდეს დარჩენილა მემარჯვენე იდეოლოგიები სოციალიზმის გამანონასწორებელი ფაქტორის გარეშე. შრომის უფლებებს, სოციალური სამართლიანობისკენ მუდმივ სწრაფვას სწორედ სოციალისტებს უნდა ვუმადლოდეთ. ყოველ შემთხვევაში თუ სადმე ვინმეს გადაავინუდა რომ არსებობს სოციალური უფლებები და ამ უფლებებს რეალიზება ჭირდება, აუცილებლად შეახსენებენ მოლოტოვის კოქტეილებით, ქვაფენილის თლილი ქვებით და დროშის ტარებით შეიარაღებული მშრომელები, მათი მხარდამჭერი სტუდენტები და თავისუფალი ადამიანები, რომლებისთვისაც ნებისმიერი, მათ შორის სოციალური ჩაგვრა, მიუღებელია. სწორედ ეს ნიშნავს ახალი შინაარსის ჩადებას ამ დღეში, სწორედ ესაა 1 მაისის, როგორც საერთაშორისო დღის განუზომელი მნიშვნელობა. მეტსაც გეტყვით, ერთი საქარე მინის ჩამსხვრევა არის, ნამდვილი ევროპული 1 მაისი ისე არ ჩაივლის რამდენიმე მანქანა და მაღაზია თუ არ დააიწვა და ეს ყველაფერი შემდეგ პოლიციასთან ხელჩართულ ბრძოლაში არ გადაიზარდა. ეს საფასურია, რომლის გადახდაც წელინადში ერთხელ ნამდვილად ლირს, იმისთვის რომბავშვებიშიმშილითარიხოცებოდნენ, სახელმწიფო ბიუჯეტის გადანაწილებისას კი პოლიტიკოსებს არ დაავინუდეთ, რომ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დაფუძნება, ჩვენი კონსტიტუციის პრეამბულაში საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ამოცანადაა განსაზღვრული.

2013 წლის 1 მაისს, სტუდენტებმა, არტისტებმა, უბრალოდ თავისუფალმა ადამიანებმა და უფრო ურტირებულად თუ ვიტყვით, ახალმა თაობამ დაიწყო ახალი შინაარსის ჩადება. ისინი გამოვიდნენ

გაცილებით უფრო მოკრძალებულად, ვიდრე ამას მათი თანამოაზრე ევროპელები აკეთებენ ხოლმე და მსვლელობა დაიწყეს. რა თქმა უნდა ეს იყო აგრესიული, რა თქმა უნდა მათ უმრავლესობას მარქსი არასოდეს გადაუშლია, რა თქმა უნდა იქ თითქმის არ იყვნენ მუშები, რა თქმა უნდა მათ სწორედ იმ ბანკზე მიიტანეს შეტევა, რომელიც ყველაზე მეტ სოციალურ პროექტს ახორციელებს, რა თქმა უნდა ბევრი რამის გამო შეიძლება გავაკრიტიკოთ, მაგრამ ქართული საზოგადოების რეაქცია ამ ყველაფერზე არაადექვატური იყო. მათ ვერ დაინახეს მთავარი იდეა და არაფრის მთქმელ წვრილმანებს გამოიყიდნენ. კიდევ უფრო არაადექვატური იყო სახელმწიფო ჩინოვნიკების და პოლიციის რეაქცია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც 1 მაისს მოხდა. ამდღეს ნათლად დავინახეთ, თუ რაოდენ არაპროფესიონალურად იქცევა პოლიცია, როგორც კი საქმე მიდგება შეკრებებისა და მანიფესტაციებისას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. აღმოჩნდა რომ ჩვენმა პოლიციელებმა იციან ორი რამ: ან ინერტულად უყურებენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, ან გადაჭარბებული, არაადექვატური ძალითა და ზედმეტი მონძომებით იწყებენ აქციის დაშლას. არაადექვატური აღმოჩნდა ახალი შინაგან საქმეთა მინისტრიც, მან იმის ნაცვლად რომ სასწრაფოდ მიეღო ზომები, პოლიციის გადასმზადებლად, პირდაპირ დაიწყო ამ დარბევის გამართლება. ეს დაუშვებელია, საჭიროა პოლიციის მომზადება ასეთი შემთხვევებისთვის, რათა მათ შეძლონ და შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გადაამეტონ უფლებამოსილებას.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა რომ სოციალიზმი მძულს, მიყვარს ადამიანები, ვთვლი რომ სახელმწიფოს არსებობას პირველ რიგში ის აზრი აქვს (სხვა აზრიც აქვს მაგრამ პირველ რიგში ეს), რომ ადამიანებმა ცხოველებივით არ ვიბრძოლოთ თვითგადარჩენისთვის, რომ ძლიერებმა ვიზრუნოთ სუსტებზე, რომ ყველა ადამიანს, მიუხედავად იმისა რა შესაძლებლობებს ფლობს, არ შეეშინდეს შიმშილით სიკვდილის, შრომა არ გადაექცეს მონბადა, რომადამიანებიალარითხოვდნენგვირადინებული ოპერაციების დასაფინანსებლად შემწებას, სიცოცხლის გადასარჩენად აღარ ჭირდებოდეთ სხვისი მოწყალების იმედად ყოფნა და ა.შ. მე მინდა სახელმწიფო აღიარებდეს უმთავრეს ლირებულებას - ადამიანს.

# როცა სახსრების დაავადება

## ანვაზდება

მოგეხსენებათ, გაზაფხული ბუნებასთან ერთად ორგანიზმში მთვლემარე ქრონიკულ პროცესებსაც აღვიძებს. ძვალსახსროვანი სისტემის დაავადებათა გამწვავებასა და მათ პროფილაქტიკაზე გვესაუბრება კარდიორევმატოლოგი ნინო მეტრეველი.

- ძალბატონო ნინო, ძვალ-სახსართა რომელი დაავადებები მწვავდება გაზაფხულის პირზე და როგორ ვლინდება ისინი?

- გაზაფხულზე, როდესაც მეტეოროლოგიური მაჩვენებლები (ატმოსფერული წნევა, ტენიანობა და სხვა) საგრძნობლად მერყეობს, ხოლო ორგანიზმი ზამთარგამოვლილი და გამოფიტულია, ადვილი შესაძლებელია, გამწვავდეს რევმატიზმი, სისტემური დაავადებები, პოდაგრა, ოსტეოართოზი და ა.შ.0

- რევმატიზმით ყველა შეიძლება დაავადდეს?

- რევმატიზმის გამომწვევი ორგანიზმში ზედა სასუნთქი გზებიდან ხვდება. მწვავე რევმატულ ცხელებას 2-3 კვირით ადრე, ჩვეულებრივ, ტონზილიტი ან ფარინგიტი უძღვის წინ. თუმცა ყველა, ვინც კი ტონზილიტი ან ფარინგიტი გადაიტანა, რევმატიზმით არ ავადდება. მისი განვითარება ბევრად არის დამოკიდებული დროულ, მართებულ მკურნალობასა და ორგანიზმის იმუნურ ძალებზე. ინფიცირება განსაკუთრებით ხშირია დახურულ კოლექტივებში (ბაგა-ბალში, სკოლებში, სამხედრო ნაწილებში).

რევმატიზმს ცუდი პირობების დაავადებასაც უწოდებენ - ის ხშირად გვხვდება ოჯახებში, რომლებსაც ღარიბულ, ნესტიან ბინებში ცხოვრება უწევთ.

- რა გვაეჭვებინებს რევმატიზმს? უმთავრესად რომელი სახსრები ზიანდება ამ დროს?

- შემთხვევათა 2/3-ში მწვავე რევმატული ცხელების ერთ-ერთი ნამყვანი სიმპტომი რევმატული პოლიართორიტია. ყველაზე ხშირად ზიანდება მუხლის, კოჭ-წვივის, სხივ-მაჯისა და იდაყვის სახსრები. ანთებას თან სდევს ტკივილი, მოძრაობის შეზღუდვა, ზოგჯერ - სრული

უძრაობაც კი, შესივება, შეწითლება. რევმატული პოლიართორიტისთვის დამახასიათებელია კეთილთვისებიანი მიმდინარეობა, ანთებითი დაზიანების მფრინავი, ცვალებადი და სიმეტრიული ხასიათი. ანტირევმატული მკურნალობის შედეგად ეს ცვლილებები 2-3 კვირაში ალაგდება. ბავშვებში კლინიკური სურათი უფრო მწვავედ მიმდინარეობს, ვიდრე მოზრდილებსა და ახალგაზრდებში. არსებობს ცნობილი გამოთქმა: რევმატიზმილოკავს სახსრებს და კენტს გულს. მართლაც, პირველი რევმატული შეტევისას გულის დაზიანების (რევმოკარდიტის) ალბათობა დაახლოებით 50-75%-ია. რევმოკარდიტი განსაზღვრავს დაავადების სიმძიმესა და პროგნოზს.

- ყველა პათოლოგიას, რომელიც კი სახსრების ტკივილთან არის დაკავშირებული, ხალხში რევმატიზმად ან მარილების დაგროვებად იხსენიებენ...

- რევმატული დაავადებები უამრავ ნოზოლოგიურ ფორმას მოიცავს, რომელთა წამყვანი სიმპტომი საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის (სახსრების, ძვლების, შემაერთებელი ქსოვილის, კუნთების, მყესების) დაზიანებაა. რასაკვირველია, ყველა მათგანი რევმატიზმი არ არის. ერთ-ერთი ასეთი დაავადებაა რევმატოიდული ართრიტი. რევმატოიდული ართრიტი შემაერთებელი ქსოვილის ქრონიკული სისტემური დაავადებაა, რომელიც უპირატესად სახსრებს აზიანებს, ინვევს მათ მნიშვნელოვან დეფორმაციას და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ფუნქციის მოშლას.

ამერიკის რევმატოიდულმა ასოციაციას შემოგვთავაზა ასეთი სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები:

დილის შებოჭილობა სახსრებში, რომელიც გრძელდება არანაკლებ 1 საათისა;

ერთდროულად სამი ან მეტი სახსრის დაზიანება; ანთების სიმეტრიულობა;

რევმატოიდული კვანძების არსებობა; სისხლის შრატში რევმატოიდული ფაქტორის მაღალი ტიტრით გამოვლენა;

რევმატოიდული ართრიტისთვის დამახა-



## მედიცინა

სიათებელი რენტგენოლოგიური სიმპტომები (მტევნისა და სხივ-მაჯის სახსრებზე ძვლის ეროზიების გაჩენა).

დიაგნოზირომდაისვას, პაციენტი 4 კრიტერიუმს უნდა აქმაყოფილებდეს.

- **როგორ მკურნალობენ რევმატოიდულ ართრიტს?**

- რევმატოიდული ართრიტის მკურნალობისთვის გამოიყენება ბაზისური თერაპია, ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები (ინდომეტაცინი, დიკლოფენაკი, იბუპროფენი და სხვა), გლუკოკორტიკოიდები. მძიმე შემთხვევაში ინიშნება ბაზისური პრეპარატები, როგორიც არის კრიზანოლი, მიოკრიზინი, დელაგილი და სხვა. რემისის პერიოდში შედეგიანია ფიზიოთერაპია (ელექტროფორეზი, ფონოფორეზი, მაგნიტოთერაპია და სხვა) და კურორტული თერაპია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამკურნალო ფიზიულტურას და მასაჟს. ვარჯიშები მიმართული უნდა იყოს სახსარში მაქსიმალური მოძრაობისა და კუნთოვანი მასის შენარჩუნებისკენ. მყარი ართრიტის შემთხვევაში ნაჩვენებია ქირურგიული მკურნალობა: სინოექტომია, რეკონსტრუქციული ოპერაცია და სხვა.

- **რას გვეტყვით ართროზზე?**

- ართროზი, უფრო სწორად, ოსტეოართროზი სახსრების ფართოდ გავრცელებული დაავადება. ეს გახლავთ სახსარშიგა ხრტილის ნაადრევი გაცვეთა, რაც ხრტილის ქსოვილის უჯრედების დაბერებით არის გამოწვეული. დაავადების ერთ-ერთი მიზეზია ქონდროციტების (ხრტილოვანი ქსოვილის უჯრედების) დაბერება. დროთა განმავლობაში შესაძლოა შემცირდეს სახსარში ხრტილის საერთო ოდენობა, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია ხანდაზმულ ასაკში. ართროზის ყველაზე ადრეული სიმპტომია სახსრის ტკივილი და ჭრაჭუნი. თავდაპირველად ეს ნიშანი მოსვენებისას არ ვლინდება, მხოლოდ სახსრის დატვირთვისას იჩენს თავს. დედამინის მოსახლეობის 10-15%-ს ართროზი აქვს. ასაკთან ერთად დაავადების განვითარების ალბათობაც იმატებს.

- **რით განსხვავდება ართროზი ართრიტისგან?**

- ართრიტი სახსრების ანთებითი დაავადებაა, ხოლო ართროზის მთავარი მიზეზი სახსრის ხრტილში მიმდინარე არა ანთებითი, არამედ დეგენერაციული პროცესია.

- **მინდა, პოდაგრის შესახებაც გვითხოთ - როგორც ცნობილია, ეს დაავადება უმეტესად კვებითი რეჟიმის დარღვევისას მნვავდება. იზრდება თუ არა გაზაფხულზე მისი გამნვავების რისკი?**

- პოდაგრა ანუ პოდაგრული ართრიტი ქრონიკული დაავადებაა და ნივთიერებათა ცვლის მოშლით გამოწვეულ პათოლოგიათა რიცხვს ეკუთვნის. კერძოდ, მისი მიზეზია შარდმუავას ცვლის მოშლა, რის გამოც სისხლში ამ ნივთიერების შემცველობა იმატებს და ის ქსოვილებში, ძვლებში, სახსრებში ლაგდება.

პოდაგრა უპირატესობას კიდურების წვრილ სახსრებს ანიჭებს. ნადებისგან ყალიბდება პოდაგრული კვანძები - ე.ნ. ტოფუსები. პოდაგრულ შეტევას ახასიათებს სახსრების მწვავე, ინტენსიური ტკივილი, შენითლება, შეშუპება, მოძრაობას თან სდევს დამახასიათებელი ხრაშუნი. შეტევა უპირატესად დამით ვითარდება. პოდაგრა ხშირად აზიანებს თირკმლებს. მოსალოდნელია განვითარდეს შარდებინჭოვანი დაავადება, პიელონეფრიტი, გლომერულინეფრიტი და თირკმლის უკმარისობაც კი. პოდაგრა ვერაგი დაავადებაა: ადრეულ სტადიაში პერიოდული შეტევები თავისთავად გაივლის, ამიტომ ავადმყოფების უმრავლესობა მათ ყურადღებას არ აქცევს. დიაგნოზი დაისმის 5-8 წლის შემდეგ, როდესაც პროცესს უკვე მთელ ორგანიზმში აქვს გადგმული ფესვი.

- **შესაძლებელია თუ არა განკურნება?**

- პოდაგრის მკურნალობისას დიდი მნიშვნელობა აქვს სათანადო დიეტის ზედმინევნით დაცვას. აუცილებელია დღეში სამ ლიტრამდე სითხის მიღება - სითხის ნაკლებობა თირკმელების მუშაობას აფერხებს და სისხლში შარდმუავას შემცველობის მატებას იწვევს. რაციონი უნდა შეიცავდეს: რძეს და რძის ნანარმს, თეთრ და შავ პურს, შაქარს, თაფლს, ბოსტნეულისა და მარცვლეულის წვნიანებს, ფაფებს, ტკბილ ხილს, ლიმონს, სტაფილოს, კიტრსა და სალათას. ერთი კვირის განმავლობაში შეგიძლიათ მიიღოთ მხოლოდ 2 კვერცხი, 200 გ ხორცი, 200 გ მჭლე თევზი. სუნელებიდან შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ დაფნა და ძმარი. სუფრის მარილის ოდენობა დღეში 6-8 გრამამდე შეამცირეთ (ეს ნახევარ ჩაის კოვზზე ოდნავ მეტია). მკაცრად იკრძალება: სუნელები, ხორცის ნახარში, შემწვარი და შეპოლილი ხორცი, შემწვარი თევზი, თევზის წვნიანი, თევზის კონსერვი, სოკო, ლებნიანი კულტურები (ლობიო), ისპანახი, ყავა, კაკაო, შოკოლადი, ალკოჰოლიანი სასმელი. პოდაგრას მკურნალობები კოლხიცინის შემცველი პრეპარატებით და ალოპურინოლით. მწვავე შეტევის მოსახსნელად, აგრეთვე - მისი პროფილაქტიკისთვის ინიშნება ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები.

- დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

**ნანა ხუცაიძე**

## ნოქალაქევი, აღმილი საიდანაც აჩვრცევება რქონის საცისი მოისარეს

ნოქალაქევი-ციხე გოჯი-არქეოპოლისი ადრე შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უძინესნობოვნების ძეგლია, რომელიც დას. საქართველოში, ქ. სენაკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 17 კმ-ში მდებარეობს. ნაქალაქარი განლაგებულია მდ. ტეხურის მარცხენა სანაპიროზე, იქ სადაც მდინარე კლდოვანი ხეობიდან გამოდის და მკვეთრად უხვევს აღმოსავლეთით. შედეგად მდინარე ქალაქს სამი მხრიდან შემოსაზღვრავს. გასული საუკუნეების ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებით, სწორედ დღევანდელი ნოქალაქევის ადგილას მდებარეობდა მითიური ქალაქი აია, საიდანაც იაზონმა, მედეამ და არგონავტებმა ოქროს სანმისი მოიპარეს. პირველად ეს მოსაზრება XIX საუკუნის 30-იან წლებში ფრანგმა სპეციალისტმა დიუბუა დე მონპერემ ("F. Diobua de Monpereoux") გამოიქვა.

ნოქალაქევში ყველაზე ადრეული არქეოლოგიური ფენები ძვ. წ. VIII-VII ს.ს-ით თარიღდება. ამ პერიოდის მონაპოვრებს შეადგენს სხვადასხვა ცხოველების (ცხვარი, ლორი, ცხენი) კერამიკული ქანდაკებები, განსაკუთრებით აღსანიშნავია ორთავინი ცხოველების ქანდაკებები, რომლებიც ამ პერიოდის ნოქალაქევში ცხოვრების მაღალ დონეზე მიუთითება. ცხოვრება



ნოქალაქევში ძვ. წ. VI-IV ს.ს-შიც გრძელდება, ამ პერიოდის ფენებიდან გამოვლენილია როგორც ადგილობრივი ნარმოების, ასევე იმპორტული თიხის ჭურჭელი. განსაკუთრებით გამოსარჩევია ნოქალაქევში აღმოჩენილი ელინისტური ხანის (ძვ. წ. III-I ს.ს.) ორმო და ქვევრსამარხები, მდიდარი სამარხეული ინვენტარით: ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, მინისა და პასტის მძივები, ბეჭდები, საყურები, სასაფეთქლეები, სამაჯურები და სხვა. ასევე გამოვლენილია ამ პერიოდის მდიდარი კერამიკული მასალა. განსაკუთრებით გამოსარჩევია ამფორები.

XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის მიხედვით ძვ. წ. III საუკუნეში ქართლის (იბერიის) ლეგენდარულ მეფე ფარნავაზს ვინმე ქუჯისთვის მიუცია ეგრისისა და სვანეთის ერისთავობა, სწორედ ამ ქუჯის დღევანდელი ნოქალაქევის ადგილას აუშენებია ციხე-გოჯი ("ქუჯის ციხე").

ახ. წ. IV-ში ნოქალაქევში შენდება ციხე-ქალაქი, რომელიც მაღე ლაზეთის (ლაზიკა) სამეფოს ანუ მთელი დას. საქართველოს დედაქალაქი ხდება. V და VI ს.ს-ში ქალაქი კიდევ უფრო ფართოვდება. 3 კმ-ის სიგრძის გალავნებით გარშემოტყუშული ქალაქის ტერიტორია 19 ჰა ფართობს მოიცავდა და სამი ნაწილისგან შედგებოდა: ქვედაქალაქი, შუაციხედაციტადელი. ქალაქისგალავნის

სამხრეთი ნაწილი მიემართებოდა მდინარის გასწვრივ, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მკვეთრად უხვევდა ჩრდილოეთი და მიჟყვებოდა ფერდობს. ციტადელის ჩრდილოეთ კედელი კი მთის მწვერვალის გასწვრივ იყო აშენებული. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილია სასახლეები, ქრისტიანული ტაძრები, აბანოები, წყალსაცავი, გვირაბი და სხვა სახის სამეურნეო თუ საფორტიფიკაციო ნაგებობები. განსაკუთრებით მაღალი არქიტექტურული დონით არის ნაშენები ქალაქის მდინარესთან დამაკავშირებელი გვირაბი, რომელიც გარდა წყლის მომარაგებისა, ქალაქის ერთ-ერთი (სამდინარო) ჭიშკრის ფუნქციასაც ასრულებდა. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ნოქალაქევის ძლიერი საფორტიფიკაციო სისტემა, რომელსაც ანალოგი მთელი კავკასიაში არსად მოექცებება; ქალაქის სამი მხრიდან მდინარე და ციცაბო კლდეები იცავდა, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილში აღმართული იყო ერთდროულად სამი გალავანი, ამასთან კოშკების და ჭიშკრების გონივრული განლაგება ქალაქის აღებას მეტად ართულებდა.

ნოქალაქევის დედაქალაქის პერიოდის შესახებ ინფორმაციას გვაწვდიან VI საუკუნის ბიზანტიელი ავტორები - იუსტინიანეს "ნოველა", პროკოფი კესარიელი და აგათია სქოლასტიკოსი, რომლებიც პირველად მოიხსენიებენ ამ ქალაქს, სახელით "არქეოპოლისი" ანუ "ძველი ქალაქი." VI საუკუნის ირან-ბიზანტიის ომის აღნერისას ეს ავტორები არქეოპოლისს იხსენიებენ როგორც "უდიდეს და ძველ"-ს "მთავარ და უდიდეს ქალაქს ლაზების ქვეყანაში." რაც თავისთავად არქეოპოლისის დედაქალაქისას გულისხმობს. ამ ავტორებთან დაცული ინფორმაციის თანახმად არქეოპოლისი (ნოქალაქევი) ირან-ბიზანტიის ომების დროს ერთ-ერთი უძინესებულოვანები სტრატეგიული პუნქტი იყო ეგრისის სამეფოში. მისი აღება ვერ შესძლო ირანელთა სარდალმა მერმეროემ, რომელიც რამდენიმე ათასი მეომრით, სპილოებით და კრიო-მანქანებით ცდილობდა არქეოპოლისის დაუფლებას.


ქართულ წერილობით წყაროებში დაცულია ინფორმაცია ნოქალაქევის განადგურების შესახებ. XI საუკუნის ავტორი ჯუანშერი წერს, რომ VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბმა სარდალმა მურვან იპნმუჳამედმა ("მურვან ყრუმ") მას შემდეგ რაც დაიპყრო ქართლი და სომხეთი, ეგრისში გადავიდა და "ციხე იგი სამზღვუდე, რომელ არს ციხეგოჯი, შემუსრა." აღსანიშნავია, რომ ციხეგოჯის და ეგრისის სამეფოს დამორჩილების შედეგად მურვან ყრუმ ფაქტიურად მთელი კავკასიის დაპყრობა შეძლო. ამის შემდეგ ნოქალაქევი-ციხეგოჯი-არქეოპოლისი კარგავს თავის სტრატეგიულ მნიშვნელობას.


XVI-XVIII ს.ს-ში ნოქალაქევი სამეგრელოს მთავრთა ერთ-ერთი შტოს რეზიდენციაა. XVI-XVIII ს.ს-ის ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით იმ პერიოდში ნოქალაქევში იყო ციხე და დადანების სასახლე, ამას გამოვლენილი არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს. ნაქალაქარის ტერიტორიაზე ნაპოვნია XVI-XVIII ს.ს-ის მცირე ზომის სასახლე და ასევე გამოვლენილია ძველ გალავნებზე და კოშკებზე შედარებით ახალი სამშენებლო ფენებიც.

გიორგი იოანესია

“სამეგრელო” № 5

# გილოცავა გილოცავა





ზეზე  
ოპტული